რიზა აბნერაშვილი

# სიონის სხივი

თელ-ავივი
1987

ROSA ABNERASHVILY/ THE RAY OF ZION

მ ხ ა ტ ვ ა რ ი

ალბერტ პაპისმედოვი

P A I N T E R

ALBERT PAPISMEDOV



ვუძღვნი ჩემი მშობლების
ლეა იცხაკის ასულ და ბეხარიონ /ბენ-ციონ/
ეფრემის-ძე აბნერაშვილების
ნათელ ხსოვნას

# მეგობრობის მგოსანს!

ქ.ბ.როზა აბნეყრაშვილს!

  ლექსად მინდა გადღეგრძელოთ,
სამშვიდობოდ გიწვდით ხელსა,
განახლებულ სამშობლოში
მოგილოცავთ ახალწელსა!
„საახალწლო ხურჯინიდან"
ალაგებდეთ ყველაფერსა:
იმედს, სიხარულს და „შალომს";
თქვენი ქვეყნის დასამშვენსა!
რაც რომ დარდი განგიცდიათ
გაჰყოლოდეს წარსულს, ძველსა,
მტრობას კალმით შეებრძოლეთ
ბოროტს, ცეცხლში დასაწველსა!
ქაღალდზე რომ თვალს ვაყოლებ
თქვენი კალმის განამხელსა,
შიგ მარგალიტებს ვპოულობ,
სხვაგან ძნელად მოსახელსა,
სტრიქონებში ფერებს ვამჩნევ
სურნელებით ანამღერსა.
გადღეგრძელებთ! გიდღეგრძელებთ
ყველას, ლექსის წამკითხველსა:
ექიმსა და მასწავლებელს,
ყანის მკელს და მიწის მხვნელსა,
მოქეიფეს ყანწით ხელში
ლექსში სიკეთის მნახველსა,
მეგობარის სადღეგრძელოდ
თქვენი ლექსის წარმომთქმელსა!
მეგობარი მეგობრისთვის
ახოდ აქცევს მტრობის ტყესა,
დასწვავს ძველსა,დასაწველსა,
დარგავს მეგობრობის ხესა,
ირგვლივ ყვავილებს უხარებს
შეახამებს ფერთან-ფერსა,
რა სიავე მოერევა
გულს-გულისთვის ანაძგერსა?!
მუზით, მეგობარისათვის
გაავანელებ ხესა; ხმელსა,
ტოტებს გამოვალებინებ
ზედ რითმების მოსასხმელსა!
  მოგვეიანებით მოგმართავთ
სიტყვას, ადრე გასამხელსა,
მეგობრობის მგოსნობისთვის
დაგილოცავთ ლამაზ ხელსა!.

პ.ც-ით ნოშრევან გალაშვილი.
12.12.86.

ა.შ.შ.

# ა ვ ტ ო რ ი ს ა გ ა ნ

ვფიქრობ, რომ ამ ერთ ცვარ წყალს ოდეს აღთქმულ მიწის ნაირგვარი მინერალებით შეზავებული წყაროდან, რომელსაც "სიონის სხივი" ვუწოდე, ინტერესით გაუსინჯავს ჭაშნიკს ქართულენოვანი მკითხველი.

რაც შემეხება მე, როგორც ორი უძველესი წარსულისა და კულტურის მქონე ხალხის მიჯნაზე მდგომ კალმოსან ხიზანყოფილს, ვცადე ჩემი ნიჭ-უნარის ფარგლებში პირუთვნელად შემეხამებინა ის ალალი გრძნობები, რაც აღზარდა ჩემში ერთმორწმუნეთა თუ რჯულთშემწყნარებლობის პრინციპებზე აღზრდილმა არაერთმორწმუნეთა სათნოებამ. ეს იყო ის მადლი, რომელიც საუკუნეთა მანძილზე არ აკლებდა თანაგრძნობის შუქნათელს ბედის უმოწყალო ტრიალისაგან უცხო ჭერქვეშ თავშეფარებულ უსამშობლო ხიზანს.

ნეტარება იმ ერს, ვის შვილთაც უხვად სცხიათ ამგვარი მადლის მირონი და მით საქმით ამართლებენ კაცობრიობის წიგნთა წიგნის იმ ფსალმუნს, რომელიც ხალხებს შორის საერთო ენის გამოსანახავად ღაღადებს, რომ თავის სახებად შექმნა ღმერთმა ადამიანი, განურჩევლად ენისა, ფერისა და რწმენისა!

ეს დებულება უნდა გახდეს ხალხთა თანასწორობისა და ერთობის საფუძველთა საფუძველი, რითაც უნდა მოეღოს ბოლო მათ შორის შუღლსა და მტრობას უნივერსალური მშვიდობის მისაღწევად ცისქვეშეთში. ამ უნივერსალური ეპოქის საზრუნავი გახდება ისაიას იმ ფსალმუნის მოყვანა სისრულეში, რომელიც არაორაზროვნად აცხადებს, რომ დადგე-

ზა დრო "და დასჭრილნენ მახვილებსა მათსა სახნისად და ლახვრებსა მათსა ნამგლად და არა აღილოს კვლავ ნათესა ვმან ნათესავსა ზედა მახვილი და არღა ისწავლებდნენ ბრძოლასა!"

აქ, ხალხთა შორის საერთო ენის გამონახვის მოიმედე, ვსარგებლობ რა შემთხვევით, გულითად მადლობას მოვახსენებ "საქართველოდან გამოსულთა კავშირის" გამგეობას, განსაკუთრებით კი ამ ორგანიზაციის თავჯდომარეს, ბატონ ელი მიხელაშვილს, რომლის დაუცხრომელმა მცდელობამ და განუხრელმა მხარდაჭერამაც გახადა შესაძლებელი წინამდებარე წიგნის – "სიონის სხივის" – გამოცანა დღის სინათლეზე.

და, სიცყვაკაზმული ხელოვნების ნიმუშს ხომ განსაკუთრებულ ეშხს და ლაზათს მაცებს ყალმოსნის ნიჭით ამღერებული პოეტური ნახელავი! ამ მხრივ, "სიონის სხივზე" გაწეული ამაგისათვის უღრმეს მადლობას მოვახსენებ ჩვენი თემის საამაყო მხატვარს და ჭედური ხელოვნების ოსტატს, ბატონ აღბერტ პაპისმედოვს.და ვუსურვებ, რომ მთაგონების ლამაზ ქალღმერთს არ მოეკლოს ზეციური მადლი მისი ყალამ-საჭრისისათვის!

რაც შეეხება იმას, თუ რაოდენ ჯეროვანად შევძელი თავის გართმევა საკუთარი თავის წინაშე გულის კარნახით დასმული ამოცანისათვის, მკითხველისათვის მიმინდვია ამის განსჯა; თუ ვიღაც სადმე, რასაც არ გამოვრიცხავ, განსაკუთრებით ჩვენს თემობრივ საკითხებში ანდა წარმომავლობაში, მადლიერებით მივიღებ ნებისმიერ შენიშვნას მისამართზე: საფოსტო ყუთი 28I02, თელ ავივი, 6I280.

რობა აბნერაშვილი

7. I. I987 წ.

## ინდიგო არ იცვლის ფერსა

ასეული წლების მანძილზე ებრაელი ერის პროგრესულად მოაზროვნე შვილები ხელახლა და ხელახლა წამოჭრიდნენ ხოლმე ებრაელთა ეროვნული კერის აღორძინების საკითხს, მაგრამ ამაოდ. ამ უზენაესი მნიშვნელობის მამულიშვილურ საკითხს გამო ხვდებოდნენ ხოლმე მსოფლიოში როგორც ერთმორწმუნენი, ასევე არაერთმორწმუნენი. ყოველ შემთხვევაში, მაინც იყვნენ მგზნებარე გულები, რომელნიც არასოდეს იქნევდნენ ხელს ამ იდეაზე ერთხელ და სამუდამოდ, ვინაიდან სხვადასხვა ქვეყნებში მაინც მრავლად მოინახებოდნენ თანამგრძნობნი ორივე მხრიდან. აღსანიშნავია ისიც, რომ იყვნენ მეყოყმანე ებრაელებიც, რომელნიც მისალმებით კი მიესალმებოდნენ სამშობლო კერის გამოცოცხლების იდეას, მაგრამ გულში მათ ფუჭ ოცნებად მიაჩნდათ შთაგონებულ თანამოძმეთა მცდელობა და ამის გამო შესცქეროდნენ გვერდზე გამდგარნი ყოველივეს. მათი აზრით, ეს იყო უდაბნოს მირაჟი, მოკლებული ყოველგვარ ხელშესახებ საფუძველს და, ამდენად, ამაო მიზანსწრაფვა.

ბიბლიის ცნებებზე აღზრდილი ქართველი ერის მგზნებარე შვილები ამ იდეის მხარდამჭერთა პირველ რიგებში იდგნენ ყოველთვის. ამგვარ თანამგრძნობთა სიაში უსაჩინოესი ადგილი უკავია ამ საუკუნის ერთ-ერთ ტიტანს, კონსტანტინე გამსახურდიას, თუმცა აქვე უნდა დავსძინო, რომ ქართულ სიტყვაკაზმულ ხელოვნებაში, რომელშიც

ეროვნული მოტივებია წამოწეული წინა პლანზე ოდითგან, მრავლად მოიძევიან მხატვრული სიტყვის ოსტატები, ვინც თავიანთი კალმის მადლით არაორაზროვნად მიუთითებდნენ ხოლმე თავიანთ უსამშობლო ხიზნებს პირდაპირ სიონისაკენ. თუნდაც იროდიონ ევდოშვილის ორი ლექსი ავიღოთ; განა ადვილი დასაჯერებელია არაერთმორწმუნე მკითხველისათვის, რომ არაებრაელის ნაკალმევია "ტირილი ებრაელებისა" ანდა " ისმინე, ერო ისრაელისა?!" და, აბა, რომელი ხიზანი ებრაელი დაივიწყებდა თავის წარმომავლობას დიდი დავით ამელეხის სახლიდან, როდესაც მასზე იღვრებოდა მგზნებარე მოწოდებად იროდიონის ეს ძახილი გულისა:

ჩვენო ეფრატო, ჩვენო ტიგროსო,
მთლად არ გამქრალა ისრაელთ კვალი;
ჩვენ ისევ თქვენკენ მოგვიწევს გული;
ჩვენ ისევ თქვენზე გვიჭირავს თვალი.

კბილი კბილის წილ! თვალი თვალის წილ!
მით აპაურნი გავწყვიტოთ მტრისა;
კვლავ მოსეს ცნება იხსნის ისრაელს,
ისმინე, ერო ისრაელისა!

კბილი კბილის წილ! თვალი თვალის წილ!
მოვსწიოთ ვადა დავითის ხმლისა!
სიონისაკენ! სიონისათვის!
ისმინე, ერო ისრაელისა!

დიახ, ძნელად სარწმუნოა, რომ ამგვარი ებრაელური სულისკვეთებით მოუწოდებდა სიონისაკენ სიზან ებრაელობას ქრისტიანი ჯერ კიდევ ათას ცხრაას თხუთმეტში...

ანდაც, ვინ დაიჯერებს, რომ დიდი ქართველი ბულბული, აკაკი წერეთელი ქვითინებდა ებრაელი ერის ბედზე, როცა ებრაელივით გულდათუთქული წერდა თავის ხალხურ ყანრზე შექმნილ ლექსს "ურიული მოთქმითი ცირილი საქართველოში?!" ის ხომ იროდიონზე ბევრად ადრე წინასწარმეტყველებდა ამ პწკარებით:

მოგდიან... თუ არ დახვდებათ
სამოთხის კარი ღიაო,
დაქრთამვენ, ფულებს მისცემენ,
თან რომ წამოუღიათო.
და თუ არ გასჭრის, მაშინ კი
ხელთ ცულიც აუღიათო.

და, ავიღოთ თუნდაც საქართველოს მარად თან მდევი აჩრდილი, ყველა დრო-ყამის უდიდესი ეროვნული ჩანგოსანი, ილია. გეგონებათ, დედა დააგდო და დედობილსა სწირისო, როდესაც კითხულობთ ინგლისელი ბუმბერაზის, საკაცობრიო იდეალებით შთაგონებული და ჩაგრული ერებისათვის თავდადებული პოეტის, ჯორჯ გორდონ ბაირონის მიერ დაწერილი ლექსის თარგმანს. თარგმანის თარიღის მიხედვით, პეტერბურგში სასწავლებლად წასული ილია ოცდა ერთი წლის ასაკში გაცნობია ბაირონის "ებრაულ მელოდიებს". ჩანს, რომ წარუშლელი შთაბეჭდილება დაუტოვებია მასზე ლექსს "ცირილი ებრაელებისა" და, საკუთარი გულით განცდილი ებრაელობის ჭირ-ვარამი ასე ამაღელვებლად გადმოუქართულებია ათას რვაას ორმოცდათვრამეტ წე

ლში სახელდახელოდ:

ოხ, სტიროდეთ მათ, ვინცა სტირიან
მდინარეებზედ ბაბილონისა;
მათ, ვისც ტაძარნი ნანგრევ არიან...
ვისიც ქამული სამშობლოისა
არარა არს რა, გარდა სიზმრისა!
სტიროდეთ მსხვრეულს იუდის ჩანგსა!
სტიროდეთ... სადაც ღმერთი იმ მტირალთ
იმყოფებოდა, აწ იმ ალაგსა
არიან — ვისაც ღმერთი არა ჰყავთ!...

ეს ისე, სასხვათაშორისოდ მოგახსენეთ, რამეთუ ქართველ არაერთმორწმუნე სიონისტთა შემოქმედება განსაკუთრებულ შესწავლას და საპატიო ადგილის დამკვიდრებას იმ სახურებს აღორძინებული ისრაელის მატიანეში. და, თუკი "სიონის სხივ"-ში წინასიტყვასავით მსურს წარმოვადგინო კონსტანტინე გამსახურდიას ერთი წერილის ნაწყვეტი, რადგან ის მთლიანი სახით არ მაქვს ხელთ, ეს იმის გამო, რომ ეს უსტარი დაიწერა იმ ხანებში, როცა ებრაელ ერისშვილთა მცდელობამ ეროვნული კერის გამოსაცოცხლებლად უაღრესად მიზანსწრაფული ხასიათი მიიღო სწორედ ამ საუკუნის დამდეგს, რასაც საფუძველი ჩაუყარა ნათელმხილველმა ბენიამინ ზეევ ჰერცლმა იმ დღიდან, როდესაც ის რაღაც სასწაულებრივად შეესწრო ებრაელი ოფიცრის — ალბერტ დრეიფუსის — სამარცხვინო ბოძზე გაკვრას პარიზში. ეს მოხდა I894 წელს, როცა მას ფარ-ხმალი აჰყარეს სა-

ჯაროდ სახელმწიფო ღალატის ბრალდებით, მაგრამ საბოლო
ოდ სამართალმა არ დაჰკარგა სიმართლის გზა და თვალსა
ჩინო ფრანგი კლასიკოსის, ემილ ზოლას ერთპიროვნული,
თავდადებული ბრძოლის შედეგად იქნა იგი გათავისუფლე-
ბული სამუდამო კატორღიდან...

კონსტანტინე გამსახურდიამ ზემოაღნიშნული წერილი
ერთ მეგობარს გაუგზავნა საქართველოში გერმანიიდან,
რომლის უნივერსიტეტებშიაც იძენდა იგი უმაღლეს განათ
ლებას ამ საუკუნის დამდეგს. ეტყობა, წერილმა წარუშ-
ლელი შთაბეჭდილება მოახდინა ეროვნული განცდებით დამ
ტკივნებულ გულებზე, რომ მან ათას ცხრაას ცამეტშივე
იხილა დღის სინათლე ქართულენოვან გაზეთ "იმერეთში"
ამ უაღრესად მრავლისმთქმელი სათაურით:

ვაი მას, ვისაც სამშობლო არა აქვს!

ერთი შეხედვით თითქოდა ამ ვიწრო ეროვნული სახია
თის წერილში დაკვირვებული მკითხველი უმცდარად ამოი-
კითხავს მგზნებარე მამულიშვილის გულის ძახილს. ამდე
ნად, ეს წერილი არასოდეს არ იქნება მოკლებული ინტე-
რესს ნებისმიერი ტანჯული ერისშვილისათვის მიუხედა-
ვად იმისა, რომ ის მხოლოდ და მხოლოდ ერთი სვემწარე
ებრაელი ჭაბუკის უცბად შეწყვეტილ სიცოცხლეს ეხება.

ღრმად დამაფიქრებელია ამ გიგანტი მოაზროვნის მე
ტად შთამაგონებელი სიტყვები:"ფრთხილად! ისევ შენსას
ნუ დაკარგავ... სიონის მტვრიანი ბჭეების კოცნა გერ-
ჩიოს ბაალის ბრჭყვიალს, ვითომდა ოქროს კერპების თაყ
ვანისცემას...თორემ ინანებ! გვიან იქნება თითზე კბე

ნანი!"

და განა ეს გაფრთხილება ერთგვარი ძალით არ უნდა ჟღერდეს ყველა იმ მამულიშვილის გულში,ვის "დედა-სიონსაც" დღენიადაგ უხდება ბრძოლა საკუთარი ეროვნული მეობის შესანარჩუნებლად?! თავისი საკუთარი ეროვნული ენისა, რწმენისა და დამოუკიდებლობის დასაცავად?!

გამომდინარე ზემოთქმულიდან, აშკარაა, რომ აღნიშნული წერილი მეტად მრავლისმთქმელია თავის შიგთავსით, თუმცაღა მცირე მოცულობით. ამ გაგებით ის შორს სცდება ვიწრო ეროვნულ ფარგლებს და უხვად ჰფენს შუქს ფართო ეროვნულ პრობლემებს. ამასთან ერთად, თითქოდა მით გამოხატავს თავის თანამოძმეთა გულისნადებს, თუ აღარას ვიტყვით წრფელ თანაგრძნობაზე უსამშობლობის წყევლა-კრულვით დაღდასმული ებრაელობისადმი საერთოდ...

ამგვარად, ეს წერილი სრულყოფილად გვიჩვენებს,თუ რა იყო ის ფაქტიური წამაქეზებელი სტიქია,რომელიც საშუალებას არ აძლევდა წაქცეული ეროვნული სის ერთი ტოტიდან ასხლეტილ პაწია შტოს. დაევიწყა თავისი ეროვნული მეობა. ამის წყალობითაც იყო, რომ არ გადაგვარდა მშობლიურ ენადაკარგული ხალხი; სულდგმულობდა საკუთარ წინაპართა სულიერი ცხოვრებით; წმინდად იცავდა თორისეულ რწმენასა და ადათ-წესებს... ერთი სიტყვით, კარგი სიტყვაც კარგიაო, ამბობენ ძველნი ბრძენნი, და ქართველ დიდმოაზროვნეთა ამგვარი შთამაგონებელი ნააზრევი კიდევ უფრო აძლიერებდა მართლმორწმუნე სიზანთა დაუცხრომელ სწრაფვას სიონისაკენ.

როგორც არაერთგზის თქმულა, ამგვარ თანაგრძნობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმ უკუღმართ პირობებში, როდესაც დავით ამელეხის ოდეს ძღევა მოსილი ტახტის ერთი პაწია აგურის ნარჩენთ კარგა სა-

ნია, რაც ნათელმხილველთა ენა მხოლოდ ღმერთთან საბაასოდ გაეხადათ და ურთიერთობის იარაღად კი მასპინძელთა დედაენა შემორჩენოდათ ხელთ.

იმისათვის, რომ გასაგები გახდეს ეროვნული მეობის შენარჩუნების სიდუხჭირე მსგავს ვითარებაში, საკმარისია მოვიგონოთ დაუცხრომელი ქიშპობა ენის სიწმინდის საკითხებში მამა-კლასიკოსთა ამაყი წარმომადგენლის, რომანტიკოს პოეტ გრიგოლ ორბელიანსა და თერგდალეულ ილიას შორის. განა ყველა დროის ჭეშმარიტებად არა ჟღერს ორბელიანის აზრი ენის რაობაზე ერის ცხოვრებაში:

რა ენა წახდეს,
ერიც დაეცეს;
რა ენა აღსდგეს,
ერიც ამაღლდეს!

ასეთ ერისშვილთა შორის ცხოვრებას, მასპინძელთა მგზნებარე მამულიშვილობას, შეუძლებელი იყო გულგრილი დაეტოვებინა ასეთ ნაყოფიერ ნიადაგში მოხვედრილი უსამშობლო ნერგი, რომელსაც მარწყულებელ ცვარად მარტოოდენ თორა ეპკურებოდა ხანგრძლივი ხიზნობის ასწლეულებში და არ ავიწყებდა მათ, თუ "ვისი გორისანი იყვნენ". ეს იყო კიდევ ერთი წყარო სიცოცხლისა, რომლის მადლითაც სულით გადაუგვარებელი დაუბრუნდა· გურჯი ებრაელი მამა-პაპათა ნაფუძარზე განახლებულ ვაზსა და ლეღვს.

ფიქრთა ამგვარ მდინარებაში მომდის აზრად: ეგება აღთქმული ქვეყანა იყო სამშობლო იმ ტროპიკული მცენარისა, რისგანაც იღებდნენ ინდიგოდ წოდებულ მუქ ლურჯ ნივთიერებას და სწორედ ამ საღებავში დაფერილ გულზეა გამოთქმული: ინდიგო არ იცვლის ფერსაო?! სწორედ ასეთი იყო გული ნებისმიერი მართლმორწმუნე ებრაელისა...

ამგვარი წარბშეუხრელობით, კაჟებრ გაუძლო რა ხან გრძლივი გამოცდილების მრავალსაუკუნოვან ქარტეხილებს, ებრაელი მაინც ებრაელად რჩებოდა ყოველგვარ ამინდში, და შუა საუკუნეების უდიდესი განმანათლებელი რაბისა და პოეტის სიტყვით რომ მოგახსენოთ, ცხოვრობდა მარად დევნილი ებრაელი დასავლეთში, მაგრამდა გული აღმოსავ ლეთში ჰქონდა... ასე ჰგოდებდა დიდი იეუდა ჰალევი...

ასეთ გაორებულ ყოფაში მხოლოდ ძლიერი პირქარის დაბერვას ელოდა იაჰვეს ხომალდი, რომ მის მიმოფანტულ შვილებს სიონის მისადგომებისაკენ აეღოთ გეზი. ერისა და სახელმწიფოს აღსადგენად ამგვარი სასწაულებრივი, ანაზდეულად ამოვარდნილი გრიგალის როლი შეასრულა ჰიტ ლერის მიერ დაწყებულმა ავადმოსაგონარმა ომმა მსოფლი ოზე გასაზატონებლად, მაგრამ პროგრამა-მინიმუმად ებ-რაელი ერის გენოციდი დაისახა მიზნად. ამ მხრივ, მან წყევით მისცა თვის სახელი შთამომავლობას, ნიკოლოზ ბარათაშვილის რითმით რომ ვთქვათ, და კიდევ ცხადჰყო კონსტანტინე გამსახურდიას გულის სიღრმიდან ამოხეთქი ლი:"ვაი მას, ვისაც სამშობლო არა აქვს!"..

სწორედ იმ ომის ნამუხრავზე შეიქმნა ებრაელი ხალ ხის ნავთსაყუდარი ბომბთა და ნაღმთა ღმუილის შეწყვე-ტის მესამე წლისთავზე – I948 წლის I4 მაისს.

ისრაელის სახელმწიფოს მკვდრეთით აღდგომამ წამოა ქროლა მაცოცხლებელი სიო, რომელიც სამშობლო ქვეყნისა

კენ მოუხმობდა ორიათასი წლის გაფანტულთ. ამ ნიავმა კავკასიონის მაღლივი მთების მიღმა საქართველოში შეხიზნულ ებრაელებსაც ჩაუტანა სიონის მთის მონაბერი. ამ მაგნიტისებურმა სიომ განსაკუთრებული ძალით დაიწყო ქროლვა 1967 წლის "ექვსდღიანი ომის" შემდეგ. სწო რედ ეს ქარიშხლიანი ომი გახდა საბაბი იმისა, რომ საღათას ძილმანკით შეპყრობილი სახთუმლიდან ერთბაშად წამოსწია თავი ოდესღაც ლაჩრად მონათლულმა ებრაელმა.

ზემოაღნიშნულ ელვისებურ ომში მოპოვებულმა გამარჯვებამ თითქოდა ლომ-ვეფხვად გარდასახაო მამა-პაპათა მხარის მონატრული ქართველი ებრაელი და თანდათან ილვივა ეროვნული მოძრაობის ნაკვერჩხალმა, რამაც განსაკუთრებით მძაფრი ხასიათი მიიღო 1970 - იან წლებში. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ დროისათვის გაცილებით უფრო ლმობიერი პავა შეეხწრო ორმოცდაათი წლის მანძილზე ჟამთა სიავით დამუნჯებულ ხალხს მთელი საბჭოეთის მასშტაბით..ამის წყალობით შესძლეს შეუდრეკელმა სიონისტმა შაბთაი ელაშვილმა და მისმა თანმხლებმა თვრამეტმა ოჯახმა რკინის ფარდის გარღვევა, რათა დასაბამი მისცემოდა სამოცდაათიანი წლების დიდ ალიას. და მართლაც, რახან გალღვა სქელფენოვანი ყინული, თვრამეტეულს თან მოჰყვა კვალში მრავალენოვან მართლმორწმუნეთა უზარმაზარი არმია დიდი საბჭოეთის ყველა კუთხე-კუნჭულიდან. ეს იყო ის გრძელი ეროვნული ჯაჭვი, რომლის რგოლებსაც მხოლოდ თორა აერთიანებდა ერთი ქოლგის ქვეშ გაფანტულობის ქვეყნებში და ახლაღა სწავლობენ თანაცხოვრებას ერთ ჭერქვეშ.

ასეთია ნათელმხილველთა ცხადად ამხდარი ზმანება. დღეს ერთმანეთის გვერდით იღწვიან ნაირ ენაზე მოლაპარაკე მრავალი ელფერის თემები ახლად მშენებარე მესამე ცაძარში. ცხადია, უაღრესად მძიმეა ახალ გზა-ბი-

ლიკთა გატკეპნა და მეც ასე დავახასიათებ ამ მშენებლობის მტკივნეულ პროცესს ქართული სიბრძნით: ზოგჯერ მუშტით, ზოგჯერ კრივით, საქმე მიდის თოხარიკით!

რა მათქმევინებს ამ ძნელსახსენებელს?! ერეც ისრაელისაკენ მომავალი გზა უხვად იყო მოფენილი ისრაელის შვილთა ძვლებით, ხოლო მიწა კი გაჟღენთილია,თუგინდაც დღეს, მათი სისხლით და ცრემლით. აი, ეს განვლილი ტანჯვა-ვაება ავალდებულებს ყველა მართლმორწმუნე ებრაელს, თუკი მას ჭეშმარიტად შესტკივა გული თავის ერისა და ქვეყნისათვის, რომ შემწყნარებლობით მოეკიდოს ახლად დაბრუნებულ თანამოძმეს; ისწავლოს ურთიერთგაგება და ურთიერთგატანა, რათა საერთო ენით, მოთმინებით უძიძავონ ამ მრავალჭირნაცად ერსა და ქვეყანას თავიანთი ხელახალი შობის მწარე ტკივილებში. ეს არის ერთად ერთი გზა არა შემცირებისა, არამედ რიცხვობრივი ზრდისა, რაც ჰაერივით სჭირდება მტერთა ოკეანეში მომწყვდეულ პატარა ნავთსაყუდარს!

აი, სწორედ ამ მოსაზრებებმა მიკარნახა კონსტანტინე გამსახურდიას წერილის თარგმნა ინგლისურ ენაზე "სიონის ხმის"-ში შესატანად. ეგებ მისმა წაკითხვამ დააფიქროს ერთხელ კიდევ ებრაელი იმაზე, თუ რას ნიშნავს სამშობლო?! ამდენად, ეს წერილი გახლავთ მართლის მთქმელი სარკე მძიმე წარსულისა, რომელმაც შვა ხელახლა სიონის ტაძარი – თავდები ებრაელი ერის მტკიცე მომავლისა და საერთაშორისო მშვიდობის ტახტის დადგმისა!

6. 9. 1986 წ.

ბათ იამი

კონსტანტინე გამსახურდია

## ვაი მას, ვისაც სამშობლო არა აქვს!

ყური მიგდე! მე მინდა ახლა სულ სხვა თემაზე გესაუბრო. არ ვიცი, რატომ, და ებრაელთა ახალგაზრდობას რადაც არაჩვეულებრივი ინტერესით ვაკვირდებოდი.

ებრაელთა ენა დღეს მარტო ძველ წიგნებშიღა არსებობს. რაც შეეხება იმ ენას, რომელზედაც გერმანელი და რუსი ებრაელები ლაპარაკობენ, მასში ებრაული ელემენტი იმდენი ურევია, რამდენიც ქართულში. ასე რომ, გერმანულის მცოდნე ყოველთვის გაუგებს ახალ ებრაულად მოლაპარაკე ებრაელს.

ვინც ებრაელი ახალგაზრდობის ცხოვრებას დაკვირვებია, ის ნათლად შეამჩნევს მასში ორ მთავარ მიმართულებას. თვითეული მათგანი თავისებურად ცდილობს მოუაროს იმ ტრაგიზმს, რომელსაც "ებრაული საკითხი" ეწოდება.

ერთნი ცდილობენ, რაც შეიძლება მალე გაითქვიფონ სხვა ერებში. ისინი თითქოს ხელს უწყობენ იმ პროცესის დამთავრებას, რომელიც შედეგია ისტორიული ჩარხის უკუღმა ტრიალისა.

მეორე – ეს არის სიონისტური მიმართულება. ამ მოძღვრებამ დიდი ხანია, რაც ებრაელი ახალგაზრდობის ერთი მოწინავე ნაწილთაგანი გაიტაცა. სიონისაკენ მოუწოდებენ ისინი მშობელ ხალხს.

მაგრამ ესმის კი ებრაელ ერს მათი ძახილი? და კიდეც რომ ისმინოს, განა შესაძლებელია, მთელი დედამი-

## WOE IS HIM, WHO HAS NO HOMELAND!

/A letter from Germany to a friend in Georgia/

Listen! Now I'd like to talk with you of quite a different matter. I don't know why, but I've been watching young Jews with extraordinary interest.

In our days the language of the Jews exists only in ancient books. As to the tongue, which the German and Russian Jews speak, there are as many Jewish elements in it, as there are in Georgian. In this way, The German-speaking lot can always understand the Jews who speak Hebrew.

The person, that has observed the life of the young Jews, can clearly discern two various mainstreams among them. Each of them makes efforts to handle in its own way that tragism which is called The Jewish Problem.

Part of them try to get merged into other nations as soon as possible. They are as if promoting the completion of the process which is the result of the perverse motion of the Wheel of History.

The other one is the trend of Zionists. It is quite a while since their teaching swept along one part of the advanced Jewish youth. They are calling their own folk towards Zion.

But do the Jewish people hear their call? And even though they hear it, is it possible for all the

წის ზურგზე გაბნეული ეს ამდენი ებრაელობა ძველი სი
ონის ბჭეებში შეეტიოს?! აბა, იფიქრე, როგორი ზარი
უნდა ეპყრათ მათ ხელში, რომ საფრთხისაკენ დაქანებუ
ლი ერი მოაბრუნონ...როგორ ტკბილხმოვან ფანდურს უნ-
და აჟღერებდნენ ისინი, რომ ერთხელ კიდევ მოაგონონ
ერს დავითის ქნარის ღვთაებრივი ქვითინი!..

ეჰ, ვინ გაიგებს იმ შავ ჭმუნვას, რომელიც მზის
ჩასვლისას ლილინით მიმავალი ებრაელის სულში სდუღს!
რამდენ პატიოსან, მხნე ახალგაზრდა ებრაელის სულს
აცისკროვნებს ის აზრი, რომ ოდესმე ებრაელი ერი ნა-
კელით დაწყლულებულ ფეხს ერთხელ კიდევ დაიბანს იორ-
დანის წმინდა წყალში...

ერთ გერმანულ უნივერსიტეტის დერეფანში ნაცნობ
მა გერმანელმა ვინმე ებრაელი სტუდენტი გამაცნო სრუ
ლიად შემთხვევით. ორ-სამჯერ მასთან ლაპარაკების
შემდეგ მივხვდი, რომ ის სიონისტი იყო. მართალი გით
ხრა, იმ ჭაბუკმა ძლიერ დამაინტერესა. გვარიანი ხნის
ნაცნობობის შემდეგ ჩვენ ერთმანეთს დავუახლოვდით.

ღმერთო ჩემო! როგორი რწმენის კაცი იყო!.. პირ-
დაპირ შეშლილი იყო თავისი იდეით. როცა იგი პალესტი
ნაზე ლაპარაკს დაიწყებდა, მაშინ უნდა გენახა,- მი-
სი მკრთალი, ჭორფლიანი სახე მზესავით ბრწყინავდა;
თვალები უფართოვდებოდა. რამდენ სულიერ ძალას ამოვი
კითხავდი ხოლმე მის სახეზე!...

- პალესტინაში უკვე საკმაოდ მოზრდილი ახალშენი
გვაქვს ებრაელებს,- მეტყოდა იგი ხშირად,- სადაც სა
შუალო სასწავლებელიცაა; სწავლა ძველ ებრაულზე სწარ
მოებს; რა თქმა უნდა, ბავშვებიც ებრაულად ლაპარაკო
ბენ... იცით? მოსეს ენაზე?!...

Jews, scattered as they are all over the Earth, to get squeezed through the gates of Old Zion?Just fancy, what a bell they must be holding in their hand, so that they might turn round the Nation heading for its peril?! What kind of sweet phandury must they be playing, so that once again to resound in their ears the divine weep of David's Harp?!

Eh, who can divine the black dejection, boiling in the soul of the Jew, as he walks crooning at sunset. There's many a Jew, whose soul is radiated by the hope, that some day, the Jewish Nation will once again wash its feet, festered with the trudge, in the holy waters of the Jordan River!

In the corridors of a certain German university, quite by chance, I was introduced to a Jewish student by a German acquaintance of mine. After a chat or two, I guessed he was a zionist. After a good deal of association we chummed up with each other.

My God! What a man of faith he was!... He was just crazy about his idea. You were to see him as he started speaking of Palestine! His pale, freckled face would shine up like a sun; his eyes would broaden. What a whale of strength I read in his countenance!...

"In Palestine we, Jews, already have a rather large settlement,- he'd often say to me,- there is a secondary school, too, there. Sure, the children also speak Hebrew... You see, the Tongue of Moses."

"Why not, it can be,- I'd answer, though I just could never fancy anyone speaking the language of Moses or Solomon... To tell you the truth, neither

— რატომ არა, შეიძლება... — ვეტყოდი მე, თუმცა ვერ წარმომედგინა, რომ მოსესა და სოლომონის ენაზე შეიძლებოდა ლაპარაკი და, მართალი გითხრა, არც ახლა მწამს.

როგორც მისი ამხანაგებისაგან გავიგე, ჩინებულად იცოდა ებრაული. თუმცა მის რწმენას სკეპტიკურად ვუყურებდი, მაგრამ ყოველთვის მზად ვიყავი თავისუფალ დროს მასთან მებაასა, სადაც არ უნდა შევხვედროდით ერთმანეთს — სასადილოში, თეატრში თუ უნივერსიტეტის დერეფანში, ყველგან...

ერთხელ ძლიერ გახარებული შემხვდა. საჩქაროდ ებრაული გაზეთი ამოიღო ჯიბიდან და აღრიანოპოლის დამხობის ამბავი წამიკითხა არაჩვეულებრივი პათოსით.

— აი, ხომ ხედავ, ოსმალეთი კრიზისშია. ახლა მას ფული სჭირია, ფული კი ჩვენებს აქვთ. თუ ასე გაგრძელდა, შეიძლება მან სულ იაფად დაგვითმოს პალესტინა.

ცოტა ხნის განმავლობაში მას კიდევ რამდენჯერმე შევხვდი იმ ქალაქში. ერთი თვის შემდეგ კი იქიდან სხვაგან მომიხდა წასვლა. ერთხელ რომელიღაც გაზეთის ქრონიკაში პატარა ცნობა ამოვიკითხე; ძლიერ დამაღონა, თუმცა იგი ჩემთვის სრულიად შორეულ კაცს შეეხებოდა. გავიგე: ჩემს ნაცნობ ებრაელს თავი მოეკლა. "მიზეზი გაურკვეველია"-ო, ეწერა ბოლოს.

ბოლო ხანებში, ახლა მაგონდება, იგი არაჩვეულებრივად მოწყენილი მხვდებოდა: ერი რომ საკუთარ ტერიტორიას და ენას დაკარგავს, უმჯობესია მაშინვე მოკვდესო...

განმაცვიფრა, სწორედ გითხრა, მისმა იჭვნეულმა ლაპარაკმა.

"ნუთუ ასეთი მტკიცე რწმენის სულსაც კი სჩვევია

can I believe it now...

As far as I'd heard from his pals, he had a perfect knowledge of Hebrew. Though I looked upon his conviction sceptically, I was ever ready to converse with him at my leisure wherever we met - at the canteen, theatre or just in the corridors of the University... Anywhere...

One day I saw him overjoyed. He post-haste got a German paper from his pocket and, with great pathos, read to me the news of the fall of Adrianopolis.

"You see, Turkey's in a fix. Now she is pressed for money, and money is in the hand of our people. Should things keep pace, they might cede Palestine to us dirt cheap".

For a while I again came across him in town a couple of times, but a month later I had to go elsewhere. One day in the chronicles of a German paper I read a tiny note. It saddened me no end, although it concerned no kith or kin of mine. I learned that that Jewish acquaintance of mine had committed suicide. "The reason is unknown", was written at the end.

It is only now that I recall: he looked unusually crestfallen later on whenever I saw him: "once a nation loses its land and language, it would rather die then and there", he said...

To tell the truth, I was amazed at his ambiguous talk.

"Can a soul of such a firm faith be also cursed with bouts of doubt?!" I thought in my heart.

A hard rock's also firm, my dear, a hard rock

ეჭვი?!" ვთქვი ჩემს გულში.

სალი კლდეც მტკიცეა, ჩემო კარგო, სალი კლდეც, მაგრამ რამდენჯერ მინახავს, რომ მას გული გაჰპობია და წყალი მოჟონავდა იქიდან! ადამიანის გულიც შეურყეველი სალია ხშირად, რწმენაც — მტკიცე კლდე, მაგრამ იმავე კლდესავით მასაც უეცრად გაბზარვა, მასავით ეჭვის ცრემლი სჩვევია თურმე.

ასე: რწმენა თუ კლდესავით უდრეკია, იმავე დროს მინასავით რხეულია!

ის ახალგაზრდა რომ მომაგონდება, წამსვე ისრაელი ერის ბედ-იღბალი წარმომიდგება თვალწინ, იმასთან ერთად მომავალი იმ ერისა, რომელიც თავის მიწა-წყალსა და ენას დაკარგავს...

მართლაც, ერს, როცა ეს ორი სიმპტომი ხელიდან გამოეცლება, უმჯობესია, იგი მაშინვე მოკვდეს. მაგრამ, ვაი, რომ იგი ასე უცებ არა კვდება! ერის სიკვდილი, როგორც ერთი კაცისა, მწარეა, ალბათ, მაგრამ ასკეცად უფრო მწარეა მითი, რომ სულის ლაფვით ცხოვრობს! ვაი იმ ერსა, რომელსაც ასეთი სიკვდილი ხვდება წილად. მტერი და მოყვარე გაურბის...როგორც ცალკე ადამიანებს, ასევე საერთოდ ერებსაც, ასეთი ფსიქოლოგია აქვთ: მონა, გადაგვარებული, არავის უყვარს. და... ქვეყანაზე პატივისცემას იმსახურებს მხოლოდ და მხოლოდ ძლიერი, მშვენიერი, ძალით და ღონით სავსე არსება, რადგან მიწა ძლიერთა კერძია...

ფრთხილად! ისევ შენსას ნუ დაკარგავ... სიონის მტვრიანი ბჭეების კოცნა გერჩიოს ბაალის ბრჭყვიალს, ვითომდა ოქროს კერპის თაყვანისცემას... თორემ ინანებ! გვიან იქნება თითზე კბენანი!

itself, but many a time have I seen its heart split, with water oozing from it! Man's heart, too, is often a flinty crag, and so is his faith for that matter - a strong rock, but like that selfsame rock it, too, proves crackable, wont of tears of doubt...

Hence, if Faith is hard as a rock, it's brittle like glass in the same breath!

The moment I remember that young man,I see the fate of the Israeli Nation in my mind's eye; together with it, I see the future of the nation which will lose its land and language...

Indeed, when the two symptoms slip out of a nation's hand,it would better die at once. But alas! It won't die all at once! Death of a nation, like that of a single person, appears bitter, but it is a hundred-fold bitterer for it lives on, striving for every breath of its.Woe's the nation that such a death falls upon! Both friends and foes desert it. Individuals as well as natios at large have the same psychology: no one likes a slave, a degenerate. t's only the great, the fair, a human being full of sap and strength that are respected in the world, for the Earth's the portion of the strong lot...So indeed, woe is him, who has no Homeland!

Beware, man! Don't lose your own Land!You'd rather kiss the dusty gates of Old Zion than the glitter of Baal, as though worshipping the Golden Calf, otherwise you're sure to regret, but it will be too late to bite your little finger!

Translated from the Georgian
by ROSA ABNERASHVILY

1913




თუ დაგივიწყო, იერუსალიმ, დავიწყებულ იქნეს
მარჯვენა ჩემი და ენა ჩემი მიახმეს ხახას!..

# ებრაული სამება

> ეგებ ჩვენც გამოგვიდარდეს,
> დღე გაგვითენდეს მზიანი!
>
> ვაჟა ფშაველა

ძნელია ითქვას, ვის გულში რა გრძნობას აღძრავდა უბადლო მთიელი მგოსნის ეს სევდიანი სიტყვები, მაგრამ ჩემი გონების ფირზე ელვისებური სისწრაფით გაელვდებო და ხოლმე შორეული ზმანება იმ ქვეყნისა, რომელიც მარად თანმდევ აჩრდილ-ორეულად ასდევნებოდა უსამშობლოდ მოხეტიალე ებრაელს დღიდან მეორე ტაძრის აოხრებისა; ვერა და ვერ ივიწყებდა მამა-პაპათა დამრწევ აკვანს და, დედამიწის თვალუწვდენელ ზედაპირზე მიმობნეულ თანამოძმეებთან ერთად, განუხრელად გადასცემდა ის თაობიდან თაობას ჰანიბალურ ფიცს იერუშალაიმის არდავიწყების თაობაზე. იმ ფიცს იმეორებდა უპირველეს ლოცვად დღენიადაგ თვით ის მართლმორწმუნე ებრაელი, რომელსაც ალეფი აქლემი ეგონა იმის გამო, რომ ბედმა არ არგუნა მას წილად თალმუდის ენის სწავლა.

მეგობრულ წრეში არაერთგზის გვქონია კამათი იმის თაობაზე, თუ რამ შემოგვინარჩუნა ეროვნული მეობა საუკუნეთა მანძილზე უენოდ შთენილ ნარჩენს იმ ერისას, რომელმაც ჯერ კიდევ კაცობრიობის გარიჟრაჟზე მიაღწია პო

ლიტიკურ-ადმინისტრაციულ ძლიერებას და მატერიალური კე თილდღეობის ზენიტს, ხოლო მერე კი ბედის უკუღმართმა ტრიალმა იმდენი ვაება დაატეხა თავს მის შვილთ, რომ საყოველთაო გამოცანად რჩებოდა სიცოცხლისუნარიანობა იმ ეროვნული ხისა, რომელსაც სრულიად სხვადასხვა ნია დაგებში ჰქონდა განტოტილი თავისი უჭკნობი ფესვები.

გამორიცხული როდია, რომ დღესაც მრავლად მოიძებ-ნებიან ადამიანები, რომელნიც ფიქრობენ იმაზე, თუ რა იყო მარადიულობის მომნიჭებელი ის გრძნეული ძალა, რამაც შესაძლებელი გახადა, თითქოდა, შეუძლებელი: საუ-კუნობით ასულდგმულა უსამშობლო ხალხი; ხელახლა აამეტყველა ისინი რასნის გადავიწყებულ, მხოლოდ სალოცავად შემორჩენილ წმინდა ენაზე და, ზენარის აღთქმისამებრ, კვლავ დააბრუნა წინასწარმეტყველთა ქვეყანაში. მრავალჭირნახადი, თუმცადა სულიერად უტეხი ებრაელი.

ახლა შეიძლება თამამად ითქვას: ეს მაცოცხლებელი გრძნეული ძალა იყო ის ებრაული წმინდა სამება, რომელსაც ჰქვია თორა, იერუშალაიმი და ერეც ისრაელი! სწო-რედ ამ წმინდა სამების ციურმა ცვარმა სცხო უკვდავე-ბის მირონი მარადიული განცდების ვაცს, ებრაელს, ორ ათასწლოვანი ტანჯვა-წამების გზებზე სეტიალში და იმ-დენად გააკაჟა იგი სულით თუ ხორცით, რომ ქვემომოყვა ნილი დასკვნა გააკეთებინა I89I წელს იმ ლევ ტოლსტო-ის, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა ბიბლიის ენა, რათა დედანში გაეცნობოდა კაცობრიობის წიგნთა წიგნს. აი, რას სწერს იგი ამის თაობაზე:"ებრაელი მარადისობის სიმბოლოა. ეს არის ის, ვისი მოსპობაც ვერ შეძლო ვერც ხოცვა-ჟლეტამ და ვერც წამებამ; ის, ვინც ვერ წარხოცა პირისაგან მიწისა ვერც ცეცხლმა და ვერცთუ ინკვიზიცი-ის მახვილმა; ის, ვინც პირველმა გვამცნო ღმერთის სი ტყვა; ის, ვინც ესოდენ ხანგძლივ შემოინახა წინასწარ

მეცყველება და გადასცა იგი მთელ კაცობრიობას. ახეთი ხალხის გაქრობა შეუძლებელია.

ებრაელი მარადია. იგი მარადისობის განსახიერებაა!" ავტორიტეტულად აცხადებს მსოფლიო ლიტერატურის საგანძურის ეს უკვდავი მშვენება.

ამგვარი მარადიულობის თავანკარა სათავეა უპირველეს ყოვლისა თორა — სიცოცხლის წყარო და ერის სამედო ციხე-ბურჯი. ამის თაობაზედაც არაორაზროვნად, მიუკერძოებელი გულწრფელობით მიგვითითებს ეს არაერთ მორწმუნე წმინდანი, როდესაც დასძენს იქვე:"ებრაელი წმინდა არსებაა, რომელმაც ზეციდან ჩამოიღო მარადიული ცეცხლი და მით გაანათა დედამიწა და ყოველი, რაც მასზე ცოცხლობს. ეს გახლავთ წყარო, რომლიდანაც ამოსაპეს რელიგიები და სარწმუნოებები ყველა დანარჩენმა ხალხებმა!"

ამის გამო იყო, რომ მართლმორწმუნე ებრაელი საკუთარი სხეულით ეფარებოდა განსაცდელის ჟამს ამ ერთ ვნულ განძს, როგორც საშოსლოს, როდესაც კი ფათერაკიან გზა-ბილიკებზე სეცვიალისას თუ მცრულ გარემოცვაში რაიმე ავბედითი ავქარი წამოუქროლებდა მას; ამნაირად დაუბრუნა თაჯი ერისა იერუშალაიმსა და აღთქმულ ქვეყანას.

და სწორედ ეს გახლდათ მეორე მძლეთა მძლე იარაღი: უზენაესი საყვარული იერუშალაიმისადმი, რომლითაც ხალხი უმკლავდებოდა იმ სასიკვდილო მუქარას, რომელიც დამოკლეს ხმალივით ელავდა მის თავზე ებრაელთმოძულეობის ქარცესილებში საუკუნეთა მანძილზე.

სადემი ერქვა იერუშალაიმს, ვიდრე მას იუდეველთა გაერთიანებული სახელმწიფოს დედაქალაქად გამოაცხადებდა დავიდ ამელესი თანახმად ზენარის მიერ მიცემული აღთქმისა:"ეთენ ოთას ლა'ერუშა!" — "მემკვიდრეობად მიგცემ შენ!" და სწორედ აქედან წარმოსდგება ერეც ისრაელის დედაქალაქის სახელწოდება — იერუშალაიმი.

როგორც ვხედავთ, უზენაესის ცირმანით მინიჭებუ-
ლი სახელი გახდა იერუშალაიმის პირველობის საფუძვე-
ლი მსოფლიოს დედაქალაქთა შორის და, რაღა თქმა უნდა,
რომ სწორედ ის გამოაცხადა თავისი სახელმწიფოს საცახ
ცო ქალაქად იუდეველთა მეორე მეფემ, დავითმა,რომელიც
შაულ ამელეხის შემდეგ ავიდა ცახცზე ქებრონში ათახ-
სამ წელს და იქვე დაპყო თავისი ხელმწიფების პირვე-
ლი შვიდი წელი. ეს მოხდა ქრისცეს დაბადებამდე ათა-
სი წლით ადრე. და რაკი სამეფო ცახცი იერუშალაიმში
გადაიცანა, ეს ქალაქი გამოაცხადა პოლიციკურ-სასული
ერო ცენცრად იმ დღიდან, რაც კირიათ არიმიდან დიდი
ზარ-ზეიმით აიცანა სჯულის წმინდა კიდობანი – არონ
აკოდეში – იუდეველთა ახალ დედაქალაქში.
ამგვარად, თორა თუ დელოფალია, შეუღლებული წმინ-
და კავშირით თავის ნეფე ერეც ისრაელზე, იერუშალაიმი
წარმოადგენს მათ ძე-მემკვიდრეს და სამარადისო ცახცს
ღმერთის რჩეული სამწყსოსათვის ამ წმინდა სამების სა
პაცრონოდ და უკვდავსაყოფად. და, ვინაიდან ზეცის თა-
ლებშია გარიგებული ამ ებრაული წმინდა სამების კავში
რი, მას არასოდეს უწერია დაშლა მიწიერ მოკვდავთა სე
ლით! ამ განმარცებას გვთავაზობენ თალმუდის კომენცა-
ცორები და ეს ფაქცი დაადასცურა ამ საუკუნემ.
ახე ბრწყინავს იმ დღიდან მოყოლებული ეს ღვთიური
ქალაქი,რომელსაც თავის საბუდრად აურჩევია წმინდა სი
ონის მთის კალთობი. იქიდან აფენს ის ღვთიურ შარავან
დედს მთელ ცისქვეშეთს, როგორც სავანე სამი მოქიშპე
რელიგიისა და სათნოებით მოუწოდებს მსოფლიოს სალხებს
რჯულთშემწყნარებლობისა და მშვიდობისაკენ. აი, აქე-
დან წარმოსდგება მისი კიდევ ერთი სახელი – მშვიდო-
ბის ქალაქი. ამას გულისხმობს თორის ბრძანებაც:"ქი
მიციონ თეცე თორა!" – "რამეთუ სიონიდან გამოვა მო-

ძღვრება!" ეს მოძღვრება სხვა არაფერია, თუ არა ერ
თობის ხელით დამანგრეველ ძალთა ძლევა და ქვეყნად
მტკიცე მშვიდობის დამყარება. ამაში მდგომარეობს არ
სი კაცობრიობის გადარჩენისა, რაც შორეულ წარსულში
განჭვრიტეს ებრაელი ერის წინასწარმეტყველებმა, მაგ
რამ არც აგრე ადვილი სავარაუდებელია ის, თუ როდის
დაუდგება იარაღის ჟღარუნისგან მარად მშფოთვარე ადა-
მიანს ნანატრი დღებედნიერი. ომებს ხომ სამყაროს გა-
ჩენის დღიდან ჩაეყარა საფუძველი ძლიერთა გასაბატონე
ბლად სუსტებზე, თუმცადა...

მიზეზ-მიზეზ დის მარილი აკლიაო! ბრძანებენ ბრძენ
ნი. და მართლაც, რა გამოლევს ქვეყნად ომებისა და შუღ
ლის მიზეზს. რამდენი ხანი ხეტიალობდა უმიწაწყლო ებრა
ელი უმისამართოდ, მაგრამ უსამშობლობამაც ვერ დაიხსნა
იგი მტრობის მიკრობისაგან. ამან მისცა საფუძველი იუ-
დოფობიის ანუ ებრაელთმოძულეობის უკურნებელ სენს, ხო-
ლო ეს მიკრობია "რჩეული ერის" ცნება.

ებრაული გაგებით, როგორც ღვთისმეტყველების საფუძ
ვლებში განსწავლული ერთმორწმუნისა თუ არაერთმორწმუნი
სათვის გახლავთ ცნობილი, "რჩეული ერი" გულისხმობს იმ
უმძიმესი ტვირთის ზიდვას, რასაც თორით ნაკარნახევი
კანონები აკისრებენ მოშეს რჯულის მიმდევარს. ებრაელთ
მოძულენი კი ამ ცნებას რასიზმთან აიგივებენ, იმ რა-
სიზმთან, რომელიც მსოფლიო ხალხებზე გაბატონებას ისა-
ხავდა მიზნად ჰიტლერისა და მისი დამქაშების ბოროტგან
ზრახვით და ყველასათვის ცნობილია მისი სავალალო შედე
გი: ორმოცდათხუთმეტი მილიონი მსხვერპლი ახალი სტატის
ტიკური მონაცემების მიხედვით, ხოლო მათში ექვსი მილი
ონი ებრაელის დამქრალი სანთელი!

გამომდინარე ზემოთქმულიდან, ებრაული "რჩეული ერი
სათვის" რასისტული სარჩულის დადება, ანდა მასთან გაი

გივება წმინდა წყლის სიგიჟე, რაც ცხადზე უცხადესია საღად მოაზროვნე ადამიანისათვის: დღეს დღეობით ებრაელობა სულ თოთხმეტნახევარ მილიონს ითვლის, რომელთაგან სამი მეოთხედი ისრაელის ფარგლებს გარეთაა მიმოფანტული უცხო ბუდეებში. ამ ფაქტიდან გამომდინარე, რომელი ჭკუათამყოფელი იტყვის, რომ შესაძლებელი იქნება დაპყრობილი ტერიტორიების შენარჩუნება, თუკი მათ საკუთარი ხალხით ვერ დაასახლებს დამპყრობი?! თუმცაღა, ვინ რა თავში იხლის სად მსჯელობას იმის თაობაზე, რომ ამგვარი მიზანი შეუძლიათ დაისახონ ალაჰის მიმდევრებმა, რომელთა სიმრავლე საგრძნობლად აგდებს უკვე საგონებელში თვით მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებს...

ერთი სიტყვით, ებრაელთმოძულეობის შხამით გაჟღენთილთ მხოლოდ ის ესმით, რაც მათ ავ ზრახვებს აწყობს. მაგრამ ვინ არ უწყის, რომ ეს ერთი შხამიანი სიტყვაც საკმარისია ამ ავი სენით დასნებოვნებული ძალების და სარაზმავად ალაჰის დროშის ირგვლივ დავითის ფარის საპირისპიროდ..

თუ გავითვალისწინებთ დღევანდელი ერთი ციდა ისრაელის სახელმწიფოს სამხედრო და ტექნოლოგიურ ძლიერებას, რის წყალობითაც ის ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა მსოფლიოში, ძალთა ამგვარი უთანასწორო განლაგება მოგვაგონებს ტანმორჩილი, ჩაუქი დავითის შებმას მთაკაც გოლიათთან. შესაძლოა, ბევრმა ჩვენმა თანამემამულემ არ იცის, თუ რა საარაკო შერკინება მოუხდა ჯერ კიდევ მოზარდ მწყემს დავითს ამ ფილისტიმელთან, და ამიტომ მოგასხენებთ აქ ამ საგმირო ამბავს ბიბლიიდან.

ფილისტიმელები ხელს არ იღებდნენ ომზე ისრაელის
წინააღმდეგ და წარამარა დაძრწოდნენ შაულ, იგივე სა-
ულ ამელეხის მიწა-წყლის დასაპატრონებლად. ერთ საბე-
დისწერო დღეს ისინი ქალაქ სოქახთან დაბანაკდნენ და
ომის სამზადისს შეუდგნენ. შაულ ამელეხი მსწრაფლ გაე
შურა თავისი ჯარითურთ, რათა თავის საბრძანებელში შე
საჭრელი გზა გადაეკეტა თავდამსხმელთათვის. საბრძოლო
მზადყოფნაში მოსული მოწინააღმდეგენი ორ მოპირდაპირე
მთაზე იყვნენ განლაგებული. ისინი მთებს შორის მდება
რე ვიწრო ხეობაში უნდა შებმოდნენ ერთმანეთს, რაც ორ
თაბრძოლით უნდა დაწყებულიყო. მაგრამ მოხდა ისე, რომ
ისრაელიტელთაგან ვერავინ ბედავდა ფილისტიმელთა ქა-
ლაქ გეთის მკვიდრ გოლიათთან შერკინებას. თავით ფეხა
მდე მძიმე ჯავშან-მუზარადში ჩამჯდარი,ვეებერთელა სა
ტევრითა და გრძელი შუბით შეიარაღებული გოლიათი გულ-
დიდად გამოდიოდა საზღვარზე ყოველ ცისმარე მოწინააღმ
დეგესთან შესახვედრად, მაგრამ ამაოდ. ბოლოს,რაკი და
რწმუნდა, რომ მასთან შებმას ვერავინ ბედავდა, ლანძ-
ღვა-გინებითა და დაცინვით იკლებდა ისრაელიტელებს.

ამგვარ ყოფაში, შაულ ამელეხი და მისი მთავარსარ
დალი აბინერი, სხვა სარდლებზე რომ აღარა ვთქვათ-რა,
კარვებიდან თავს ველარ ჰყოფდნენ გარეთ სირცხვილისა-
გან. ასეთ თავმოყვარეობის შემლახავ მალვაში განვლო
ორმოცმა დღემ. მოწინააღმდეგეთა სიმხდალით გაყოყლოჩი
ნავებული გოლიათი უფრო და უფრო მეტ ლანძღვა-გინებას
აფრქვევდა ლაჩარი ისრაელიტების მიმართ, და არცთუ გა
საოცარი იყო ეს. თავგასული მტრის შემყურე შაულ ამე-

ლეხი ბოლმით იხრჩობოდა. ხამარცხვინო მდგომარეობისა-
გან თავის დასაღწევად მან ისღა გამოაცხადა ბოლოს და
ბოლოს, რომ ის ფალავანი, რომელიც გოლიათის გამოწვე-
ვას მიიღებს, გათავისუფლებული იქნება გადასახადები-
საგან; სამეფო ქალიშვილს ცოლად მიიღებს და
ვისიძებ უფროსი ქალიშვილისათვისაო. მაგრამ ფილისტი-
მელთა გოლიათმა ისეთი შიშის ზარი დასცა ისრაელიტელ-
თა მებრძოლთ, რომ ვერავინ ბედავდა მასთან ძალის მო-
ზომვას.

შაულის ჯარში იყო იესეს სამი უფროსი ძეც. დავი-
თი, როგორც ყველაზე უმცროსი, შინ დაეტოვებინათ, მაგ
რამ უსაქმოდ გულხელდაკრეფილი როდი იჯდა მწყემსი ბი-
ჭი: ლაშქრად წასულ ძმებს საჭმელ-სასმელს უზიდავდა
ბანაკში. ერთ დღეს მან საკუთარი ყურით გაიგონა, თუ
რა ლანძღვა-გინებას უთვლიდა გოლიათი მის თანამოძმე-
ებს და ღაფში სვრიდა ყოველივეს, რაც წმიდათა წმიდა
იყო მისი სალხისათვის. თავმოყვარე დავითი საშინლად
განარისხა ურწმუნოს მკრეხელობამ და ძმებს განუცხადა,
გოლიათის გამოწვევას მე ვიღებო. ბრძოლებში გამოწრთო
ბილ მეომრებს სასაცილოდ არ ეყოთ ტანმორჩილი ჭაბუკის
ქადილი, მაგრამ რახან დავითი არ იშლიდა განზრახულს,
ძმებს გული მოუვიდათ და მკაცრად უბრძანეს, დაუყოვნე
ბლივ გაეცალეო აქაურობას. თუმცა, თქვენც არ მომიკვ-
დეთ: შაულის შემდგომ მეფედ დათქმულს ვერა და ვერ გა
დაათქმევინეს სიტყვა.

მწყემსი ბიჭის ამ ზვიადმა გადაწყვეტილებამ შაულ
ამელესიც გულიანად აცინა, მაგრამ მოგეხსენებათ, იცი
ნის ის, ვინც ბოლოს იცინის! რაკი ვერაფერი გააწყვეს
ძმებმა, ბოლოს შაულ ამეოესმა შეიწვია დავითი საკუ-
თარ კარავში და მამა-შვილურად უთხრა:"ვერ შემძლებელ
ხარ შენ ბრძოლად ფილისტიმელისა და წინ-დადგომად მი-

სა, რამეთუ ყრმა ხარ, ხოლო იგი მბრძოლ არს სიჭაბუკით-
გან".

დავითი მაინც ჯიუტად იდგა თავის ნათქვამზე და შა-
ულს დასარწმუნებლად უამბობდა, თუ როგორ უბრძოლია ფარა
ში შეჭრილ ლომებთან და ვეფხვებთან ცხვრის გადასარჩე-
ნად... ბოლოს, როგორც იქნა, დაარწმუნა, რომ არც ლონე
აკლდა და არც მარიფათი გოლიათთან გასამკლავებლად. რა
და გზა იყო; შაულმა თავისი აბჯარი ჩააცვა დავითს; თავ
ზე საკუთარი მუზარადი დაახურა; საკუთარივე ხმალი შემო
არტყა წელზე და უბრძანა: კარავში გაიარ-გამოიარე, რომ
დავრწმუნდე, მართლა შესძლებ თუ არა სიარულს ფარ-ხმალ-
ასხმულიო. რა თქმა უნდა, სუსტი აღნაგობის ჭაბუკმა ვერ
იტვირთა მძიმე საჭურველი და განაცხადა: ჩემებურად,მხო
ლოდ მწყემსურად ჩაცმულს მირჩევნიაო ბრძოლა გოლიათთან.
ამის გამგონე შაულ ამელესს ფერდები კი დაასკდა სიცილი
საგან, მაგრამ კამათს თავი დაანება და დავითი საკუთარ
ნებაზე მიუშვა.

დავითს ბევრი არ უფიქრია. იქვე ხელი დაავლო კომბალ
სა და თავის შურდულს; ხუთი სიპი ქვა აკრიფა მდინარის-
პირას, წამოიწყო ღვთის სადიდებელი საგალობელი და ხეო-
ბისაკენ აიღო გეზი გოლიათთან შესახვედრად. ტანმორჩილი
ჭაბუკის დანახვაზე ისეთი ხარხარი აუტყდა გოლიათს, რომ
მთებმა ზანზარი დაიწყეს. ამ ხარხარს მოაყოლა უშვერი
ლანძღვა-გინება დავითის მიმართ. მთავარი აბუჩად იგდებ-
და მას სუსტი აღნაგობისა და წითური თმისათვის; კომბლის
დანახვაზე ხომ ლამის გაიგუდა სიცილისაგან, ხოლო მერეღა
ეს შეუყვირა მეტის მეტი აღშფოთებისაგან:"რად მოსვალ არ
გნით ჩემზედა? ნუთუ ძაღლ ვარ?" მაგრამ ანაზდად მას ეჭ-
ვის ჭია შეუჩნდა გულში: ვაითუ ისრაელიტელები აბუჩად მი
გდებენ და ამისათვის გამომისიესო უსუსური ყმაწვილი. ამ
ის გულში გავლება იყო, რომ ლანძღვა-გინებას ზედ დააყო-

და ეს მუქარაც: ამგვარი კადნიერებისათვის ყვავ-ყორნებს მივუგდებ შენს გვამს საძიძგნადაო. დავითმა აინუნში არ ჩააგდო გოლიათის მუქარა და დარბაისლურად გააფრთხილა: მოემზადე, იაჰვეს ნებით ახლავე წუთისოფელს უნდა გამოესალმოო.

ამ სურათის შემყურე ორ მთაზე დაბანაკებული მეომრები სულგანაბული ადევნებდნენ თვალს უთანასწორო მალის ფალავანთა შეხვედრას. ფილისტიმელებს ეგონათ,რომ მათი მთაკაცი ერთი ხელის მოქნევით გააკრავდა დედამიწას ულონო ჭაბუკს. ისრაელიტელები კი გულისფანცქალით შესცქეროდნენ გულად ყმას, რომელიც ამგვარი მიამიტი გულადობით უსწორებდა თვალს გამოუცნობ ბედისწერას.ამგვარ შემთხვევაზეა ზედგამოჭრილი: ღმერთი დიდია, ყარიბო, გული ნუ შეგიშინდების!

რა იცოდა გულზვიადმა გოლიათმა, რომ ყველაფერი ბედისა და განგების ხელშია! ის იმდენად იყო დარწმუნებული გამარჯვებაში, რომ შეხედვის ღირსადაც არ ჩათვალა ტანმორჩილი ჭაბუკი, ისე მოიმარჯვა ვეება ხმალი. ამით ისარგებლა დავითმა: მალულად ამოიღო სიპი ქვა თავის მწყემსური აბგიდან და შურდულით ისეთი ძალით სტყორცნა ის გოლიათს, რომ წამიერად შეულეწა შუბლის ძვალი და უსულოდ დაანარცხა დედამიწაზე ფილისტიმელთა მთაკაცი! დიახ, მართლად უთქვამთ ბრძენთ: მჯობნის მჯობნი არ დაილევა ამქვეყნად!

გოლიათის მოულოდნელმა მარცხმა საშინელი არეულობა შეიტანა ფილისტიმელთა ჯარში. ამ ხელსაყრელი მომენტით გაგულადებული ისრაელიტელებიც ისეთი რისხვით დაასკდნენ თავს მტრის რიგებს, რომ თავქუდმოგლეჯილი გააქციეს თავიანთ გამარჯვებაში დარწმუნებულნი. ასე სდიეს ფეხდაფეხ გაქცეულ მტერს და აურაცხელი ნადავლი ჩაიგდეს ხელში. რაც შეეხება მწყემს ბიჭ დავითს, მისთვის უძვირფა-

სესი მონაპოვარი იყო ამ უთანასწორო ორთაბრძოლაში მოპოვებული სამხედრო დიდება და პოპულარობა თავის თანამოძმე ისრაელიტთა შორის. ეჭვი არ არის, რომ ამ სწორუპოვარმა შემართებამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი იუდეველთა მომავალ მეფე-მთავარს ისრაელიტელი დაქსაქსული ტომების გაერთიანებაში და უმძლავრესი სახელმწიფოს დაარსებაში, რომლის ბადალი არ მოეძევა ებრაელი ერის უძველეს მატიანეს.

ასეთია ცხოვრების ჩარხის ტრიალი, რომელმაც კვლავ წალმა იბრუნა პირი და ორი ათასი წლის წინ გაპარტახებულ ებრაელთა ნასახლარზე დადგა ისევ ის სამეფო კარავი, რომლის თავზეც ამაყად ფრიალებს თეთრ-ცისფერი ბაირაღი ექვსქიმიანი დავითის ფარით, რათა მით ამცნოს სამყაროს ძველ-ახალი ერის აღორძინება.

მართალია, მცირეა ისრაელის მიწა-წყალი და უაღრესად მცირერიცხოვანია მის საზღვართა დამცველი ცაჰალელების რიგები, მაგრამდა ნაირ თემთა ერთ მწყობრად დარაზმული არწივ-შევარდენნი ზედმიწევნით ამართლებენ რომაელი ისტორიკოსის, პლინიუსის სხარტულას:"ცოტა, მაგრამ ბევრი!" სადა და გასაგები ენით ეს ნიშნავს: რიცხვით ცოტა, ღირსებით ბევრი! და ვინ არ იცის, რომ საარაკო მიღწევათა წყალობით დღეს მსოფლიო აღიარებს პატარა ისრაელის ჯარს უძლიერესად მთელი დედამიწის ზურგზე; ამ თვალსაზრისით, დღევანდელი ისრაელის სახელმწიფო წარმოადგენს პატარა, ჩაუქ დავითს, რომელიც გამამხნევებ

ლად ჩახჩურჩულებს ყურში ღმერთის ერის, ქვეყნის, იერუშალაიმისა და თორის მცველს მარად და ყველგან:"ალ თირა, იაკობ!" — იაკობი ხომ იგივე ისრაელია იმ დღიდან მოყოლებული, რაც უზენაესმა აკურთხა იგი ამ სახელით, როგორც იცხაკის კანონიერი მემკვიდრე და ებრაელთა ცოდნის მამამთავარი.

"ალ თირა, იაკობ!" — "ნუ გეშინია, იაკობ!" იქცა ჭირში კაჟებრ შემართების მოწოდებად ებრაელი ხალხისათვის მრავალსაუკუნოვანი ხეტიალის გზა-ბილიკებზე, რასაც მახუღდგმულებელ ელექსირად ეშველებოდა ის ფსალმუნი თორიდან, რომელიც არაორაზროვნად შთააგონებდა მორწმუნეებს:"ღმერთია შენი მფარველი, ზოგჯერ აშკარად, ზოგჯერ ფარულად!"

ახე გადაიქცა საუკუნეთა დევნა-წამების ქარცეხილებში ებრაული წმინდა სამება — თორა, ერეც ისრაელი და იერუშალაიმი — ებრაელი ერის მორალურ საყრდენად, რამაც შეხამლებელი გახადა უსხეული ოცნების გარდასახვა ხელშესახებ რეალობად.

ამრიგად, ეს წმინდა სამება გახლდათ ის მარად უძლეველი ფარიცა და ხმალიც, რომელიც უყანგავ ფოლადივით ელავდა ავბედითობით მიმოფანტული ხალხის თვალსაწიერზე. იერუშალაიმისა და ერეც ისრაელის წმინდა სახელებზე აღავლენდა ნაცვრადქცეულ ლოცვა-ვედრებს მარად მოხეტიალე ებრაელი თავისი განუყრელი და ერთგული მეგზურის — თორის გაყვითლებული, მაგრამ მაინც გაუხუნარი ფურცლებიდან. ამ წმინდა სამების მაღლი მაცებდა ეულს შ ი ნ დაბრუნების რწმენას, რამაც უზრუნველყო ებრაელი ერის სიცოცხლისუნარიანობა და მისი დაუოკებელი ლტოლვის ყინი წინაპართა დამრწევი აკვნისაკენ, რათა განახლებულ ნაფუძარზე აღევლინა შინ დაბრუნების სამადლობელი უზენაესის სახელზე!

დღეს მსოფლიოს ყურადღების ცენტრში დგას აწალკო
ტებული ძველ-ახალი ერის ტახტი და გვირგვინი – ერეც
ისრაელი და იერუშალაიმი. ეს გახლავთ ის სასწაული,
რაც ურწმუნო და ღვთისმგმობ თომებსაც ღვთისმოსაურად
ახრევინებს ქედს უზეშთაესის ყოვლისშემძლეობისადმი.
თითქოდა არაფერია ახალი ამ განცხადებაში, მაგრამდა
თუ ღრმად ჩავუფიქრდებით წინასწარმეტყველთა ნათელხი
ლვის აღსრულების ფაქტს, უცილობლად დავასკვნით: თო-
რისეული აღთქმების აღსრულება წარმოადგენს იმ განუ-
საზღვრელი მნიშვნელობის სასიცოცხლო წყაროს, რამაც
უნდა იხსნას კაცობრიობა და ცისქვეშეთის ედემი ატომ
ნეიტრონის დამანგრეველი ძალის რისხვისაგან. და ვფი
ქრობ: ეგებ ამგვარი გამაფრთხილებელი ნიშანი მოგვცა
განგებამ ხიროსიმას თუ ნაგასაკის ტრაგედიით და ჩერ
ნობილის რეაქტორის აფეთქებით?!...

ფიქრთა ამგვარ მდინარებაში მოტივტივებენ უზე-
ნაესის სიტყვებიც, რომელთა წყალობითაც მოაწერა ხე
ლი უკვდავებაზე მარად დევნილმა ერმა:"მე დავსახე
შენს წინაშე სიცოცხლე და სიკვდილი; კურთხევაცა და
წყევაც; იმისათვის უნდა აირჩიო შენ სიცოცხლე, რომ
ვინძლო იცოცხლო შენ და შთამომავალმან შენმან. და
უნდა იცხოვრო შენ იმ ქვეყანაში, რომლის ბოძება შე
ჰფიცა ზენაარმა წინაპრებს შენსას: აბრაამს, ისაკ
სა და იაკობს!"

მწამს, რომ ებრაელი ერის თვალსაწიერიდან აძ-
ლევს უსაფრთხოების უწმინდეს აღთქმას ქვეყნიერების
შემოქმედი ყველა ხალხს, რათა მშვიდობიანად იცხოვ-
რონ მათ თავიანთ წინაპართა ვაზისა და ლეღვის ქვეშ.

9 . 9 1986 წ.

## ს ი ო ნ ი ს  ს ხ ი ვ ი

ბევრმა ღელვამ გადიარა მაგ შენს მკერდზე,
ტანჯულ ერის დატანჯულო მიწავ,
მაგრამ ვერგზით დაგავიწყეს ძველი მკვიდრი,
ვინც შენს სახელს სამშობლოდ ფიცავდა.

შენს სახელით უმკლავდებოდა ის სიკვდილს,
მით ბედისწერას მრავლგზის ეურჩა;
თორისა და წმინდა ქალაქის თანდგომით
ჰამანთ,
        ბოგდანთ,
                ჰიტლერთ
                        მრავალთ გადურჩა.

დარჩა მარად სიონის სხივის მლოცველი,
მგზნებარე ტრფიალი მდევ აჩრდილის,
რომ იქ ვარდფურცლობის ორ მეათასე თვეს
კვლავ ეხვა სადღეგრძელო სიცოცხლის!

29 IO I979 წ.

## ა ნ ა ბ ი ო ზ ი

ანაბიოზი!
რამ გამახსენა მე ეს სიტყვა,
ბერძენთ
კეთილხმოვნად რომ უთქვამთ ისეთ სხეულზე,
რომელს გარეგნად
არ აქვს სიცოცხლის ნიშან-წყალი,
მაგრამ უჩინრად
ფეთქს და ცოცხლობს ღვთის ამბიონზე.

ანაბიოზი —
ეს ხომ შენ იყავ, ისრაელო!
ანაბიოზი —
ეს ხომ შენ იყავ, მოშეს ერო!
თუმც აცხადებდი
მათ გარდასულ დღეთა ლეგენდად,
მაგრამ ცდებოდი,
აბრაამის მოსისხლე მტერო!

გამოცოცხლება
ენის,
ერის,
მიმქრალის ქვეყნის,

არს ხელი,
მწერალი კედელზე უმაღლეს არსის,
ვინც
გამაფრთხილებლად გვითითებს საღვთო წყაროზე
მშვიდობისა და სიცოცხლისა
ღვთის სახებისთვის!

25. 8. I978 წ.

"მე ჩემს ხელთა მაქვს ძალა-უნარი, რომ შემოვაქციო მთელი მხოლოდ აბსოლუტური სიკეთისაკენ, და არა მარტო უბრალო მოკვდავნი, არამედ ყოვლად ალალ-მართალნი და უდიდესნი ამა ქვეყნისანი. მე ძალმიძს მათი შემოქცევა, რამეთუ აუცილებელია ალალ-მართალთა შემობრუნება. ნუ გგონიათ, რომ მხოლოდ ებრაელი ერისა. მე ძალმიძს შემოვაქციო ცისქვეშეთის ყველა ერი!"

თუ გწამთ, რომ შესაძლებელია დაქცევა, გწამდეთ ისიც, რომ შესაძლებელია აღდგენაც!"

ოვადია გაონი /892 - 942/
შუა საუკუნეების პროგრესულად
მოაზროვნე ფილოსოფოსი

## ი ა დ ვ ა შ ე მ ი

ბაბი იარი, ოხვენციმი...
მიწა ცოცხლად დარწეული...
წამება და შავი ჭმუნვა
ცრემლად, სისხლად დანთხეული...

დანთხეული დარდად, ბოღმად,
გაუგონარ ავკაცობის...
ძრწოლვით, კრულვით მოსაგონნი
ბანაკები დღეთ სიმწარის...

რა ენამ სთქვას და აღწეროს
ერის განცდილი სიმწარე?!
სახსენებლად — ამაზრზენი,
განსაცდელად — ცრემლი მლაშე...

დღესაც ზურძგლავს იმათ მხილველთ
იმ დღეთ სახსოვრად შთენილი
სამოს-ფეხსაცმელ-ცალითი,
მორწმუნე მსხვერპლთა გახდილი...

ვინ აღირსა იმ წამებულთ
გახსენება სადა სიტყვით?!
ვინ აღირსა მათ ნარჩენ ძვლებს
გადაფარვა თუნდაც სიპ ქვით?!

ისევ დედამ, მშობლის კალთამ
მიიბარა ტანჯულთ ძვლები:
ერთი მუჭა, საძმო საფლავს
ისრაელს მინაბარები...

გამოსტაცა უსახელო
საფლავთ ნაცისტების მსხვერპლთა,
სახელდებულნი ზვარაკად
უთვალავ ხალხთა და თემთა.

ო, ძნელია, გაიხსენო,
რა რისხვით ბრუნავდა ბედის
ბორბალი იმ მანიაკის
მიერ დანთულ ომის წლებში...

მხოლოდ სიტყვა "ებრაელმა"
შექმნა ერის მოსრის გეგმა;
მით ააზვირთა მეწყერი
და მსოფლიო წარღვნის დელგმა.

იმსხვრეოდა ლაწალუწით
სიცოცხლის ხე ნაირ ტოტთა...
ალი ნთქავდა დავითის ფარს
ჩამოტეხილ ვარდის შტოსთან...

წინ აღუდგა დასაწყისში
მილიონთა ხოცვა-ჟლეტას
მხოლოდ კრემლი... და წყალობდა
ამად ღმერთი იოსებსა...



ადი ნოქავდა დავითის ფარს ჩამოფჯესილ ვარდის მტოსთან.

ო, ეგებ ამ მადლით წილხვდა
მარჯი სტალინის არმიას,
რომ დაამინა ურჩხული,
კაცთ მოსრის მწადი მტერია?!

ეგებ იმ მსხვერპლთ მადლით აღდგა
მკვდრეთით აღთქმული ქვეყანა,
რომ არასდროს განმეორდეს
უსამშობლობა და დევნა?!

დაიბრუნა მან ის ძვლებიც,
ბანაკებში დაშთენილნი,
და მით დასდგა სამახსოვროდ
ძეგლი, წარსულის მოძღვნილი.

ასე დაჰხურა წამებულთ
უკვდავების ქვაც გათლილი,
წარწერით:"ვერცხლის ლანგარზე
ფერფლილთ ერის სიმძიმილი!"

პაპი გრეგორი მეცხრე, გმობდა რა ჯვაროსანთ, რომელნიც ებრაელებს აწიოკებდნენ, ასე ჩიოდა: "ჯვაროსნები აინუნშიაც არ აგდებენ იმ ფაქტს, რომ ქრისტიანული სარწმუნოების საფუძვლები არქივებიდან მომდინარეობს და საბოლოოდ ნაშთი მათი გადარჩება, რამეთუ უზენაესი სამუდამოდ არასოდეს აიღებს ხელს თავის სალხზე"–ო.

## ოცნების კოშკი

ო, არ შეგვეძლო,
   რომ მიგვეცა დავიწყებისთვის
შენი სახება,
   ვით ნაზამთრი თოვლი დამდნარი,
და ჩამოღვრილი
   მთებზე შმაგი წყლის ნაკადებად,
სუნთქვებრ შერწყმული ზღვას,
   ვით ზვირთი ის ბობოქარი.

შენ ხომ ნანატრი
   მიწა იყავ მამა-პაპათა;
ვერ ამოგიღო
   შენ გულიდან ვერ-რა წამებამ;
ვერ დაგვავიწყა
   ეგ ხატება გასაოცარი
ხიზნობის ქვეყნის
   მშვენებამ და ათინათებამ.

მით დარჩი მარად
   შენ ოცნების კოშკი ნანატრი,
ვით მთვარე ბადრი,
   ლაჟვარდ ცაზე გადმოკიდული;

და ვერ ბინდავდა
    მაგ ზეციურ ნათებას შენსას
ცილისწამება,
        დევნა,
            ტანჯვა,
                წამება კრული!

"მე ვარ ღმერთი ყოვლად მძლე. აღორძინდი და
გამრავლდი. შენგან იყოს დასაბამი ხალხთა
მრავალთა, და მეფენი გამოვლენ წელთა შენთა-
გან, და ქვეყანა, რომელი მივეც აბრაამსა და
იცხაკს, მოგცე შენ. შენდა იყოს იგი და ნათე
სავისა შენისა შემდგომად!"

# ზეციური ქორწინება

თორა დედოფალია, წმინდა კავ
შირით შეუღლებული ერეც ისრა
ელთან, რომელთაც იერუშალაი-
მი უბოძა ზენაარმა სამარადი
სო ტახტ-საბრძანებლად.

თალმუდის მიხედვით

ზენამ დაგიკურთხა
წმინდა ქორწინება,
თორავ, გვირგვინფსკვნილო
ერეც ისრაელზე,
რომ ტახტად დაგიდგა
ღვთიური ქალაქი,
კოხტად შეფენილი
წმინდა მთის კალთაზე.

ამ წმინდის შესინის
მზის ათინათები
გრძნეულ მუქად სცემდა
ეკალ-ნარის გზაზე,

რომელიც განგების
    ხელით, ვით კომპასი,
მტკიცედ მოგვიძღვოდა
    ჩვენს ძველ ნასახლარზე.

ამ წმინდ სამებისთვის
    თავგანწირულებამ
ასულდგმულა ერი,
    განგების რჩეული;
და, სასწაულებრივ,
    კვლავ შინ დააბრუნა
ოდეს უსამშობლო
    მოშეს სახლეული.



# ნათლის შვილი ვარ

გესმოდეს ისრაელსა, უფალი
ღმერთი ჩვენი მხოლოდ უფა-
ლი არს!

/ შემა, ისრაელ!/

არ არს ადვილი!...
მე ვარ შვილი ძველის ერისა:
აბრამ,
იაკობ,
იცხაკ,
მოშეს შთამომავალი;
თავზე გვირგვინად
მადგას მუქი სოლომონ ბრძნისა,
ფარით დავითის,
ზნელში გზამნათ იელოვასი.

მით იყო ძნელი
გადახვევა დათქმული გზიდან;
გარდავიწყება
შორით მბრწყინავ ღვთიურ ლამპრისა;

ხელის აღება
   ხინას მთაზე ნაზომ ფიცრიდან,
ან უფლად ცნობა
   ჩვენივ ხისხლ-ხორცის –
                  მაცხოვრისა.

"ერთი არს ღმერთი!
   უფალი არის ღმერთი ჩვენი!"
ამას აცხადებს
   იოსებ ქრისტეს წმინდა ცნებაც,
რაც ახალ აღთქმად
   სახელდებული ღვთის სამწყსოსთვის
ძველთ ძველ აღთქმასთან
   ერთობ ბიბლიად იწოდება.

აი, რად ვრაცხ თავს
   ნათლის შვილად სიონის მთისა,
ვინც შვა მნათ სხივად
   მოძღვრება ხალხთა ერთობისა;
კაცთმოყვარების,
   შემწყნარებლობის
               და მშვიდობის
საქადაგებლად,
   რომ მოშგვაროს
               კაცთ მოდგმას შვება!

1977 წ.

## ღვთის საბოძვარი

მოძღვართ მოძღვარო კაცობრიობის,
წინასწარმეტყველთ გონის ნათებავ,
თავდებო ღვთისგან, რომ სამწყსოს მისას
არ უწერია გადაშენება.

არ უწერია მის ხეს გახმობა,
კვლავ გაიხარებს ძველი ბუნება;
ზენარის ალთქმულ ერთ გოჯ მიწაზე
ფესვნი მრავალძარღვებრ უმრავლდება.

ქვიშის ურწყავიც, ნახორშაკალი,
ხოდაბუნებად გადაბრუნდება;
აგვირისტდება ჭრელ–ჭრელ ნოხებად,
ზვრებად აიყრის და დაშაქრდება.

უძველეს დროის შვიდი ნაყოფიც
შვიდი ათას სახედ მოშენდება
იმათ გენიით, ვინც ადნობს ქვიშრობს,
რომ აძლიერობს ერის დიდება.

მძლავრად იქოჩრებს ტყე ძველ ხეების,
ძველ ნიადაგში ახლად დარგული;
აშრიალდება მშვიდობის მაცნის
ჭალაც ზეთისხილის, დაფარჩული.

შვილებრ ნაზარდ ტყის სტავრის თუ დიბის,
გინდ ნაზ ზღვაურის ფერთა ლივლივში,
ლაჟვარდს შეერწყმის მთელის სიონით
ლოცვა საზეო საგალობლებში.

ზურმუხტ ფოთოლნართ ამო შრიალში
ქარიც წარილებს ამ ხმას საკვირველს:
"ჰო, ახლა თორით ნაქადაგები,
აღსდგა დავითის ტახტი ისრაელს!"

ახალ ფირმანით მოატანს მტრედიც,
ვით ნოეს სიცოცხლის კიდობნიდან,
რომ ფრენდეს ქვეყნად სიკეთის მაცნედ,
ნაკურთხი თვით ღვთის საბრძანებლიდან.

შემოუქროლებს ბაღნარად აშლილ
ზეთისხილების ზურმუხტ ხეივნებს;
გულს მოიჯერებს მათთან ღუღუნით
და ფიცის ბეჭდად მწვან რტოს წაიღებს.

ამ ნიშნით ამცნობს მსოფლიო ხალხებს,
რომ აქ ღვთის სახლი ისევ დაიდგა;
დაისადგურა შიგ იმ ძველ მკვიდრმა,
ვის აკვანიც აქ პირველ დაირწა.

ამცნობს ცას, მიწას, რომ მით დაიძრა
მკვდარი წერტილით ერთობის ნავიც,
და ქვეყნად მშვიდობის მისაღწევად
წინ უბიძგებს სიონით ნიავიც.

ნიავთან ულულუნებს ის ხალხებს,
რომ მათ ხელშია სიცოცხლის საჭე,
რათა ზეიმობდეს ერთა შვებით
ზენართან წმინდ ქალაქის კარიბჭეც...

ვფიქრობ, ახლა სწამთ, რომ ძველი წიგნი
არს ნააზრევი ღვთის მოციქულთა,
ვინც კაცობრიობის გარიყრაყზე
ზუსტად განჭვრიტეს ბედი ჩვენს დღეთა.

ეს არის მართლაც სასწაულებრი
ნიჭი, უნარი ზეგრძნებად არსთა,
ვისაც უჩინრად ეთათბირება
მამა-ღმერთი და მხლებნი მის დასთა.

# ხმა ღვთისა და ხმა ერისა

ხმა ღვთისა:

ჰე, დაჰკრა ჟამმა!
　　აღსრულდეს სიტყვა,
რომელიც მივეც
　　ოდესღაც მოშეს:
აღსდგნენ ტაძარნი,
　　რომ ნაოხარნი,
იუდეას და
　　უდაბურს ნეგევს!
შემოიკრიბოს
　　მით გაფანტული
სამწყსო სიონის
　　ერეც ისრაელს!

ხმა ერისა:

მაგრამ, უფალო,
　　ნაბრძანები არს:
"სახლს ნუ ააგებ
　　ქვიშასა ზედა?!"
და ვით დაიდგას
　　ტაძარი წმინდა
მზით დაშაშრულს,
　　ურწყავს სტეპსა ზედა?!

ხმა ღვთისა:

ქვიშა გადადნეს
   ხოდაბუნებად,
რომ მით ურწყავი
   იქცეს სარწყავად!

ხმა ერისა:

დე, იყავნ ნება
   სიწმინდის შენის!
დაეც დასცურად
   ფირმანს ბეჭედი,
და აღშენდების
   გაფანცულთათვის
სახლი
   ქვიცკირით გამონაჭედი!

სიცყვის დასცურად
   ზენით გაისმა
ჭექა, ქუხილი,
   ხმა ღაღადისის
ანგელოსთ...
   და ძირსაც აღავლინეს
ღვთის სახელზე
   ქება საკადრისი!

## უ დ ა ბ ნ ო ყ ო ფ ი ლ ს

ვინ სთქვა, უდაბნომ
    თვის წიაღში ახაროს ნერგი?!
ვინ სთქვა, ხრიოკი
    აბიბინდეს ზღაპრულ ფერებად?!
ვინ სთქვა, ქვიშრობი
    მოისატოს სამოთხის ბაღად,
ოაზისებად,
    სპარსულ ნოხებად გადიქარგოს?!

ეს ხომ ლეგენდა
    არის, მსგავსი იკაროსისა,
ფრენის მოსურნე,
    მითურ კაცის ტოლდასადარი?!
თუმცა ჩვენს დროში
    ფრთაც შეისხა მისმა ოცნებამ,
და მიაღწია მის სახებამ
    ზეცის თაღებსაც.

იყო ოცნება,
    გარდისახა უცხადეს ამბად!
იყო ზღაპარი,
    გარდაიქცა ჭეშმარიტებად!
გატყდა ყაზახეთს
    ყამირი და მას ტყუპის ცალად

სიონის მთასთან,
    აქ ნეგევი ეხმაურება.

გაჩნდა ბრძმედები,
    პიტალო კლდეთ დამადნობელნი;
გაჩნდა მოსახლე,
    დამამშვენი ძველის ბუნების;
ცად ატყორცნილან
    სართულებად ცათამბრჯენები,
ახალმოსულთა
    დასახვედრად დანამზადებნი.

ვალდებულების
    გრძნობით ილებს დანახვედრ კერას
შორი კუთხიდან
    ჩამოსული მოძმე ხიზანი,
და ახალ ქვეყნის
    მშენებელთა გამრჯელ არმიას
დღით დღე ემატვის
    ათასობით ადამიანი.

"და აღაშენებენ ისინი ნაოხარს, აღაგებენ უწინდელ ნანგრევებს და შეაკეთებენ ისინი იავარქმნილ ქალაქთ, დანგრეულთ უთვალავი თაობების მიერ".

ი ს ა ი ა /6I 4/

## ნეგევის სიდიადე

ნეგევმა მამცნო
  სიდიადე აღთქმულის ქვეყნის,
ძველის და ახლის,
  ჭირნაცადის, გარდათელილის;
განხეთქილების
  ლამაზ ვაშლის დასაბამიდან,
მკვდრეთით აღმდგარის,
  ძველთ ენაზე კვლავ მოუბარის.

ნეგევმა მამცნო
  უკვდავებაც მე ისრაელის,
კვლავ თვის მამულში
  დამკვიდრებულ აბრამის გვარის;
გვარის ძლიერის,
  თუმცა ციცქნა, სულ ერთი პეშვის,
ამაყად, მტკიცედ
  ყველას სწორად ძნელ გზით მავალის.

და აი, მისმა სიდიადემ
  მეც ამამღერა;
მის უცნობ ჰანგზე
  ქნართ სიმები მაჟღერებინა;
თუმც კი, რად უცნობ?!
  ეს ხომ სულმნათ შოთას ჩანგია,
ბრძენთა ბრძენ მგოსნის,
  მის წიაღში რომ ასვენია!

# ფიქრები გოდების კედელთან

სულ თან გვახლავს ღმერთი!
    უთქვიათ ოდითგან...
ის არ მოაკლებს ხალხს
    მწვანე სხივს იმედის...
ასე თუ შემორჩა
    კედელი ცრემლების
ერს, რჩეულს უფლისას,
    იმ დღიდან ამ დღემდის.

აოხრდნენ ტაძარნი
    პირველი... მეორე...
გარდიხვეწა სამწყსო
    შელომოს სახლისა;
დაშთა მხოლოდ ნაშთი
    წარსულ დიდებისა —
გოდების კედელი,
    სხივი ნუგეშისა.

ვერას გახდა ჯარი
    ნაბუქოდონოსრის...

მას ვერ მოერივნენ
ტიტუსის მხედრები,
რამეთუ ფარავდა
კალთა ზენაარის
და მის მძლე ქერუბიმთ
ცეცხლოვანი ფრთები.

და იდგა ეს ძეგლი
ნაოხარ ტაძრისა,
ორ ათას წლის წინა
მბრწყინავ დღეებისა;
უსიტყვოდ მეტყველი
პატრიარქთ სიბრძნისა,
მათ ნიჭ და უნარის
თუ ღვთიურ გრძნებისა.

იდგა და ელოდა
ო, რა რუდუნებით,
ჭირთმთმენი იობი,
ვითარც ქვათ შვენისა;
ელოდა გაფანტულ
მრევლის დაბრუნებას
და გამოცოცხლებას
მიმქრალი კერისას...

რამ გადაგარჩინა,
    მუნჯ ლოდთა კედელო?!
რამ გაგამძლებინა,
    ულურსმოდ გებულო?!
რა სიპთ სიმტკიცემ თუ
    დუღაბმა იტვირთა
ოცი საუკუნის
    ცრემლი უსახოო?!

ნუთუ ვერ ალღობდა
    ის ცრემლი მაგ შენს სიპს?!
ნუთუ ვერ გიდნობდა
    მლაშობი გულს ცილის?!
რით იდექ კაჟივით,
    როგორც მთა სიონის,
მნათი ნიშანსვეტი
    ჩვენს მკვდრეთით აღდგომის?!

მაშ, ნამდვილად უთქვამთ:
    ღმერთმა დაგვიტოვა
მიჯრით მინაბული
    ქვები ურღვევ კედლად,
ქანაანის მცველად
    და შარონის ვარდის
უჭკნობის მშვენების
    მარად სარწყულებლად —

თუნდ მარილიან წყლით,
გრემლად რომ გდიოდა
დახავსებულს მკერდზედ,
მრევლთან რომ დიოდა,
ვით ლელის აჩრდილი,
თავდაუზოგველი,
რომ მოხეტიალეს
გზა არ აბნეოდა,

მით, ცრემლთა კედელო,
გვყავდი დედაბოძად
მიმოფანტულ შვილებს
შინ შემოსაკრებად,
რომ ღმერთმაც მოწყალე
გულით გადგარჩინა
შენს რწმენის ერთგულთა
მარადის სახსოვრად.

ახლა აღარ მიკვირს
სიმტკიცე ძველ ერის,
მრავალ ჭირთა მთმენის,
სალ კლდეზე ძლიერის,
"ოდ ლო ავდა თიკვათენუს"
რომ გალობდა
დარსა თუ ავდარში
ნირუცვლელ იერით...

## მეორედ დაბადება

ო, ისრაელო, მრავალტანჯულო,
ხიზანთ იმედო, მკვდრეთით აღმდგარო,
რამდენჯერ სცადეს შენი აღმოფხვრა,
გებრძოლებოდა მთელი სამყარო.

მრავალგზის მოგსრეს, გაგაცამტვერეს,
სამწყსო მოგწყვიტეს, სისხლად განგზანეს;
ორგზის გირბიეს ბეთ ამიკლაში,
მაგრამ ვერ და ვერ დაგასამარეს.

ვერ-რით ჩაგიხშეს ტრფობა სიცოცხლის;
ვერ გარდგაქციეს მძორად და ლეშად,
მიწის პირთ აღგვილ არარაობად,
თუმც იყავ დამპყრობთ ურდოთ თარეშად.

საუკუნეთა დევნამ, წამებამ,
მწარი დაღი დაასვა შენს შვილთა:
იქცნენ უსუსურ,
მფრთხალ შვლის ნუკრებად,
სამარადჟამო სამიზნედ მტერთა.

თრთოდნენ, კრთოდნენ, ვით ვერხვის ფოთოლნი,
თუგინდაც ხიის ჩამკვდარ ხუნთქვაზე;
მშიშლის მკერდიდან მოწყვეტილები,
ლანდებრ ვილოდნენ დედამიწაზე.

ეს იყო უხამშიშლობა კრული,
ხან მეამბოხე, ხშირად მდუმარე,
რის ღრმად, ხადავა ხულის კუნჭულში,
კრთოდა იმედის სხივი მთვლემარე...

ზყუცავდა, თვლემდა, ძალას იკრებდა,
რა ხულდგმულობდა ზეციურ გრძნებით,
რომ კვლავ ხწვეოდა წინაპართ მხარეს
და აღედგინა ძველი კედლები...

ბოლოს, ხვახცივის ომში გრიგალმა
გამოაცოცხლა ცეცხლი მიმქრალი,
და, შავ რაინდთან ბრძოლით ნაკვეხი,
უცბად აბრიალდა ნაპერწკალი,–

რომ იმ მძვინვარე ომის ნარჩენებს
შეჰქმნოდათ მყუდრო თავშეხაფარი,
და ღმერთის ბრძანებით შეეკრიბათ
ხიონში მის რწმენის მიმდევარნი.

ეს იყო ერის კვლავ დაბადება!
ეს იყო მკვდრეთით აღდგომა ქვეყნის!
ეს იყო ჰათიკვასთვის ფრთის შესხმა!
გამოცოცხლება მიმქრალის ენის!

ამით დამტკიცდა, ხალხში კვლავ ფეთქდა
გმირი ბარ კოხბას სული მედგარი,
ვის წინ უძღვოდა მძლე ამირბარაჲ
ძლევამოსილი დავითის ფარი,–

საერთშორისო სწორ სამართალის
იდეალებით შთაგონებული;
სისხლ–ცრემლით მკაფი სიცოცხლის გზების,
მშვიდობის გზნებით ამხედრებული.

"... მე დავდე აღთქმა მათთან, რომ მივცემ მათ ქვეყანას ქანაანისას, სადაც ცხოვრობდნენ ისინი, ვითარცა უცხონი. და ბევრად უფრო მეტიც: მე შემომესმა გმინვა ისრაელიტთა, დამონებულ რომ არიან ეგვიპტელთაგან, და მომაგონდა ჩემი აღთქმა მათდამი..."

ღმერთის სიტყვა მოშესადმი ეგვიპტეში წარგზავნისას თავისი ხალხის გამოსახსნელად

# რომ ამანა

მზეობს ბაღნარი აღთქმულის ქვეყნის;
შლის სერაფიმი ფრთას სიხარულით,
რომ ხმა ნარნარი ზეციურთ გუნდის
უგალობს ქვენას სულდაწმინდული.

მათს სათნო ფსალმებში გამოკრთიან
საღამოჟამის მუქი ლანდები;
მზე იწურება; იწყება ლოცვა,
ნათელს აფრქვევენ კანდელაბრები,—

სად მოციმციმე თეთრი სანთლები
თრთოლვით აძლევენ ბანს მრევლის ლოცვას;
თითქო ამ თრთოლვით შესთხოვენ ზენარს
სიკეთის თოვას, ქვეყნად მშვიდობას!

გამოლოცვისას ხალხი ზეიმით
აკურთხებს ხორბლის ლამაზწნულ ხალას;
ვაშლს აწობს თაფლში,
            რომ წელს ტკბილს და მრგვალს
მოვესწროთ მრავალს ბედნიერს ახალს!

სუფრის დედოფლად ზის ბროწეული,
სიმბოლო სიმრავლის და სიუხვის,
თუ ნაყოფიერების ქალღმერთი,
ჩუმად ჩასათქმელი ათას ნატვრის.

სუფრას ეშხს ჰმატებს ბარაქა მიწის:
ქარვისფერ გოგრის, ძოწისფერ ჭარხლის...
რომ დავულოცოთ მრავალჟამიერ
ხვავი, ღოვლათი სახლს ისრაელის.

სულით მაღლდება, თითქო, ადამი,
ლოცვით ცოდვებისგან განწმენდილი,
როს აპყრობს ის თვალს მერმისის ზეცას,
უფრო მშვიდს და ლაღს, ახლად შობილი!.






"იყოს ნება შენი, უფალო ღმერთო ჩვენი მამებისავ,
რომ განგვიახლდეს ბედნიერი და ტკბილი ახალი წელი!"

# საახალწლო ვახტანგური

შაბაშ! მოვდივარ სიონის თასით
მოსალოცავად ამ ახალის წლის!
შემომაგებეთ თქვენც ყანწი ჯიხვის:
ვსვათ ვახტანგური ქვეყნად სიცოცხლის!

სავახტანგო ხომ ეს სოფელია,
გრძნეულის ლირის, ფუნჯთ ოსტატების,
გასალაღებლად ღვთის ხელქმნილ არსთა,
გასახარებლად ია-ვარდების.

მით მომაქვს, გესმათ ტკბილის ბადია,
ნატვრით: დედამიწაზე მშვიდობის!
შემომაგებე, ჩემო გალიავ,
შენც ფიალა წმინდ დედა-მშვიდობის!

ასე მიგვქონდეს გული სპეტაკი
მსოფლიო კეთილ ნების ხალხებთან;
შემოგვაგებონ ჩვენც მათ ხელგაშლით
აზარფეშა ახლის კარიბჭესთან,—

რომ სილაღით შევექცეთ ამ ხონჩას,
დაკურთხებულს ზენაარის ენით,
და შუბლგახსნილმა ავწიოთ თასი –
ვსვათ სადღეგრძელო სინათლის რწმენის,–

რომ აგვიხდინოს ციურმა ნატვრა,
ვითარც სიზმარი, ცხადში ამხდარი:
მოგვმადლოს ხალხებს მშვიდი ცხოვრება,
მეგობრობის მზით გული გამთბარი!

ამას შენატრის ოდით ადამი,
მას უმღერს აშუღი, საზანდარი,
და მასზევე სტვენს სიონის მთიდან
ღვთის ხელდასხმული დავითის ქნარი.

მით გადმოვდივარ მეც ამ ალავერდს
ყველასთან, ახლობელ-შორებელნო,
რომ ერთად ვძერწოთ ერთურთგაგების
ხიდი მშვიდობის, სამარადყამო!

მწამს, შევსვამთ ერთხელ
                    ჩვენ ამ ვახტანგურს
კეთილ სურვილთა, კეთილმსურველნო;
და თქვენის მადლით გვბეჭდავდეს ღმერთი
სიცოცხლის წიგნში, მძლე ქერუბიმნო!

I985

## შენ გიმღერი, ჩემო დედაქალაქო!

დღეს დღეობაა ჩემი ქალაქის,
გეპატიჟებით ყველას!

გესმით რევაზ ლაღიძის ამამაღლებელი მუსიკის ჰან
გები, მასში ღვთაებრივად შერწყმული, ზურაბ ანჯაფარი
ძის სირინოზისებურ სახმო სიმთაგან ყურთასმენის დამა
ტკბობელ შადრევნად ამოფრქვეული ეს ნარნარი საგალობე
ლი და... იძირებით მოგონებათა მორევში...
ეს შესმატკბილებული მელოდიები თავისდა უნებურად
მოაგონებს სიონს დაბრუნებულ ქართველ ებრაელს იმ არც
თუ შორეულ წარსულს, როდესაც ის ჯერ კიდევ ნიკალა ფი
როსმანის ჯადოქრული ყალმით მოხატული ცის ქვეშ დააბი
ჯებდა და ათრთოლებული აყურადებდა ვახტანგ მეფის დე-
დაქალაქის ლოცვა-კურთხევად დარხეულ ამ სულის ამამზე
ვებელ ჰიმნს. მართლაც-და, ვის არ აალელვებდა სიტყვა
თუ ჰანგი ამ მადლიანი სიმღერისა, რომელიც რაღაც ამო
უცნობი გრძნეულებით სიზლავს ნებისმიერ სულდგმულს და
მისდაუნებურად აღუძრავს ფიქრს თავის ეროვნულ დედაქა
ლაქზეც...
ამ თვალსაზრისით, თუ მხედველობაში მივიღებთ ქარ
თველი ებრაელის გაუხუნარ სიყვარულს მის უკვდავ სულ-
ში მზებრ მოელვარე მარადი ქალაქისადმი, ადვილი მისა
ხვედრი იქნება ის სევდა, რომელსაც ეს სიმღერა აღუძ-
რავდა მას იმ იერუშალაიმზე, ლეგენდარული ექვსდღიანი

ომის დასასრულს რომ გადაიქცა ისრაელის ახლად აღორძინებული სახელმწიფოს გაერთიანებულ დედაქალაქად.როგორც მოგეხსენებათ, 1967 წლის 14 ივნისს იქნა დანგრეული ის კედელი, რომელიც ებრაულ და არაბულ იერუსალიმად ჰყოფდა დავით ამელეხის საცასცოს. მას შემდეგომ არის ქცეული ებრაული იარის თვის ოცდამერვე დღე იერუსალიმის დღეობად. ამ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რგოლით შეივსო იმ დიად გარდაქმნათა ჯაჭვი,რამაც სათავე აიღო ფაშისტური ომის მანქანის განადგურების შედეგად იმით, რომ საშოზლო კერა გაუჩნდა იმ ავადმოსაგონარ სიკვდილის ბანაკთა ნარჩენებს.

და აი, იმ დიადი გარდაქმნებისას ჯერ კიდევ ქართული ზეცის ქვეშ დააბიჯებდა ქართველი სიზანი ებრაელი; ისმენდა ქართულ ეროვნულ საგალობელთ და ენაცრებოდა ის ღლებედნიერი, როცა მასაც მიეცემოდა საშუალება მონაწილეობა მიეღო ისეთ ზეიმში აღთქმულ მიწაზე, რამაც შექმნა ეს სულშიჩამწვდომი ჰიმნი თბილისქალაქის ათას ხუთასი სანთლისა. ნაცვრით კი ნაცრობდა, მაგრამ ორმოცდაათიან წლებში ვერც კი წარმოიდგენდა, რომ მასაც აღუსრულებდა ზენაარი ამ აღთქმას: "და მოგკრებთ მე თქვენ ყველა ხალხთაგან, და შეგკრიბავთ იმ მიწებიდან, რომლებზედაც სართ მიმოფანცულნი, და გიზომებთ თქვენ მიწას ქანაანისას!" /იეხეზკიელი II : I7/.

მაგრამ ნაზრძანებია: მაღალი ღმერთი არს უიმედოთა იმედიო, და მამა-პაპათა მემკვიდრეობის მარად ერთგული ქართველი ებრაელიც არ იქრობდა გულში მღვივარე იმედის ნაპერწკალს. ამ იმედით შეელოდებოდა მოუთმენლად იმ წამს, როცა მოკრძალებით ამბორჰყოფდა ზეთამიკდაშის მეგლად შთენილ ქვებს და მოილოცავდა სიო-

ნის მთას, რომლის ტაძართა გუმბათებიც ღვთიურ კელაპტ
რებივით უნათებდა უსამშობლობის ნარ-ეკლიან გზა-ბილი
კებს თუნდაც შორით და არ ათმობინებდა ძველთა რწმენა
სა და ტრადიციულ ადათ-წესებს.

სწორედ ამ ქალაქის ღვთაებრივი ნათება იყო სასწა
ულებრივი უხილავი ძალა, რომელიც მაგნიტივით ებიდებო
და ღღენიადაგ გულმხურვალე მამულიშვილთ და ყოველდღი-
ურ სამგზის ლოცვად ამეორებინებდა მტკიცე ფიცს იერუ-
შალაიმის არდავიწყების თაობაზე. ეს ფიცი იყო და კი-
დევ დევიზად ქცეული "ლეშანა ჰაბაა ბირუშალაიმ!", რო
მელიც ფრთას ასხამდა უსამშობლოდ გარდახვეწილი ებრაე
ლის რწმენას, რომ ის კვლავ ეღირსებოდა კარვის დადგ-
მას აღორძინებულ სამშობლოში. და მართლაც, განა ღვთა
ებრივი ხელის გამოვლინებას არ უნდა ხედავდეს ადამია
ნი იმ ფაქტში, რომ ახლა ებრაელის საუკუნეობრივი ლოც
ვა-ვედრება "გაისად იერუშალაიმში!"

როგორც ვხედავთ, ეს სულის ლაღადი იყო ის მასულდ
გმულებელი უკვდავების წყალი, რომელიც უმიწაწყლოთ არ
აძლევდა გადაშენების უფლებას და ისინიც,ვითარც წყალ
წაღებული სავსს, ისე ებღაუჭებოდნენ აჩრდილად ადევნე
ბული სის ხელშეუხებ სხეულს...

ახე ბოგინობდა უსამშობლო ხალხი ორი ათასი წლის
მანძილზე, სანამ დაჰკრავდა ჟამი ფეხთ წამოდგომისა.
გაისად თავის ახლად შობის ორმოც წელს იზეიმებს ებ-
რაელი ერი აღორძინებულ სამშობლოში და ჩვენც მოწმე-
ნი ვართ იმისა, თუ რა სულიერი და ფიზიკური ტანჯვა-
წამების ფასად უხდება ფეხის მოკიდება მარად მოხეტი
ალეს მამა-პაპათა მიწა-წყალზე, რათა მსოფლიომ აღია
როს იგი ამ ქვეყნის სრულუფლებიან მკვიდრად...

რა სიტყვას ძალუძს გამოხატოს ის საყოველთაო განცვიფრება და მღელვარება, რამაც სიხარულის ცრემლი აფრქვევინა თვალთაგან მსოფლიო ებრაელობას, რაწამს ხმა დაირხა იმის თაობაზე, რომ კვლავ დაიდგა ორიათასწლის ნაოცნებარი სახელმწიფო ტახტი აღთქმულ მიწაზე.ეს ხომ გაუგონარი ამბავი იყო კაცობრიობის ისტორიაში,რომლის მსგავსს ჯერაც არ ჰქონია წინამორბედი. მაგრამ ეს გახლდათ ისრაელი ბერლინივით გაყოფილი იერუშალაიმით,ვინაიდან ძველი ქალაქი ჯერ ისევ იორდანიის ხელში იყო გოდების კედლიურთ და მოთმინებით ელოდა დავიდ ამელესის შთამომავალთა დაბრუნებას მის სანახებში.

ასეთ მოლოდინში განვლო ცხრამეტმა წელმა და, ალბათ, იმად გადახდა თავს რიგით მეხუთე ომი ახალწამოჩიტულ სახელმწიფოს, რომ ძლევამოსილ ცაჰალს კვლავ გოდების კედლის თავზე აეფრიალებინა თეთრ-ცისფერი ბაირაღი.

ეს თარიღი – I967 წლის I4 ივნისი – მეტად მნიშვნელოვანია ებრაელი ერის ცხოვრებაში, რადგან ცაჰალელთა საარაკო გმირობამ და იერუშალაიმის გადაყოფილი გულის გაერთებამ წამოაქროლა ახალი სიო. ამ სიომ მისცა დასაბამი ეროვნული დროშის აფრიალებას საბჭოეთში; ამ სიომ ააზვირთა სიონისაკენ მსწრაფავ სიზანთა ტალღა, რომლის თაოსანიც გახდა თვრამეტი ქართველი ებრაელის ოჯახი განსხვენებული შაბთაი ელაშვილის ხელმძღვანელობით. გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ისრაელის მთავრობისადმი გაგზავნილი წერილი იქცა იმ სულის ჩამდგმელ მოწოდებად, რომელმაც ერთმორწმუნეთა ოთხასი ათასიანი არმია შესძინა ამ ერთი ციდა ქვეყნის მშენებლებს სულ მოკლე ხანში.

და აი, ახლა, სიყვარულით, სიხარულით და განცვიფ

რებით ვადევნებ თვალს ნაცარ–ცუციდან აღვლენილ ამ სა
უკუნის საოცრებას და ვფიქრობ: განა სადმე კიდევ მოი
ძევა ერი მთელი დედამიწის ზურგზე, რომელსაც ასე ხან
გრძლივ გაეძლოს უსამშობლობის მომაკვდინებელი სენი–
სათვის; ცინისბურნი შეუდრეკლობით გადაელახოს სასი–
ფათო დაბრკოლებები; სასწაულებრივი ძალით დაეძლიოს
მარად თანმდევი ფათერაკები და მთლად არ აღგვილიყოს
პირისაგან მიწისა?!.. ჯერხნობით ისრაელის სახელმწი
ფო გახლავთ ერთად ერთი მაგალითი ამ მხრივ. ეს სას–
წაულებრივი მაგალითი განახორციელა იმ წარმმართველი
ძალის უხილავმა ხელმა, რომელიც არაორაზროვნად მიუ–
თითებს ხალხებს ურთიერთშემწყნარებლობისა და ურთიერთ
გაგებისაკენ, რამაც უნდა უზრუნველჰყოს მშვიდობა ქვე
ყნად. სწორედ ამაში მდგომარეობს დედაარსი იმ ფსალმუ
ნისა, რომელიც მრავალმნიშვნელოვნად ლაღადებს:"ქი მი
ციონ თეცე თორა!" – რამეთუ სიონიდან გამოვა მოძღვრე
ბა! მოძღვრება მშვიდობისა და ხალხთა თანასწორუფლები
ან, მეგობრულ ერთობისა და თანაარსებობაზე; ამას გუ–
ლისხმობს ისაიას ფსალმუნი, რომელიც გვაიმედებს, რომ
დადგება დრო ცხვრისა და კრავის თანაცხოვრებისა,თუკი
ცისქვეშეთს მართლა უწერია ბედად ზენით აღთქმული საე
რთაშორისო მშვიდობის კარვის გადმოფარება!

"და აჰა, მე შენთანა ვარ დაცვად შენდა
ყოველსავე გზასა შენსა, ვიდრეცა ხვიდოდი
და მოგაქციო შენ ამასვე ქვეყანასა, რამეთუ
არა დაგიტეო შენ, ვიდრემდე ვჰყო მე იგი,
რაოდენსა გეტყოდე შენ".

დაბადება 28 I3-I5

## დ ა ვ ი თ ი ს   ფ ა რ ი

კელაპტარი ხარ,
    ქალაქთ ქალაქო,
აელვებულო მარავანდად
    სიონის მთაზე;
დედამიწაზე დანთებულო
    მნათ ჩირაღდანად;
თაყვანსაცემო ყველა ერის
    საკურთხ ენაზე.

მაგრამდა ფარი
    იყავ მხოლოდ ებრაელისთვის,
ათას მხარეში მიმოფანტულ
    ბედკრულ ხალხისთვის;
ამად სამშობლოდ შენ გწამობდნენ,
    შენ, ერთად ერთო,
და მით კვლავ იხსენ ერი
    აღმდგარ ისრაელისთვის.

შენ იყავ ერის
    უწყვეტელი სიმღერა ერთი;
ჭირსა თუ ლხინში
    სწორმავალი, მათი სწორფერი;
და დღენიადაგ იყავ მათი
    ნატვრა, ოცნება,
ფარო დავითის,
    მით დათრგუნე ვერაგი მტერი!

# ერის გვირგვინი

სიყვარული ამარცხებს სიკვდილს!

მაქსიმ გორკი

თუ სიყვარული არის მძლეთა მძლე
ხმალ-იარაღი, სიკვდილის მძლევი,
იერუსალიმ, შენ დაამარცხე
ავზედითობა მარად თანმდევი.

ეგონათ უკვე მიცვალებული
ერი აბრამის, დატირებული;
იხსენებოდა მარტოდენ ნაშთად,
უცხო ბუდეებში დაფანტული.

თურმე ყოფილა ხალათას ძილით
ერი პყრობილი ორ ათასწლეულს;
და ეწერა ბედად გალვიძება
ჰერცლის ამბორით,
ვით ზღაპრულ ასულს.

ეს იყო, თითქო, ჰაეროვანი
ამბორი, ღვთის ბაგეთგან გზავნილი,
ოდეს შეეხო, ვით ჯადოქრულით
კვერთხით შენს შვილებს,
შენგნით გაწვდილით.

ეს ძალა შესწევს მხოლოდ უწმინდეს
და უზენაეს სასწაულთმოქმედს...
მით უფოლდები, გვირგვინო ერის,
ამ გრძნეულებით თითონ შემოქმედს!

"და დგას იერუშალაიმი, ვითარც გიზგიზა მენორა, სამი მაღლივი მთის – სნირისა, თაბორისა და ქარმელის თავზე და, მსგავსად შუქურ-კოშკისა, იზიდავს ხომალდთ, დატვირთულთ შინისაკენ მსწრაფავი ხიზანყოფილებით.

რამეთუ სინათლე ჩემი სინათლე არს შენი, მოდი, ყველამ ერთად შევიყაროთ თავი და მოვუცანოთ სინათლე სიონს, ვითარ ბრძანებს ისაია:;"აღსდექ და იბრწყინე, რამეთუ მოვიდა სინათლე შენი!" /60 I/

დიდი მიდრაში, უბრძანე

## არიელ ქალაქს

აღიგვებოდა ებრაელი
ძირისგან მიწის,
რომ არ ჰქონოდა იარაღი
ესოდენ ბასრი;
იერუსალიმ! არიელო!
ფარო და ხმალო!
შენ იყავ, ხარ და
კვლავ იქნები ამ ერის აზრი!

აზრი ნათელი,
თაობათა სულისჩამდგმელი;
აზრი მაღალი,
გეტოებში გამნათი ბნელის;
აზრი, მხწრაფავი
უკვდავების მწვერვალებისკენ;
აზრი, ალმასი,
გარდამკვეთი შავბნელის ძალის!

შენ ახლდი მარად
შვილთა შენთა ეკლიან გზებზე;
შენ ამხნევებდი,
აღაგზნებდი მომავლის რწმენით;
მით ვერ ჩაახრჩვეს
ებრაელი მეწამულ ზღვაში;

ვერ და ვერ მოსპეს
   ის ომთა თუ პოგრომთა ალში...

მით ვერ ჩაგაქრეს,
   უქრობელო ლამპარო ერის;
ვერ დაგასაპყრეს,
   ძველო კერავ თალმუდის ხალხის;
ვერ გადამალეს
   მნათი სახე შენს შვილთ ხსოვნაში,
და ახლაც ფერფლით,
   ფენიქსისებრ, მძლევო სიკვდილის!

"და აჰა, მე წარვავლენ ანგელოზსა ჩემსა წი-
ნაშე პირისა შენისა, რათა დაგიცვას შენ გზა-
სა ზედა, რათა შეგიყვანოს შენ ქვეყანასა, რო
მელი განვიმზადე შენ".

გამოსვლათა 23 20

## ნათელმჭვრეტელთა თავდები

> გრიგოლ რობაქიძის ირუბაქ ირუბაქიძე, ირუბაქიძეთა დიდებული გვარის წინაპარი, რომელიც მეექვსე საუკუნეში ცხოვრობს, სრულყოფილად ფლობს ბერძნულ-ლათინურ-ებრაულ ენებს, მაგრამ ებრაული ყველას ურჩევნია, რად განაცო, ათქმევინებს ავტორი, უფალთან მხოლოდ ამ ენაზე შეიძლება ლაპარაკი.

გიორგი წერეთელი

აბა, სად არის ერი
  სხვაგან სამაგალითო;
ნათელმხილი
  ამ უცნაურ ზეციურ ძალით,
ნიჭი შესწევდეს და უნარი
  ღმერთთან ბაასის,
და უსამშობლოდ ებოგინოს
  მას ათასწლობით?!

ეს არის მხოლოდ
  ერი ჩემი, უდაბნოს მკვიდრი,
გამოწრთობილი
  ხეტიალით დარში, ავდარში...

ნათელმხილველი
    მომავალში მკვდრეთით აღდგომის;
მით დაიმკვიდრა
    კვლავ ადგილი მატიანეში.

და ჰყავდათ კიდევ მათ
    თავდები ამ ნათელხილვის:
ამომავალი მზის ქალაქი
    მეფე დავითის;
მისმა მზეობამ დაამტკიცა,
    რომ არს უკვდავი;
და ერიც თავის
    უკვდავებას იმას უმაღლის!

"და აღვმართო კარავი ჩემი თქვენ შორის და არ მოგიძაგნეს თქვენ სულმან ჩემმან.

და ვიქცეოდი მე თქვენ შორის, და ვიყო მე თქვენდა ღმერთ და თქვენ იყვნეთ ჩემდა ერად".

ლევიტელთა 26 II-I2

## ედემის ყვავილს

შენ ხარ ყვავილი, ედემს დარგული,
თვით ზენაარის გრძნეულ მარჯვენით;
ეს მან შთაგბერა სული უკვდავი,
რომ ხარ მარადი ქალაქთ ქალაქი.

ვერ მოგერია სუსხი და ყინვა;
ვერ-რა დაგაკლო სიცხემ თუ გვალვამ,
და დგახარ ისევ ახალგაზრდულად,
უფრო ლამაზი, ვით ლალი პალმა.

მრავალგზის მოგსრეს, მიწას გასწორეს;
დაეცა ერი; დამუნჯდა ენა,..
მაგრამ განგებას რა აღუდგება,
თუ უფალს სწადდა შენი აღდგენა?!

დაულოცნიხარ:"იყავ მარადი,
სული უკვდავი და ძარღვმაგარი!"
და ხარ კიდევაც ძალა გრძნეული –
გსხლავდნენ და მაინც იდექ ჭადარი!

თუმც ვერვინ იტყვის, რომ გჭრიდნენ ძირში...
ყოველი დარტყმა ძალას გმატებდა;
ვით ელექსირი, ტანჯულ შვილთ სისხლიც
შენს დაჭრილ ფესვებს აბალზამებდა.

არ უგემია მსგავსი სხვა ყვავილს
განუწყვეტელი სისხლის თქორებში...
არ გარდასხლულა სხვა არა ხისა
მოსაკვდინებლად ნორჩი ტოტები.

აი, რად ვამბობ, რომ გსხლავდნენ მხოლოდ
ედემის ყვავილს განსაახლებლად;
თუ არ ტკივილი, მწარედ განცდილი,
მთლად გაქრებოდი, ვითარც აჩრდილი.

ასე ცოცხლობდი ვაი-ვაგლახით...
მრავალს ეგონე წარსულის ლანდი...
მრავალ კაეშნიან გულს დააწვა
საუკუნობით ტვირთმძიმე დარდი...

შენ კი ყვავილი, გრძნეულ ედემის,
არდროს იწყვეტდი სასოს და იმედს;
გწამდა, ცხოვრების ჩარხის ტრიალი
მოგიბრუნებდა წაღმ უკუღმართ ბედს.

გწამდა, სწადდა ღმერთს სიცოცხლე შენი,
როს მოთმინებით იმ დღეს ელოდი,
შემოგიღებდა კარს ძველი მკვიდრი,
დაგიდგებოდა დღესასწაული.

ეს წამიც დადგა: გულს გადაყოფილს
მართლაც დაუდგა დილა მზიანი,
და კვლავ შეგეხო გასამთელებლად
სასწაულთქმედი ძალა ღვთიანი.

ამ საუკუნემ ასწავლა ადამს
ეს ურთულესი ოპერაცია:
რომ შეგხებოდა გრძნეულ ლანცეტით
და შენი გულიც ერთად ექცია.

ამად თუ თქმულხარ ზენარის ნებით
ედემის ბაღში დარგულ ყვავილად,
რომ დგახარ კვალად ქალი კეკლუცი,
ერის მშვენებად, სედ სიცოცხლისად!

"და მოხედნა ღმერთმან ძეთა ისრაილისათა
და გამოეცხადა მათ".

გამოსვლათა 2 25

# ს ა ს წ ა უ ლ ი

ორი ათას წელს
   მიმოფანტულთ დიასპორაში,
ჩვენ აღარ გვცნობდნენ ერად,
   შეკრულს წმინდა კავშირით;
არ გვქონდა კერა,
   სახელმწიფოდ ნაღიარები,
თეთრ-ცისფერ დაღად
   მოფრიალე ბაირაღებით.

საუკუნობით ხიზნად,
   მცხოვრებთ უცხო ქვეყნებში,
მარად თან გვდევდა
   კვალში ავი ბედი მდევარი...
ვერ გაუძლებდა
   რბევა-თარეშს,
               პოგრომთ,
                     სისხლის ღვრას,
ასე გმირულად
   ქვეყნად ერი ვერავითარი.

მაგრამ გადავრჩით;
   დავიბრუნეთ აბრამის კერა;
კვლავ ხმა დაირხა:
   "ისრაელი აღსდგა!
               დამშვენდა!

ვერ მოსრა ერი ერთი მუჭა
ზიზღმა, ვით კეთრმა;
აღთქმულ მიწაზე
ისევ ძველი ვაზი გაშენდა!"

ნეტავ, რა იყო
ძალა მისი გადამრჩენელი?!
რა იარაღით გაუმკლავდა
მტერს მოშეს ერი?!
ერი ტიალი,
უხამშობლოდ გარდახვეწილი;
ერი დევნილი,
იავარქმნილ ენით მიმქრალით?!...

თუმც... რის მიმქრალით,
ანდაც მკვდარით, როგორც ეგონათ!
ვინ სთქვა სიკვდილი
ზენაარის მირონცხებულის?!
ის ხომ წამებულთ
გეტოებშიც შთააგონებდა,
"ლეშანა ჰაბაა"
იერუსალიმს ელირსებოდა!

ვეღირსეთ კიდეც,
თუმც არ გვეპყრა ხელთ ყუმბარები;
არცთუ გვიცავდნენ
შინ ნაკეთი ქფირ-ლავები...
ხელთ გვეპყრა მხოლოდ
სინას მთაზე ნაბოძი თორა,

იერუსალიმ,
შენს სიყვარულს რომ გვიგალობდა!

ამრიგ, შენ იყავ
უხილავი ფარი და ხმალი,
რომ მოდგმას ჩვენსას
ვერა სძლევდა მტერი მტარვალი;
თუმცა არ აკლდა
დასაბუგად მას ცეცხლის ალი,
შენს სიყვარულმა
აბოგინა გული მხურვალი.

მწამს, რომ შენ იყავ
უხილავი ღვთიური კალთაც,
მცველ ანგელოზად
განწირულთ როს ეფარებოდი;
მით არ გწირავდნენ
თორასა და არიელ-ქალაქს
რწმენით, რომ სახლში
უცილობლად დაბრუნდებოდნენ.

რაც უნგრევია სიძულვილს
და მტრობას ამ ქვეყნად,
უშენებია წრფელ სიყვარულს
ძმობის, ერთობის!
ამ სიყვარულმა აღგადგინა,
წმინდა ქალაქო,
ტახტ-ანდამატად სახელმწიფოს
მძლეთ-მძლე მაქაბის!

## იერუშა — იერუშალაიმ

ხშირად ვფიქრობდი:"ნეტავ, რას ნიშნავს
"იერუსალიმ — სახელი წმინდა?"
და რა ვიცოდი, ამ ძნელ თავსატეხს
წიგნთ წიგნი ადვილად ამიხსნიდა.

ეს იყო ერთხელ, როცა ვისმენდი
ძილისპირულ ნაწყვეტს თალმუდიდან,
თითქო ჩემს კითხვის პასუხად მესმა
ხმა მბრძანებლური ლურჯ ეკრანიდან:

"ეთენ ოთას და ერუშა!"

მემკვიდრეობად მიგცემო მე შენ!
ეს იყო აღთქმა ზენაარისა
თვის სამწყსოსადმი, დასაბრძანებლად
სიონის მთასთან წმინდის თორისა.

ი

აი, ვით ვიცი დაზეჯითებით
ეს ამოცანა, ნათელშიფრული,
"იერუშალიმ" სიცყვა "იერუშას"
არს პირდაპირი წარმოებული.

სამემკვიდრეო, ერის სავანე,
დავიდ მელეხის განდიდებული;
ქერუბიონთ ფრთებით აზიდული,
ქალაქთ ქალაქად დაკურთხებული.

❦❦❦

უწინ ქებრონი გახდათ სატახტო,
მეფე შაულისთვის დაწინდული,
ისე, ვით მცხეთა საქართველოსთვის
სეფე-ქალაქად იყო დათქმული.

ებრაელთ პირველი მეფე გახდათ
შაული, შემუელის რჩეული:
ბრგე, ახოვანი მთავარსარდალი,
მრავალ თვისებით გამორჩეული.

მეორე მეფედ ტახტზე ავიდა
დავითი, ფსალმუნთ მთხზველ-მგალობელი.
ქებრონში დაჰყო, შაულის შემდგომ,
თვის ხელმწიფების მან შვიდი წელი.

და რახან მერე, ღმერთის თავდებით,
შეაერთა ტომნი დაქსაქსულნი,

სიონის მთის კალთობს დაასახლა
დავით მეფემ უფლის სახლეული.

და, თუ თხუთმეტი საუკუნის წინ
მეფე ვახტანგმა ტახტი დაიდო
თბილ წყლების წარმტაც შემოგარენში,
თბილის-ქალაქი ასე აიგო:

შემორახტული მაღლივი მთებით:
სოლოლაკ, თაბორ, მახათგვერდათი,
ხოლო ბრწყინვალე თაჯ და გვირგვინად
ზე გადმომდგარი მამა დავითით, –

სამ ათასიოდ წლის წინ დავითმა
ტახტი დადგა იუდეას მთებში,
და თეთრ კლდეებში გამოკვართული
მით დაამტკიცა მატიანეში,

რომ აიტანა თორის სასახლე
ამ ახალ ალაგის სანახებში,
და ზარ-ზეიმით გამოაცხადა
ის რჩეულად ციხქვეშ ქალაქებში.

და დააკურთხეს დავითის ქალაქს
მშვიდობის ქალაქიც, მარადისიც...
მას შემდეგ ღვთის ფსალმუნთ საყღერებლად
იქ მომართა მეფემ გრძნების ქნარი.

ასე შემოგვრჩა ქალაქთ ქალაქად
იერუშა — ერის სამემკვიდრეო:
აბრაამ, იცხაკ და იაკობის
შთამომავალთა სახლი საერთო, —

წმინდად ნაგები თეთრ კლდის ნათალ ქვით,
ღვთაებრივ სულის დასაბუდარი,
რითაც ებოძა სჯულის კიდობანს
იქ სოლომონის წმინდა ტაძარიც.

"და მე, იოანემ, დავინახე წმინდა ქალაქი, ახალი იერუშალაიმი, რომელიც ზეცის თაღთაგან ეშვებოდა ძირს ღმერთისაგან, გამზადებული, ვითარცა პატარძალი, მორთული თავის ნეფისათვის.

და შემომესმა მე ხმა ზეციდან, რომელიც ბრძანებდა:"შეხეთ, ღვთის ტაძარი არს ადამიანებთან, და დაივანებს იგი მათთან, და იქნება ღმერთი მათი!"

ი ო ა ნ ე

## იერუსალიმ – მთიები ჩემი

1970 – იანი წლების დიდი ალიის პირველ
მერცხლებს – თვრამეტ ოჯახს

> ღმერთია ისრაელის მშველელი, ზოგ
> ჯერ აშკარად, ზოგჯერ ფარულად, რასაც
> ხანდახან ვერცკი ვგრძნობთ...
>
> ფსალმუნი თორიდან

მთიები არის ცისკრის ვარსკვლავი,
უახლოესი ჩვენს პლანეტასთან;
ლამაზ აისზე კაშკაშით მნათი,
შეუპოვრობით მბრძოლი წყვდიადთან.

მრავლგზის შეებმის ჯანღი თუ ნისლი
და ზეცას, თითქოდა, ებუტება,
მაგრამ სალ კლდისებრ შეუვალობით
ელვებრ ჰკვეთს უკუნს მისი ნათება.

ჩემი მთიებიც, ქალაქთ ქალაქი,
კელაპტრად ნთული სიონის მთაზე,
გარემოსილი უცხო ნათელით,
შორით ბრწყინავდა ჩვენს წილ ცის თაღზე.

მარად ის იყო ჩვენს სწორმავალი;
მოწმე შვილთ უწყვეტ მოწამეობის;
ებინდებოდა მზის ელვარება,
ოდეს ესმოდა ხმა მათ ვაების.

და შვილი მისი, განაწამები,
როცა უხმობდა გამჩენს საშველად,
მისკენ აპყრობდა თვალს სასოებით,
მასაც უხმობდა ღვთის სავედრებლად.

ღაღადი მისი თუ ცრემლი მწველი
თვით უგრძნობ ქვასაც აადუღებდა,
მაგრამ მარტოდენ ულმობელ არსთა
გულს გაქვავებულს ის ვერ ალღობდა.

ამად დავითის ფსალმუნთ გალობას
გზნებით ერთვოდა ტანჯულთ ეს ლოცვაც,
საშუამდგომლოდ ყოვლისშემძლესთან,
ოდეს უხმობდნენ შორს მნათ მთიებსაც:

"მთიებო ჩვენო, ცისკრის ვარსკვლავო,
ვით ვირწმუნოთ შენი მღიმარება?!
ვით დავიჯეროთ, შვილთ უბედობით
არ გებინდება სხივთ ელვარება?!

რარიგ ვირწმუნოთ, ღვთაებავ ჩვენო,
გული მხურვალი არ გედაგება,
როდესაც დასცქერ ღვთიურ ტახტიდან
ურჯუკ ადამთ ხელქმნილ ბოროტებას?!

დაუვიწყარო, ტანჯულთა დედავ,
რარიგ აღვითქვათ შენი ბრწყინება,
თუ არ იმედად, რომ ჭეშმარიტად
ერის დიდება მკვდრეთით აღდგება?!

ეს გვასულდგმულებს, რომ გვეღირსება
ძველთა ჭერქვეშ კვლავ ბინის დადება;
საუკუნობით ქვებრ დამუნჯებულ
საერო ენის გამოცოცხლება.

ჩვენ ეს იმედი გვაბოგინებდა
ხანგრძლივ ხიზნობის მტკივნეულ წლებში;
რაც მეტს ურტყავდნენ ხეს ჩვენს ეროვნულს,
იმართებოდა ის მეტად წელში.

და ერთი სიტყვა, ბნელეთის მკვეთი:
იერუსალიმ! ცით კურთხეული,
გარდასხეპილ შტოთ მკურნალ მალამოდ
ეფონებოდა, ვით სასწაული.

მარად გვიფონე, ნუგეშო ჩვენო,
გვითხარ, ნიშან არს ეგ ელვარება,
და, ზენაარის დაპირებისებრ,
ბეთ ამიკდაში კვლავ აღშენდება!

ო, გვფინე შუქი შენის არილის,
ნება უფლისა გვამცნე გულწრფელი:
იკმარა მან დევნილთ სისხლი, ცრემლი,
მზად არს მოგვმადლოს ხელი მშველელი!

გვამცნე, ღვთაება ხელგაშლილია;
კვლავ დაგვიდგამს ის ცახცს მეუფეების;
მთლად არ დაგვიწყვეცხ დავითის სიმეზს,
ხელახლა მოგვფენს შუქს წმინდ მთიების,–

რომ ელვარება ციურ მნათობთა –
მზისა და მთვარის, მნათ ვარსკვლავების,
შარავანდედად გარდაეფინოს
სიონს, მის ერს, ხალთ წმინდის ხამების.

აღარსად ვიგრძნოთ წყევლა და კრულვა
მოშეს რჯულისა, უსამშობლობის;
მით მოგვევლინოს ციურ მანანად
ხულის სიმშვიდე, მადლით მშვიდობის,–

იმავ განგებით, ვინც გვანდო თორა –
ამად გვეწოდა ერი რჩეული –
და დაგვილოცა სამემკვიდრეოდ
ვაშლი ცილობის, გამორჩეული..."

რაგინ ცანჯული ზენარის ღვიძლი
მოილოცავდა უწმინდეს სახელს,
გაუშუქებდა მას სულს იმედი,
მომავლის რწმენა განუზნევდა ზნელს.

უზრწყინდებოდა მით კაზადონი;
გარდეყრებოდა იმის გულს ჯანღი;
შვებას იგრძნობდა, არამიწიერს,
განაწამები იაჰვეს ზაღლი.

ამ რწმენით მარად ლოცვად შენისკენ
სასოებით აღაპყრობდა თვალს, ხელს...
"ო, იერუსალიმ!" თრთოლვით წარმოთქმულს,
რიდით ატანდა ის ღმერთის სახელსვ.

მარად ეს იყო დედამიწაზე –
მთიების შეხინა – ღვთის სახება,
სიონის მთიდან, რით მიუსაფარ
ერს არ უქრებოდა სასოება.

ის აგონებდა, აღბრწყინდებოდა
აღორძინების ცისკარი დილის;
დავითის ებნის ჰანგებს საამურთ
ყოვლგნით მოჰფენდა ლხენით აღვსილი.

ამ მღვივ იმედით არდროს წყდებოდა
მგზნებარე გულთა ლოცვა მხურვალი,
ჭირსა თუ ლხინში მრავალნაცად და
რწმენის ერთგულთა ლოცვა ალალი;

"მთიებო ჩვენო, მნათობო დილის,
სანთლებრ დანთულო სიონის მთაზე,
ზეაღვლენილო უქრობ იმედად,
მზებრ ჩირაღდნობდე მთელ პლანეტაზე!

ყველგან გვწვდებოდეს,
                    ვით ღვთის სახება,
შენგან ასხლეტილ სხივთ ელვარება;
მხსნელ ანგელოზად გვევლინებოდეს,
ვით მოშეს, ღმერთთან შენი ხატებაც,–

რომ არ ქრებოდეს გულში იმედი
მიმოფანტულთა შემოკრებისა;
ერთ წმინდ ენაზე ამღერებულთა
ჰიმნი ერის კვლავ დაბადებისა!"

და აი, ახლა, როცა აღსრულდა
აღთქმული პირობა ზენა არსის,
მრავალ თემთან თვრამეტის მოდგმისაც
უმცკივებს ფუძეს იერუსალიმს.

ვლოცავთ, რომ იქნეს გზა მშვიდსავალი
მკვდრეთით აღმდგარი ერის და ქვეყნის;
არ განმეორდეს, ვით ბაბილონში,
გოდლის სანგრევად აღრევა ენის.

აღარასოდეს არ განმეორდეს
თიშყა ბეავი ჩვენს საწიერზე;
აღარ გაშენდეს სხვა იად ვაშემი
ბროლის ღამეში დაფერფლილთ ძვლებზე.

გვწამს, შენც დაგვლოცავ, მთიებო ჩვენო,
მაღლის მფრქვეველო სიონის მთიდან,
ბედნიერ იქნეს ჩვენი სავალი
აღთქმულ მიწაზე ამიერიდან!

მქრქალ სიზმრად დარჩეს მძიმე წარსული
ეგვიპტის, ბაბილონ–ოხვენციმის...
იდგეს მხიარულება სუქოთის,
ციმციმებდნენ სანთლები ხანუქის!

გრძნებით მშველელი ზენაარისა
მკლავიც გაწვდილი გვახლდეს მეგზურად;
გვიძღვოდეს მფარველ ანგელოზთ დასიც
მზაკვართ ხელთაგან გადასარჩენად!

აგვცდეს ტკივილი, დარდი და ჯავრი;
აგვცდეს მსახვრალი ხელი მტარვალთა;
დავითის ფართან ნათებაც შენი
გვებუროს მარად, ვითარც ღვთის კალთა,–

რომ იერუსალიმს, ამ მთიებს ჩვენსას,
ვაგებდეთ ბედით გაღიმებულნი;
ფსალმუნთ გალობით ახალ ტაძარში
ბანს გვაძლევდეს ღვთაებრივი სული,–

რადგან ის იყო, არის, იქნება
რჩეული ერის მცველი ერთგული:
ზოგჯერ აშკარა, ზოგჯერ ფარული,
წმინდა მისიით შთაგონებული!

"მიიქეც ქვეყნად მამისა შენისა და ქვეყანად ნათესავისა შენისა და ვიყო მე შენ თანა".

ღმერთის სიტყვა იაკობისადმი

## თეთრი მტრედი

გაჩენის დღით წმინდა ქალაქს
დალივლივებს სული წმინდა;
ის იფარავს მოსრისაგან,
სად თავს ესხმის არაწმინდა.

მის მცდელობამ არ აღგავა
თორის ტასტი მიწის პირით;
და სინანიც უსამშობლო
სულდგმულობდა მისი მადლით.

მით არსებობს ეს ლეგენდა
ბერძენ ბერთ თვალით ნანახი
ყოველ ცისმარე და, ამად,
მერმისისთვის შესანახი.

სულიწმინდა სახებად ჰყავს
სოლომონის ტაძრის ნარჩენს
ფრთაქათქათა თეთრი მტრედი,
ქალაქებში ტურფად საჩენსც.

ფრთაფარფატა თეთრი მტრედი
სიმბოლო არს მშვიდობისა;




ფრთაფარფატა თეთრი მტრედი სიმბოლოა მშვიდობისა!

ძველის ერის და სიწმინდის,
ხალხთა შორის ერთობისა.

ისე, როგორც პატარძალი,
თეთრად მორთულ-მოკაზმული,
თვისტომთ ფერად საკრეზულოს
დედოფლად ჰყავს ეს გრძნეული.

და ამბობენ: როს ქალაქი
წმინდა გოდების კედელით,
ათას ცხრაას ორმოცდა შვიდს
დარჩა მეფეს იორდანის,—

გაჰქრა უცებ თეთრი მტრედი
ქალაქის სანახებიდან;
აღარ ისმოდა ღუღუნი
მისი გოდების კედლიდან.

სევდამ, ნაღველმა დარია
ხელი ღვთიურ ალაგის მკვიდრთ;
ცრემლების კედელთან ერთად
გლოვობდნენ სულიწმინდა გვრიტს,

ამად, ამბის გასაგებად,
ყოველ ალიონს ხვდებოდნენ
ბერძენ მღვდელთ
            და ბერ-მონაზვნებს,
რა ამ სიტყვას აბარებდნენ:

"ეგებ ნახოთ სოლომონ ბრძნის
ტაძრის ნარჩენ კედლის თავზე;
თუ ფარფატებს თეთრი მტრედი
ჩვენს იმედად ქვეყანაზე?!"

წელთ მანძილზე ერთი იყო
ბერ-მონაზონთა პასუხი:
"არ ჩანს, არა, აღარსად ჩანს...
ალბათ, აზრობს სადმე სუსხი.

მიეფარა თვალსაწიერს
იმ დღიდან, რაც ის კედელი
იორდანის მპყრობელსა აქვს
თავის ფეხქვეშ გათელილი..."

რა ყურს უნდა აეტანა
სასმენელი ესდენ მძიმე?!
არ იმედის ნაპერწკალი...
ნათელი უჩნდათ, ვით მღვიმე...

ამგვარ დარდს და ჯავრში განვლო
სევდის ცხრამეტ გაზაფხულმა,
როს ანაზდად იერუსალიმს
გარდუგრგვინა მეხთ ქუხილმა...

"ექვსდღიან ომის" სახელით
შევიდა მაცრიანეში
ნახერის ურდოთ ლაშქრობა,
შეხაჭრელად ისრაელში.

წამს გაიშიშვლა კლანჭები
ჩვენს მოძულეთ მთელმა მოდგმამ;
იორდანიამ, სირიამ
ხელი მისცა ფარყოს ხროვას.

არც ერაყი დარჩა განზე...
მგელს დაემაცა აფთარი...
და გახაგლეჯად ციცქნა კრავს
დაესია სვავთ ლაშქარი...

ვის ეგონა, გაუძლებდა
ცეროდენა ქორს და ძერას?!
ან პირისპირ შეებმოდა
სასიკვდილო ზელისწერას?!

თუმც... არ გარდავა გარდუვლად
მომავალი საქმე ზენა;
წესი არის მამაცისა
შეჭირვება, ჭირთა თმენა...

მით არ ულრკებს ვაჟკაცი
კარგი მახვილთა ცემასა:
ასი ათასსა აჯობებს,
თუ ღვთით ფლობენ ფარს და ხმალსა!

ალბათ, თალმუდშიც წერია
მსგავსი სიბრძნე, შოთას თქმული,
და... ცაჰალმაც ზეაღმართა
მტრის სათრგუნი ორლესული.

დაიფრინა წამიერად
ლაშქარი ერთობ მტრებისა,
და ძველ პატრონს დაუბრუნა
ღვთით კედელი გოდებისა.

და, ჰოი, საკვირველებავ,
თანმხლებო თორის ერისა!
თვალსაჩინოდ წარმომჩენო
ძალისა მაღლის ღმერთისა!

უმალ გაჩნდა იმ კედლის თავს
ფრთაფარფატა თეთრი მტრედი!
ალივლივდა ტკბილ ღუღუნით,
ვით ლურჯ ტბაზე თეთრი გედი,—

რაწამს იგრძნო, წმინდა ქალაქს
დაუბრუნდა ძველი მკვიდრი,
და საქებად გამჩენისა
კვლავ იქ ჟღერს დავითის სტვირი!

I. 8. 1982 წ.

## ბ ა თ   ი ა მ ი

შენ ზღვის ასულს გიწოდებენ,
ნეპტუნის მუზით შობილო,
მის ვერცხლ-ლაჟვარდოვან ფონზე
ნებიერად განფენილო.

ისრაელის ახალ ქალაქთ
შორის უცხოდ საქებარო,
ხარ ხელოვან-შემოქმედთა
შთაგონების წრფელი წყარო.

შენს სიყვარულს უმღერს რითმით
გრძნეულ კალმოსანთ სამთავრო,
და ამღერებულ გამებად
გხატავს ყალმოსანთ სამყარო.

არც საჭრისით გრჩება ვალში
შენს სინატიფით აღვსილი:
სირინოზად გძერწს სპილენძში
საქართველოს გამოზრდილი.




სირინოზად გძერწს სპილენძში საქართველოს გამოზრდილი!

იზარდე და გაიფურჩქნე,
ნეპტუნის ლალ მზედ ხახულო,
ისე, ვით ვარდი ღვთის ედემს,
ძველ-ახალ მკვიდრთ ცვარით რწყულო.

ვერ დაგიჭკნოს ხე სიცოცხლის
ავმოსურნის ავმა თვალმა;
წამიდან წამზე იმატოს
შენს მიღწევათ სათვალავმა.

გიმრავლდეს სამწყსო ისე, ვით
ზღვად — თევზი, ცად — ვარსკვლავები;
ქალწულ სახელს გიბრწყინებდნენ
შენს მკერდს ზრდილი ალმასები!

"სოფელ სპეირის ქალაქად გადაქცევა რომ გან-
ვიზრახე, ვიფიქრე, რომ ჩვენი ქალაქის სიდი-
ადე გაათასმაგდებოდა, თუ იქ ებრაელებს ჩამო
ვასახლებდი".

სპეირის ეპისკოპოსის სიტყვე-
ბი იმ ქარტიის წინასიტყვიდან,
რომელიც მან ამ ქალაქის ებ-
რაელებს უბოძა 1084 წელს

## დიდება თქვენდა!

დიდება თქვენდა,
ცაჰალის გმირებს,
უდროდ მოცელილ
ლომგულ ვაჟკაცებს,
ვის წმინდა სახელს
სიონის დედა,
ვით ღმრთისას,
კურთხევით მოიხსენებს –

მარად, რომ იქნეთ
ხულით შერწყმულნი
ძველ–ახალ ქვეყნის
გულის ძგერასთან,
და ხალხის
მკერდს ჭდეულ იარაში
უქროზ ხანთლად
ენთოთ ძველ ცაძართან!

# დავანთებ სანთელს

დავანთებ სანთელს, უწმინდეს ცვილის,
გმირთა სახელზე ლოცვად აღვლენილს,
ვინც გადგეფარა ჭაბუკი მკერდით
უდაბნოდ გაშლილ იაშვეს ყვავილს.

მით მეც ვენთები, ვით კელაპტარი,
შენს კარიბჭეთა საგუშაგოზე;
ამ ლექსს ვამღერებ მშვიდობის ჰიმნად
"შახარითთან" ყოველ ალიონზე.

დავითის ქნარზე ფსალმთა გალობას
ზებანს მისცემენ სერაფიონნი,
რომ არ გაწითლდეს სისხლის წვიმებით
ქვეყნად აღარა დღის დაფიონი.

ო, შენც განახვენ ბჭენი ტაძრისა,
წილკერძო ღვთისავ, მრევლის საკურთხად,
რომ არდროს ჩაქრეს კანდელი შენი
მოსხეპილ ვაჟკაცთ სულთათანისად,

რომ არ ქრებოდეს სანთელი მათი,
ვითარც ნათელი ზენაარისა,
და მადლი მისი უვნებელჰყოფდეს
უკუნის მოდგმას აბრაამისას!

I5. ს. I982 წ.

## ცრემლის კორძები

რად დაღვენთილან ეს კელაპტრები,
თავდაქინდრულნი გმირთ სავანეზე?
ან მწველი ბროლის ბრილიანტები
რად დაკორძებულან ნაზ ლაწვებზე?

ო, ეს ცრემლია მწუხარე გულთა,
თვალთ დანადენი მჭმუნვარე ერის
მათთვის, ვინც ქვეყნის საგუშაგოზე
მტერს შეელეწა ლომგული მკერდით...

კურთხეულ იყოს მათი სახელი,
ვინც მარადიულ ალმიდა ფეთქავს,
და ამ მწველ ცეცხლის სევდიან გზნებით
მტკიცე მშვიდობის შენობას ძერწავს!

"ღმერთმა დაინახა, თუ რა დიდი იყო ადამიანის ბოროტება დედამიწაზე... და ღმერთმა ინანა, რომ მან შექმნა ადამიანი დედამიწაზე და მას გული დაუღონდა".

დაბადება

# ორი ვარსკვლავი

ეთერს ერწყმოდა ხმა ლიქტორისა;
მებრძოლთ ამცნობდა ჩვილთ დაბადებას...
ვაგლახ, რაღა დროს! ზოგი მშობელი
ველარ გრძნობდა მამურ ნეტარებას.

ქვემეხთ ქუხილში და ნაღმთ ღრიალში
კვნესა გმირისა ბოლო ისმოდა:
შვილი ამ ქვეყნად იბადებოდა,
მამის ვარსკვლავი ზეცას წყდებოდა...

სიცოცხლის წყაროდ უჩნდა იმედი,
ცისარტყელასებრ ასხივებული;
ამ დაუნდობელ წუთისოფელში
ახალ ცთომილად ცას დაკიდული....

9. 6. 1982 წ.

## მოსხეპილ ჭადრებს

იგი წავა და სხვა მოვა
ტურფასა საბაღნაროსა!

სულმნათო შოთავ, სანუგეშებლად
ადამის ძეთა ამას გვასწავლი,
რამეთუ მიწყივ ავისა მქნელი
არის სოფელი ესე მუხთალი.

მაგრამ ძნელია, გულით ითვისო
ბრძნული ნათქვამი იმ ავბედით ჟამს,
როს კაცთ ავკაცობით დანთობილი
ომი უდროოდ ლეწს ტანკენარ ჭადართ.

ო, რა ძნელია, ნათლისმფრქვეველო,
მიუსადაგო ეს სიბრძნე იმ დროს,
როდესაც სიცოცხლით გაუმაძღარ
ჭაბუკებს ტყვია კვირტშივე აზრობს.

ვაჰ, რა მძიმეა იმათი ხვედრიც,
ვინც ვერ მოესწრო ქვეყნად მამობას;

შვილის ალერსით დაუტკბობელი,
გამოესალმა ტოლ-მეგობრობას...

დე, ამ პწკარებად მაინცღა დარჩეს
სახელი მათი, დაუვიწყარი,
ვით სულთათანა, მარადულ ალთან
მათ სულს უთნევდეს ეს სახსოვარი,–

ყოველ ჟამს, როს მათ სამარადჟამოს
კენჭს უთავაზებს ვინმე გამვლელი,
და წაუფსალმებს, რომ ხალხის გულში
უქრობელია გმირთა სანთელი.

ეს სანთელია ერი, ქვეყანა,
მომავლის მტკიცე ნავთსაყუდარნი,
რომ მათთან ერთად მათ მცველთ სახელნიც
რჩებოდნენ მარად გაუხუნარნი.

I. 9. I982 წ.

## რტო პალმისა

თუ რტო პალმისა
    წილად ხვდა ერს აბრაამისას,
გამოიარა
    მან ამის წილ შეოლი ენგზის,
ხანამ ტანჯვის გზით
    გამოვიდოდა სინათლეზე,
დასარწყულებლად
    აღთქმულს წყაროზე სიონის მთის.

თუმც... ამ პალმის რტოს,
    ერის ძნელად მონაპოვრისას,
ვაგლახ! დღემდე კვლავ
    უხვად დასდის თვალთა მლაშობი,
რადგან სიცოცხლის
    ხეს მარადის უკვდავსაყოფად
მსხვერპლად ეწირვის
    მრავალ დედის ტანჯვით ნაშობი...

ო, ღმერთმა უწყის,
    როს ელირსებათ ოდით დევნილთ,
ეს პალმა ექცეთ
    მშვიდობის კარვის ვრცელ სიმბოლოდ;
ზღვარი დაედოს
    დღიურ ბრძოლას არსებობისთვის,
რომ მწარ წარსულის
    მოსაგონრად დარჩეს ის მხოლოდ...

## ატირებულან ანგელოზები

რად გარდუხსნია ცას კარიბჭენი?
ან რად აწვიმებს ცვარ–ნამს მწუხარეს?
ატირებულან ანგელოზები
ცოდვით, აფრქვევენ ცრემლებს მქუხარეს...

იდვენთებიან ცვილის სანთლისებრ
ცოცხლად დამარხულ სულთა მხილველნი...
მრისხანებს ზეცა,
                ღრტვინავს, ბობოქრობს,
რა ტატნობს სწვდება ხმები გულმწყვლელნი...

ო, ბაბი იარო, რამ დაგავიწყოს
განტევების ვაცნი რჯულის გამო?!...
ალბათ, გაივლის ასწლეულები,
სანამ დაგიწყნარდება მიდამო,–

რადგან ჩემს გარდა იმ მწარე დღეებს
კრულვით გაგახსენებთ ევტუშენკო,
ვისაც ჩემს მოძმეთ ცოცხლად ჩამარხვით
ნაღვლის რითმით სავსე თასი ერგო...

## თავდადებულთა შესანდობარი

გადაიქანცა გული, გონება,
ამდენი სისხლის, ცრემლის მხილველი;
არა მგონია, არ გრძნობდეს ტკივილს
კაცთა ტანჯვისას გულთამხილველი.

ო, ვგრძნობ კირთებას ღვთის არსებაში,
რომ მიწას მკერდს სდის ყაყაჩოთ ღვრები,
ხოლო ცას, მის კაეშნით დანისლულს,
მწუხარებით სდის მლაშე თქორები.

მწამს, დრტვინავს გამეხებული კაცთა
ავკაცობით და ატომთ ბრძმედებით,
ავი ზრახვებით, და უხმობს თავკაცთ,
შეუსმინონ ეს ვედრება თნევით:

"შვილნო, მაღირსეთ სულისა შვება!
მაღირსეთ ამ ოცნების ახდენა,
რომ უზაკველთ სიცოცხლის სატკბობად
მშვიდობის სიო მგვირიდეს აქ ლხენას!"

ო, ეს იქნება ლხინი ყოველთა,
რომ ხალხი სისხლის ღვრებს გადურჩება,
და ცრემლით ნისლული ცისკიდური
რძისფერი ნამით განიბანება.

ეს იქნება ის ჟამიც ნანატრი,
რომელიც ატომს სიკეთედ დაშლის,
რაც სათნოებას უპირფარეშებს,
და ხალხთ ერთობა ფრთებს ლაღად გაშლის.

ყველგან შეისმის თავდახრით მაშინ
შესანდობარი თავდადებულთა,
ვინც სალი კლდისებრ უფარა მკერდი
ურიცხვ ომებში ერს და მამულსა.

მხოლოდ ნაღველი მოცელილთ გამო
დაისადგურებს ერისშვილთ სულში,
რომ მათ უკვდავებას მარად ხსოვნის
ძეგლი დაუდგან მომავალს გულში.

ერთა მშვიდობა იქნება წმინდა
უჭკნობი გვირგვინი მოცელილთა,
ვინც ხელაღებით ტკბილის სიცოცხლის
იხსნა სიცოცხლე თაობებისა.

მაშ, შევსვათ ხსოვნის შესანდობარი
გმირთა, ვინც მშვიდობის საკურთხეველს,
თუ თანამოძმეთ მყუდრო ცხოვრებას,
ზვარაკად უძღვნა ტკბილი სიცოცხლე!

# დ ა რ ი – ა ვ დ ა რ ი

დილა კაშკაშა, დღე დარიანი,
ცა მოხარკული, არილიანი,
მთვარე პირბადრი, კელაპტრიანი,
მნათნი ალმასნი, ლხენით მბრწყინავნი,–
დედა-ბუნების სიხარულია,
თუ კაცს ალაღებს მშვიდი ციალით.

მაგრამ თუ გრგვინავს ომის ქარ-ცეცხლი,
ზანზარებს მიწა და ცაც მრისხანებს,
ხწვდება მის თაღედს მწველი ალები
ბომბთა ხანძრების, ამაოხრების,–

უმალ დაჰკარგავს ნათელს და ღიმილს
დილა მზიანი, ლაჟვარდიანი;
კაცს დარი ავდრად მოეჩვენება,
დაებინდება ცა სხივიანი.

დაავიწყდება მთვარეც, ვარსკვლავნიც,
თითქო მზეს შთანთქავს მრუმე, ბურუსი,
და, მძიმე კაეშნით დაბოღმილი,
წყევლის გაჩენას ავ ყამს შობილი.

მეხთა გრიალში სულით მღრჭვინავი,
კაცი ბუნებას განეკიდება;
ვერ მოუფონებს მას ჭანჯვას, გვემას,
ციურ მნათობთა მშვენიერება.

ძალნო ციურნო, თქვენ მოგვივლინეთ
მცველ-ანგელოზნი კეთილ მეგზურად;
სად აღიმართოს მჭარვალთ ლახვარი,
ფარებრ ღვთის კალთა გადაგვეფაროს!

იყავით წამებულ ხალხთ თავმდგომნი,
აღარ დაინთხეს უმანკო სისხლი,
აღარ დაინთოს ომის ხანძარი,
და, თუ არს სადმე, ისიც დაინთქეს,-
რომ სიხარული მშვიდობის დილის
მზებრ მოეფინოს წარსულის ჭკივილს!

I4. II. I982 წ.

# ჩ ე რ ნ ო ბ ი ლ ი

ხალხს გაუფრთხილდი!
გაუფრთხილდი მის ხალვთო ხალგომს!
გამოავლინე
ძალა ავ გზნეზის ამლაგმავი,
რომ ემსახურო
კაცთა მოდგმის კეთილდღეობას,
ავ საათს
მათ სამუსრად სახულო ნეიტრონო!

თუმც უკვე გვითხარ
შენ სათქმელი ჭკუას მხმობელი:
"ჰა, ჩერნობილი!...
მხლეჩ ატომთა რისხვით მგმობელი...
ჰა, ჩერნობილი!...
ეს ზარია უზეშთაესის,
მისი ედემის
მომსპობ ძალის დამამხობელი!"

ამას მოგძახით
ნაგასაკიც და ხიროსიმაც:
"რამდენი მიწა
შეეწირა ატომის რისხვას?!
რამდენი არის
ხეიბარი ჯერც ვარსკვლავკრული,
რომ აქ აკლია ცოცხლებს
და იქ — ქვესკნელთ ჯამაათს?!

ჰოი, ატომი
არვის არჩევს თვის სასრბოლ გზაზე
და, ვით ჭინჭველა,
ხალხი წყდება დედამიწაზე!"

მაშ, გონს მოეგეთ,
ზესახელმწიფოთ მეთაურნო!
ზღვარი დაუდეთ
ატომის ბნელ, შემმუსრავ ძალას,
რომ კეთილ ნებად
გადაეცეს შორით თაობებს
ეს მოწოდება, რომ თესდეს ის
თესლს გრძნობის ალალს:

"მშვიდობა ხალხსა უფლისასა!
მშვიდობა ჩვენდა!
არა ნეიტრონს!
მისი მნგრევი ძალა არ გვინდა!
მარტოდენ ხალხის
კეთილდღეობას ემსახუროს
კაცთა გენიის
ნახელავი ღმერთის საუფლოს!"

აი, რას შეგთხოვთ
ჩერნობილი, დიდნო ამ ქვეყნის!
იყავთ მოწყალე,
მოციქულნი მშვიდობის ღმერთის!
იდექით მტკიცედ
ხალხთ სიცოცხლის საგუშაგოზე,
რომ ჩერნობილი
აღარასდროს არ განმეორდეს!

# მშვიდობა

მშვიდობა არის ქვეყნად სიცოცხლე,
მყუდრო ცხოვრების უდრეკი მცველი,
ვით ზღვა კამკამა მზიან ამინდში,
კაცთ ნებიერი განსაცხრომელი.

მშვიდობა არის ქალ-ვაჟთა ლხენა
და ქორწილების რთველი უთვლელი;
მშვიდობა არის აკვანთა რწევა,
ლელობის წყნარი ნავთსაყუდელი.

ამად მშვიდობა არის ჭაპანი,
ერთსულოვნებით გასაწეველი,
რომ გულში მარად გალობდეს ჩიტი,
ნათელს ჰფენდეს სულს მშვიდი კანდელი!

"რომელნი ეძიებენ საწუთროსა შინა სიტკბოებასა, მშვიდობიანი ყოფის უკეთესს ვერარასა ჰპოვებენ. ყოველი, რაიცა სახელ-დიდების სიკეთედ და მშვენიერად, ჭეშმარიტად, კეთილ არს, უკეთუ თანაზიარ არს იგი მშვიდობისა".

## მშვიდობის სადარაჯოზე

> დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია
> და სისხლიანი დგას ანგელოსი!
>
> გ ა ლ ა ქ ტ ი ო ნ ი

სადაც კი აღსდგეს პირსისხლიანი,
შავად მოსილი ჰარიმანთ ჯარი,
იქ გადეღობოს ცეცხლოვანფრთიან,
შურისმძეველ ანგელოსთ ლაშქარი.

ბოროტი ძალის გადასაფერფლად
მათ წინ უძღვოდეს სერაფიმთ დასი,
რომ უმანკოთ სათნო გალობაში
რაინდთ ხმალი ჭრიდეს, ვით ალმასი.

მცველ ანგელოსთა ფრთების ფრთქიალმა
ააბრიალოს რისხვის ხანძარი,
თვით ზენაარის წყრომით დანთილი,
რომ მტრისგან დარჩეს მხოლოდ ნაცარი,—

რომელსაც ქარის ფრიალა ფრთები
ზღვად წარიტაცებს მიმოსაბნევად;
აღარ დასტოვებს მზაკვარ გენს წამლად
ქვეყნად მშვიდობის ტახტის სანგრევად!

## მეგობრობის უკვდავება

უკვდავება არს ერი, ქვეყანა,
მათი დუღაბი — ენა,
როგორც სიცოცხლე — საღვთო ლოცვისთვის,
ამ სოფლის აღმაფრენა.

უკვდავება არს ხალხთ მეგობრობაც —
საფანელი სიცოცხლის,
ვით წვიმით მობანილ თაღს ზეცაზე
აელვება ცისარტყელის.

მათ შეგვინარჩუნეს შორით რწმენა
მიწის მტვრით ზეაღვლენის;
ოთხივე კუთხით შინ შემოკრების,
ძველს ვენახში მოლხენის, —

რომ ნათელმხილველთ გამთბარ ნასახლარს
არ შემოაკლდეს ფშვენა,
და შიგ სიცოცხლის სის სახარებლად
კურთხევას გვძღვნიდეს ზენა.

დე, ამ ხის მაღლის აზურმუხტება
გვაფრქვევდეს მწვანე ნათელს,
რომ მშვიდ მომავლის დასამკვიდრებლად
ყველა გვიწვდიდეს წრფელ ხელს.

ძმობაში არდროს არ დავივიწყოთ
მთაც, სად ავიდგით ენა,
რომლის სისხლ–ხორცთა კეთილგანწყობამ
შემოგვინახა ქვეყანად.

ეს არს უკვდავება ხალხთ ერთობის,
ვით წუთისოფლის ჭკზილის,
რომ ამ ცვრის მაღლით გვექნეს ერთურთის
გულში ადგილი თბილი.

ასე იქნეს უკვდავი ღვთაების
ედემი, მის ხელთ რგული;
და მშვიდობის დესპანთა მიმოსვლით
მაჟობდეს სიხარული!

I986 წ.

# სამადლობელი

მე საქართველოს მადლობელი ვარ,
რომ ებრაელი კვლავ ებრაელობს;
არ აუღია ხელი რწმენაზე
და ისევ მოშეს რჯულზე ლოცულობს.

მზით ავსებულა სული და გული,
ვითარც აგვისტოს ნათლის თაკარა;
გვეძახი... შენსკენ მოვეშურებით,
რომ გასაზრდოოთ წყარო პატარა.

რაც რამ სიკეთე სულს დამაჩნია
სულდიდი შოთას ტკბილმა ქართულმა,
მსურს, შენ მოგიძღვნა სულ სასიკეთოდ,
შენის სიცოცხლით გულაღგზნებულმა.

მსურს, მით გავლო ხიდი მეგობრობის
ამ ორი ქვეყნის მტკიცე კავშირად,
რომ გადვიხადოთ სამადლობელი
ერთი ათასად, მხოლოდ კეთილად.

მინდა, მივუზღო მადლის წილ მადლი
დობილთ და ძმობილთ სიყვარულისა,

რომ ებრაელი იქნეს სიმბოლო
კაცთმოყვარების, სათნოებისა.

მით დამისსხომოს ყველამ, ვისთანაც
მქონია მცირე რამ შესახები,
როგორც სიკეთის, წრფელი გრძნობების,
შთამგონებელი მასწავლებელი.

ასე მსურს ვთესო მხოლოდ სიკეთე
ყველა ერს შორის, ერთურთგაგება,
რომ მოვსპოთ ძირში ვნება ბოროტი,
ჩემი სისხლ-ხორცის მიმართ გლასნება...

თუმცა, რას ვამბობ?! ძალმიძს კი განა,
რომ ცალი ხელით შემოვკრა ტაში?!
არა! მომეცით თქვენი ხელებიც,
ქვეყნად მშვიდობას დავუდგათ ტახტი!

1977 წ.

## მამა დავითს

ვერ ვივიწყებ ჩემს შობის დღეს მამა-დავითს,
ჯიღასებრ რომ ადგას თავზე ძირს შლილ ქალაქს
და, ტყვექმნილი მის თვალწარმტაც სანახებით,
თვალს ვერ ვწყვეტდი ვახტანგ მეფის რჩეულ ალაგს.

ხან ვდგებოდი, შვლის ნუკრისებრ განაბული,
ოქრო-ვერცხლად დაღვრილი მზის ზღაპრულ ტევრში...
ვადიდებდი მდუმარებით იმ წალკოტის
შემოქმედს და ხუროთმოძღვარს უცხო გრძნების,–

ვინც შეასვა უკვდავების წყაროს წყალი
ცა-ფირუზს და ხმელეთ-ზურმუხტს სასვალიოს,
და უცხადებს ბრძოლას სამკვდრო-სასიცოცხლოს
ავის მზრახთა წადილთ არსაკაცობრიოთ.

ამ მთის მაღლით, მწამს დარჩება მარადისი
ეს ალაგნი, წმიდათ წმიდა მოსალოცნი,
და ძველ მკვიდრთა უთვალავ თაობებისთვის
ალთქმის ფიცით საუკუნოდ გადსალოცნი.

ასე მრჩება მარტი სამოცდათოთხმეტის
მოგონებად მე იმ ტურფა დედაქალაქს,
ვინც შემასვა რითმით სავსე ნექტრის ყანწი,
რომ ვუმღერდე სამეგობროდ ჩემს ორ ძველ სახლს!

## თბილისო, ნაირ თემთა ქალაქო!

შენ ჩემი სიყრმის გაზაფხული ხარ,
თბილისო, ნაირ თემთა ქალაქო,
სიონის მთიდან ნაზი ამბორით
მწყურს, მოგეფერო, გემახლაათო!

რამ დამავიწყოს ზურმუხტოვანი
ის წლები, შენი სუნთქვით გამთბარი,
სულს ნათლის სვეტად რომ დამჩენია,
ვით ღვთის უწმინდესი ანაზარი.

სადაც არ უნდა წავსულიყავი,
მეორე დღესვე შენსკენ მიხმობდი;
მეც მოუთმენლად ვითვლიდი დღეებს,
სანამ კვლავ შენთან დავბრუნდებოდი.

შენ მზრდიდი ხიზანს ძველ აღთქმის წიგნით,
მარონინებდი მზის წმინდა სხივით;
განმიფანტავდი ნისლს ანაზდეულს
ნათელ მომავლის იმედის ღიმით.

დღეს მიმზევებდა მამა–დავითი,
ღამეს კი მითევდა მახათგვერდა,
გარიყრაყზე რომ მაღალ ხარკმელით
მბრწყინავ თავთუხთა კონას მაფრქვევდა.

და მეც ვფხიზლობდი ყოველ განთიადს,
რომ მეთქვა შენთვის "დილა მშვიდობის!"
და, ვით ნატვრისთვალისთვის ჩამეთქვა,
გასხივოხნება დღეთ ძნელბედობის.

ახლა შორიდან გითვლი სიყვარულს,
ჩაგითქვამ ათას სიკეთის ნატვრას,
რომ ძველ ბარდის დასახულ დევიზით
ძმობილობდე მის ძვალთ განსახვენარს.

"როდესაც ვინმესთან ურთიერთობას მოისურვებ, ურთიერთობა იქონიე მხოლოდ მასთან, ვინც ამისათვის განგადიდებს; და თუ პატივს სცემ, პატივს დაგდებს; და როცა მისი შემწეობა დაგჭირდება, ხელს გამოგიწვდის; და როცა განრისხებული ხარ, შემწყნარებლობით მოგეკიდება, და არავითარი ვნება არ მოგადგება შენ მისგან".

რჩეული მარგალიტები

# გ ა მ ზ რ დ ე ლ ო   ჩ ე მ ო!

თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო ინსტიტუტის
რექტორის, ებრაელი ერის დიდი მეგობრის
ირაკლი შენგელიას ნათელ ხსოვნას

ვერ დაგივიწყებ, მიწავ ქართულო,
აკვანო სიყრმის, გამზრდელო ჩემო;
მარად დაგლოცავ, სანამ ცოცხალ ვარ,
იყავ დღეგრძელი შენ, საქართველოვ!

ვერ დაგივიწყებთ, მთებო და ზვრებო,
ჩემის განცდების უტყვო მოწმენო;
ჩემის ტკივილის თუ სიხარულის
წრფელის გრძნობებით გამზიარებნო!

მინდა გავანდო მე ირგვლივ ყოველს,
უტყვსა თუ მეტყველს, სულდგმულს,უსულოს:
გტოვებთ ტკივილით, გულის ტკივილით,
ჩემის სიცოცხლის ნათლის მომფენნო.

გვესმა ყივილი მშობელის მიწის,
ეს შენს შვილთათვის უცხო როდია?!
მაშ, ნუ დამძრახავ მეც, სულის წილო,
თუ სამშობლოსკენ სულმა წამძლია.

შენ დამძრახავდი უთუოდ მაშინ,
სულს არ აღძვროდა გრძნობა შვილური
ისე, ვით ქეთოს ვაშლოვანელის
დავიწყებოდა ზეცა ქართული.

მიტომ გშორდებით გულისტკივილით;
თვალებს ამიბინდავს ცრემლი მალული;
ვებრძვი ამ ჩემს გულს,
გრძნობებს შიგ აღძრულთ,
არ გავამჟღავნო ეს სინანული.

თუმცაღა ძალმიძს, არ ვუთხრა ვინმეს,
ეს განშორება რარიგ ძნელია?!
მისთვის ავიღე ხელში კალამი,
ვაწვიმე ქაღალდს ცხარე ცრემლია.

იქნება ამით შემიმსუბუქდეს
იარა სულის, მწველი ფიქრები...
გცილდები ისე, ვით ნაიბს ქეთო,
შინ ვიქნები და მემახსოვრები.

მაშ, მომეც ხელი შენი მაშვრალი,
მიწოდე შვილი, გინდ შვილობილი;
ვიყო ერთგული სულის ზიარი,
ქართლ-ისრაელის ზეცის წრფიალი.

და მომავალში ეგება ბედმა
კვლავ შეგვახვედროს დედა-შვილურად;
არ განმერიდო, ხელი არა მკრა
და მიმასპინძლე კვლავ ქართველურად.

ასე გეწვევი, ვით ნაიბს ქეთო,
დედა-შვილური სიამ-ტკბილობით;
ვემთხვევი კალთას მამა-დავითის,
აღსავსე გრძნობით მადლიერების,—

რომ მოგიტანო სალამი შორით,
გრძნობის აღმძვრელი, ტკბილი, საამო;
თან ნატარები გითხრა გულწრფელი:
"ღირსსახსოვარ ხარ, შენ, საქართველოვ!"

ნაცვლად ერთსა გთხოვ, გზა დამილოცო;
ლოცვა-კურთხევა გზად მითანამგზრო,
რომ ჩემის უნარით გასახელოთ
ისრაელი და შენ, საქართველოვ!

არ დამამალო ეს, დედობილო,
რადგან იმ მხარეს შენც გიძევს წილი:
იქ ასვენია შენი გვირგვინი —
შოთა ნეტარი, ნათლით მოსილი.

და მეც ვილოცებ: იყოთ დღეგრძელნი
აღთქმული მიწა, მიწა ქართული,
რომ მტკიცდებოდეს საუკუნობით
ჩვენს შორის ძმობა და სიყვარული!

## სულიერ მოძღვართ

თქვენგან ვისწავლე
    სიყვარული წინაპართ ქვეყნის;
თქვენგან გაღვიღე
    ტრფიალი სიონის ლაჟვარდის;
თქვენ ჩამინერგეთ
    თაყვანცემა თალმუდის ენის;
თქვენგან ვიწამე
    უკვდავება მისანთა ერის.

ამ ცოდნამ, რწმენამ,
    თუ შორით ტრფიალმა დიდ ტაძრის,
შემასხა ფრთები
    საარაკო რაშის, პეგოსის,
და, თუმც დაგტოვეთ
    სულს ჩაკირულ მძიმე კაეშნით,
თქვენის წყალობით
    ვარ მესოტზე ორის ბომონის.

ჩემს წმინდა გრძნობას
    საკმევს უკმევს შორით ნათება

მეგობრობის ზარის
    შთამომავალთ ვარსკვლავთ წყების,
ვისაც მადლს ვუძღვნი
    წარსულ დღეთ იმ ნობათისათვის,
რაც შარავანდს შვენს
    სიძნელეებს ცხოვრების გზების.

მადლობა წრფელი,
    სულიერო მოძღვარნო ჩემნო,
ვინც განამტკიცებთ ხალხში
    სპეტაკ სულს ძმურის გრძნების,
რომ მით დაწყნარდეს
    ამ საწუთროს მღვრიე დინება
და ზეიმობდეს
    შუქნათელი კაცთმოყვარეების!

> ისტორიული მომენტი აქცევს ადამიანებს ბე-
> ლადებად და ასე ქმნიან ადამიანები ისტორი-
> ას.
>
> რაბინული სიბრძნე

# მ ე გ ო ბ ა რ ს

მეგობარი ხომ ნაწილია
ჩვენის სულისა!

ქ ა რ თ უ ლ ი

როგორც თვალი შორს, ისე გული შორს!
ამბობს ანდაზა, ოდითგან თქმული,-
მაგრამ ვინც დათმოს გზა მეგობრობის,
იქნეს ის ღვთისგან შეჩვენებული!

მეგობარი ხომ სანთელი არის,
წმინდა სანთელი, ცვილისგან სხმული?!
მეგობრისათვის სანთლებრ დავდნები,
დავილევენთები მის სიყვარულით,-

ოღონდ ვიცოდე და მწამდეს მტკიცედ,
ეს გრძნობა არის იმისი სულიც;
ხალასი არის, ვით თვითნაბადი
ბაჯაღლო ოქრო, ბუნების სხმული.

დგას იგი ურყევ, ვითარც კლდე მყარი,
მას ვერას აკლებს ჟამი და ხანი;

ღვივის ის მარად, როგორც ლამპარი,
ბნელის გამკვეთი სხივ-ჩირაღდანი.

გამიბრწყინდება ცის კაბადონი;
გარდაეყრება თალხი მის კიდურს;
წარიხოცება ჯანღი, ბურუსი,
გარდამიდარებს მე გულს დაისრულს,-

ხადაც, როდესაც შემომესმება,
რომ მეგობარი ისევ მმეგობრობს,
და, წარხულ დღეთა მოსაგონებლად,
თვის უხილავ ხელს ის კვლავ მთავაზობს!

მარტი, 1981 წ.
ბათ იამი

ბრძენხ ჰკითხეხ:"ვინ შეგიყვარდება შენ უფრო მეტად, ძმა შენი თუ მეგობარი შენი?" და მან მიაგო:"ვერ შევიყვარებ ძმახა ჩემხას მანამდე, ხანამდე მეგობარი არ გახდება იგი ჩემი".

# ადამიანი – ხატება ღვთისა

### უფლის მრისხანე დღეთა ღაღადი

მე შენ დაგხატე
    ჩემს ხატებად დედამიწაზე;
საბრძანებლად გძლევენ
    სამეუფო ცისქვეშეთისა,
რომ მსახურებდე
    ამ საწუთროს შენ რუდუნებით
უკვდავსაყოფად
    ჩემს ხელთქმნილის,
        ჩემს სახელისა.

ო, მე მახარებს
    საქმე შენი თეთრი, ვით თოვლი,
და სულს მიმძიმებს
    ხილვა, გზნობა ბოროტებისა...
გაკურთხებ, შვილო,
    ერიდო გესლს უხსენებლისას,
რომ ღვთის საამოდ
    ვლიდე შენ გზად სათნოებისა.

თუმცა... თავნებავ,
   პატივმოყვარე ხარ ბუნებით;
გულს გიღრღნის
   განდიდების ჭია გაჩენის დღიდან;
ეგ არს საწყისი
   შურის, სიძულვილის, მტრობისა,
ურჩობის წყარო
   შენს კეთილმდომ-შემოქმედისა.

ამად სახება
   ხარ ჩემი ოდენ გარეგნულად;
უცხოა შენთვის
   წრფელი გრძნობა სწორსამართლისა...
მით ვრჩები დღემდე
   მთლად საწუთროს ერთპირ განმგებლად
სასწორით ხელში,
   დიდმსაჯულად დღის განკითხვისა.

შემიწყე ხელი,
   გბეჭდო მხოლოდ სიცოცხლის წიგნში;
მწადს, განგარიდო
   ცხოვრების გზად სული მზაკვარი;
მწადს, სიუხვის რქით
   გძღვნიდე მხოლოდ შვებას და ლხენას,
რომ ვზეიმობდე
   შვილთ ბედნიერებით მაძღარი...

I9. IO. I986 წ.



შემიწყე ხელი, გბეჭდო მხოლოდ სიცოცხლის წიგნში!

# ე რ ი ს მ ე დ რ ო შ ე

თვალი ვერ მოგჭრა
შენ ფარაონის სრა-სასახლემ;
ვერ დაგატყვევა
უფლისწულის ეტლმა, პორფირმა;
ვერ წარგიტაცა
ნილოსის სანახთა სილაღემ,
ან მომავალში,
ეგებ, ფარყოს თაჯ და გვირგვინმა.

დაუფიქრებლად
ხელი ჰკარი მეფურ დიდებას,
რაკი შეესწარ
უბედურ მოძმის ცემა-ტყეპას;
პასუხი აგე შენ
ხვედრმწარე მონათა ჯალათს
და მყის გაიჭერ
უდაბნოში დევნილ ყარიბად.

ასე გარდიქეც
აბრაამის სახლისკაც ითროს
მწყემსად,
მის ასულის მეუღლედ,
მის შვილის მამად,
სანამ უფალი ცდას გიწყობდა
ფარაზედ მზრუნველს,

და გაგიშვებდა
დიდ ფირმანით მოძმეთ სახსნელად.

და, აი, ერთ დღეს,
რა შენიშნე პაწია კრავი,
ჩამორჩენოდა
შენს ცხვრის ფარას ხიცხით მწყურვალი;
ჩაცუცქულიყო
ნაკადულთან დახარწყულებლად
და, დაოხებულს,
აღარ ჰქონდა ადგომის ძალი,-

მყის მიაშურე,
მიეფერე ხათუთად ბაცკანს;
ხელთ აიცაცე,
როგორც მოსიყვარულე მამამ;
მხარზე შეისვი
დათენთილი, ძალმოსაკრებად,
და გამოუდექ
ისევ შენს ფარას დასაწევად...

და, რა შეგისწავლა
გულდასმით ცხვრების მწყემსავი,
ხთქვა, ივარგებსო
ერისთავად გულსათნო მოშე...
რასან არ დასცოვე
ღვთის ანაზრად სუსცი კრავი,
გადაგიწყვიცა,
გაესადე ერის მეღროშე!

# დ ე დ ა ს

ეშეთ ხაილი
თუ რქმევია სადმე დედაკაცს
მით, რომ სოფელზე
ზრუნვა არის ამ არსის მრწამსი,
ეს შენ იყავი, დედაჩემო,
ქალთა კრებულში
ვეძებ, ვერ ვპოვე
ვერხად შენი ბაძი და მხგავსი.

იყავ ფუტკრისებრ
გამრჯელი და ბარაქიანი;
შენ არ გჩვეოდა
ფუჭ ხიტყვით თავის განდიდება;
არ დაგცდენია
ხოფლის მდურვა, ჩივილ–წუწუნი;
არად მიგაჩნდა
წარმავალი ყოფა–ცხოვრება.

გწამდა ფარული,
შენის ხელით ნაქნარი მადლი;
გწამდა ხიკეთით,
ხათნოებით მოყვახთ მიღება...
ამ შთაგონებით
ზრდიდი შვილებს და ფასდებოდი
ყველახგან, როგორც
თვით ღვთაების ხახიერება.

გაშლილი იყო
შენი სუფრა თვით ომის წლებშიც;
შენს ჭერქვეშ ბინას
პოულობდა გადამთიელიც;
ერთ პაწა თხილის
გულს ცხრას ერთგვარ უწილადებდი,
რომ მათში არვინ
დაგრჩენოდა კუჭცარიელი.

და, როცა ძლევენად
მოგართმევდნენ მიწა-წყლის სარჩოს
მანქანებით
ჩვენი ძველი მდგმური წნისელები,
არ შეიცანდი
მინ თუნდაც ერთ ნამცეცა კენკრას,
სანამ ქვაბებით
გარეთ არ ჩამოარიგებდი.

ალალის გულით
ყოვლგნით წვდებოდა შენი მადლი;
დედის საშოდან
დაგყვა სიკეთე, სათნოება;
სხვა ყოველივე
იყო შენთვის წვრილმანი ადლი:
ამაო,
ამაოებათა ამაოება...

კეთილ საქმეში
ტოლს არ გიდებდა მამაჩემიც:
კაცი პურადი,
ხელგაშლილი და გულმართალი;

გაჭირვებულთა
ჩუმად დამხმარე და ქომაგი,
ვისაც ცხოვრების წესად
ჰქონდა, როგორც შენ, მადლი.

თქვენი რწმენა და
სიყვარული ღმერთის და თორის
იყო ნათელი
თაჯ-გვირგვინი თქვენი ცხოვრების...
ცამ რა იწვიმა,
რომ დედამიწამო, იტყოდით,
არ იყაზულა
ქედდადრეკით და მორჩილებით?!

მით ვერ გავბედავ,
დედაწმინდავ, ბრტყელ-ბრტყელ ფრაზებით
შეგკადრო,
ანგელოზებთან მჯდომს, ზედმეტი ქება,
ან შემოგჩივლო,
რად დაგვტოვეთ წვრილ-შვილი მარტო,
როს მამის უდროდ
ხლება შენთან ღმერთმა ინება?!...

ყოველ ადამიანს უნდა ჰქონდეს ძლიერი რწმე-
ნა იმისა, რომ რასაც ის აკეთებს დაბლა,უდი
დეს სიამოვნებას აღძრავს მაღლა.

ლოვ ბერ მაზერიჩელი

# მ ა მ ა ს

როგორ გწყუროდა,
ვით დედას, მზით გაუმაძღარო,
შესწრებოდი შენს
შვილ-მომავლის ბედნიერებას,
მაგრამ საწუთროს
მუხანათურ გზა-ბილიკებზე
ვინ დაიკვეხავს
თვის ნებაზე რამთა ჭენებას?!

ზოგი აგელვებს
თვის ბედაურს დარდიმახდულად
სუსხიან ზამთრის
მოლიპულზეც მუხლჩაუდრეკლად,
რა მიიმღერის
ჭაბუკ გულით, ბედის მღიმარი,
გრძელ შარაგზაზე
მარად მხნედ და ახალგაზრდულად...

მაგრამდა ზოგის
სავალი არს, ო, მეტად მოკლე...
წვრილთ გულთ იარად
მათ ჯარს უდროდ რად შეერიეთ?!

ამით ცხოვრების
გზად გამოუხვედე ნორჩ ყვავილებს
ღრმა სიმძიმილი
მკერდს მუდმივად რად ჩაგვიკირეთ?!

ო, მომიტევეთ,
რომ ყვედრებით გეზაახებით...
თითქო თქვენ გევყრათ
ამ საწუთროს მუხთალი საჭე!...
განა ცრემლებით
არ შეგვთხოვდით ორნივ შენდობას,
რომ ზენის ნებით
მოგესილათ მისი კარიბჭე?!

მხოლოდდა ერთს გთხოვთ:
დაგვიკურთხეთ გზა ცხოვრებისა
სიონის მთახთან,
რომლის სიყვარულს გვასწავლიდით...
და თქვენს ანდერძის
პირუთვნელად აღსრულებისთვის
ქვეყნად არა-რა
სიძნელეებს არ შევუშინდით...

# თ ა ლ მ უ დ ი ს ტ ი

ბავშვი ვიყავ, რომ მამა მაცნობდა
კაცობრიობის დიდ მონაპოვარს:
მოშე კანონმდებლის ხუთწიგნეულს,
სინაის ათ მცნების სჯულის ფიცარს.

ვისმენდი ამბებს, ჟრუანტელისმგვრელთ,
ხან ახლობელთ დაუნდობლობისას,
ხან კი მათ ვაჟკაცურ შემართებას
ვერაგ მტერთან მედგარი შებმისას.

გულს მიჩუყებდა მოშეს ქველობა
ჩაგრულ მოძმის გამოსახარჩლებად...
მეფურ დიდების არად ჩაგდება
და თავდადება მონათ სახსნელად.

მხიბლავდა მე რუთის ერთგულება
ბედით დაღდასმულ დედამთილისა,
და აღმინთებდა გულს სიამაყით
მთავარსარდლობა მისან ქალისა.

მიყვარდა ესთერი, მორდეხაი,
დამმხობნი ვერაგის ჰამანისა;
წინასწარმეტყველთ გონის ნათელი
აღმავსებდა რწმენით ფეხთ დგომისა.

დაქსაქსულ ტომთ მრაზმავი დავითი
მაფრენდა ხოლმე სიონის მთამდე...
და მეც თავს ვგრძნობდი იმ ღირსთა შვილად,
ვინც მეგზურად მახლავს დღევანდლამდე.

ალბათ, ეს იყო თორის ის ძალა,
ერს რომ ყავარჯნად ეშველებოდა,
და ატარებდა მუხლთჩაუკეცავად,
ვიდრე კვლავ სახლში დაბრუნდებოდა.

"გაუძეხ სიმართლითა შენითა ერსა შენსა ამას, რომელი იხსენ, ნუ გეშინის. ეც ძალითა შენითა ბანაკსა წმიდასა შენსა".

# მ ო შ ე   მ ე ო რ ე

შაბთაი ელაშვილის ნათელ ხსოვნას

შენც დაგსახა ღმერთმა ერის წინამძღოლად;
დაგისახა ურთულესი ამოცანა:
დევგმირულად გაგერღვია რკინის ფარდა,
რომ მოძმენი ისრაელს ჩამოგეყვანა.

შეასრულე ეს მისია შენ პირნათლად,
როგორც მოშე რაბენუმ მონათ სახსნელად,
ვინც ფარაონს გამოსტაცა ღვთის ფირმანით
მისგნით აღთქმულ მიწაზე დასასახლებლად.

აი, რით იქეც თორით აღთქმულ ეპოქის
მოშე მეორედ აღმდგარ ისრაელისთვის,
რომ ქალაქთ ქალაქში სკვერად ქცეულიყავ
უდროოდ დამჭკნარ ზურმუხტი ხის სიცოცხლის წილ.

ალბათ, ამ მადლით ჰქვია შენს მშობელ კულაშს
სახელად პატარა იერუსალიმიც?!
და, შერაცხულს წმინდანად უწმინდესთ შორის,
სულთათანას გიგალობს ჰარ ჰაზეთიმი...

1979 წ.

## ც ი ს კ ა რ ი

ცნობილი კალმოსანი და საზოგადო მოღვაწე, განსვენებული პავლე სარჯველაძე, საახალ წლო ბარათში მთხოვდა, ეგებ ერთი ლამაზი ლექსი დამიწეროთ იმედსა და რწმენაზე... მართალია, მოხუცი ვარ, მაგრამ მაინც არ ვიფეს ისტიბარს, რომ კიდევ მოვესწრები მაისობას თბილისშიო...

საუკუნო იყოს ხსოვნა მგზნებარე მამულიშვილისა, რომელსაც ამით ავუსრულე გულისწადილი!

⁂

განისვნა ღამის სიბნელე,
ზეცა პირს იბანს ქათქათა;
მძლავრობს ალიონს პირიმზე
და ლამობს ჯანღის გაფანტვას.

ნაირფერ გამალ იღვრება
ნაკადი მზის, ვერცხლისფერი,

როს ეფინება ნარნარად
კაცთა სამყოფელს, პირთეთრი.

მოგხიბლავს ამაზე მეტად
მშვენება სხვა, მადლიანი,
ვიდრე დაგატკბობს მზის ხილვა,
ასი ნაპერწკლიანი?!

არა! ეს ერთად ერთია
გულს მოგიფონს ნათელი;
მარად თან გდევდეს მეგზურად
რწმენა – იმედის სანთელი,

რომ არ კვდებოდეს გულისთქმა,
ვით მაჯისცემა სიცოცხლის:
ინათებს ზეცა მშვიდობის,
სილაღის, კაცურ უფლების;

რომ მით ძველ-რბილში ატანდეს
ყოველი მზის დაბადება;
ჰფანტავდეს ღამის ღაღადებს,
სულს ჩაწნულთ მზაკვარ კლანჭებად;

მით განაბნევდეს უკუნეთს,
კაცურ ღირსების შემბოჭავს;

ჰფანტავდეს ბურუსს, მოჯარულს,
გრძნობის, გონების გამჭოლავს;

რომ ღამეც ღირსებრ ნათელი
გვექნეს ციურთა დასისგან;
რწმენა, იმედი მომავლის,
სიმხნეს გვამცემდეს მის სხივთგან.

და მაშინ მზეც, მოლივლივე
ზეციურ ფერთა გამაში,
გაგვითბობს სულის კუნჭულებს,
გულადად ვლიდეთ წყვდიადშიც.

მაგისებრ, მაშინ, ნისლიდან
ვარსკვლავთ კიაფიც თვალს მოგვჭრის;
მზენათელს შარავანდს მოჰფენს
ღიმილი ღამის დედოფლის.

ლტოლვილნი შემოიკრიბებიან მხოლოდ რწმე-
ნის ფასად.

თალმუდი, სოტა

## მშობლიურ ყვავილთ სურნელი

"ხშირად მოვდიოდი ამ საზოგადოებაში თქვენი აქ ყოფნისას, რადგან მეგონა, რომ საქართველოს ყვავილთა სურნელი ჩამოგყვათ"—ო,მითხრა მიუნხენიდან გამომგზავრებისას აწ განსვენებულმა მოსე იმნაიშვილმა I978 წლის ნოემბერში.

მოგნატრებიათ
დედის კალთა შორეთს, მხცოვანო;
წყარო ვინც მასვა
მე ნექტარი ტკბილხმოვნებისა;
მათ ამიჟღერეს
ქნართ ლარები მე სადიდებლად
ორ ძველის ერის
ენისა და მათ ქვეყნებისა.

ჩემმა ქართულმა
მოგაფრქვიათ ამო სურნელი
ქართულ იების,
ვარდთა, ზამბახთ, შროშანებისა...
ჩემთან ბაასმა
დაგიამათ ოდნავ ტკივილი,
მკერდს დაჩენილი,
სადღეგრძელოდ მშობელ მთებისა.

რა ამიჩუყა
გული მაგ ჩუმმა კაეშანმა,
მკერდს ჩაკირულმა,
ვით ხიონმა ჩემს მოძმეთ სულში,
რომელთაც უძღვნეს
კვლავ სიცოცხლე ერის სავარდეს
ღვთისგან ბოძებულ,
განახლებულ მამათ მამულში.

თქვენ რა გიშველოთ?!
ო, ყასიდად ვერ შეგპირდებით,
რომ ახლავ გაახლებთ
ქართულ ხიონს მოსალოცად...
მხოლოდ ამ ლექსით
შემოგითვლით სულის ცხონებას
თქვენი სათაყვანო
ყვავილების დასალოცად,–

ვიდრე დადგება
ჟამი დახშულ ბჭეთ გარდახსნისა,
რომ თქვენმა ნეშტმაც
იგრძნოს სილბო მშობელ მიწისა;
მან მოგიშუშოთ
წაყოლილი თქვენს ძვალთგანსასვენს
მწარი იარა
აღსრულებით ნატვრის მტკიცისა...

25, 5. I985 წ.

# კ ვ ა ლ ი

სანდრო მარათელის ნათელ ხსოვნას

ადამიანი ხომ ერთხელ ცხოვრობს;
სიცოცხლე მისი წარმავალია;
თოვლებრ დადნება ქვეყნად ყოველი;
მარადი მხოლოდ ქვა და ლოდია.

ეს ქვეყანა ხომ ქარვასლა არის,
ვრცელი ქარვასლა, ხალხით მილეთის...
ოღონდ მასში კი ხელქმნილ სიკეთედ
ცოტა თუ ტოვებს კვალს თავის ღვაწლის.

თუმცა, ხომ არის კვალიც და კვალიც:
კვალი – კეთილი, კვალი – ბოროტი;
როგორც პირველი, ისე მეორე
შემადგენელი ჩვენის ცხოვრების.

ბედნიერია, ვინც თქვენებრ შეძლებს
კვალი დატოვოს წარუხოცელი...
მით, დე, თქვენს სანთელ-საკმევლის მადლმა
კვლავ მცხეთას გიძღვნათ საცხონებელი!...

I8. II. I985 წ.

# შ ე ს ა ნ დ ო ბ ა რ ი

ვალოდია კვაჭანტირაძის ხსოვნას

ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში,
ნურც დამიტიროს სატრფომ გულისა!

ნიკოლოზ ბარათაშვილი

როს თმადათოვლილ გარდახვეწილს
მამულის გზნება,
სატრფოს სახმილებრ,
კაეშანით გულს აღეგზნება,
თუნდ არ ძალუძდეს
ლექსთ თქმა–სევა პოეტის დარად,
სადა სიტყვებით
მის სალოცავ აღიდინდება.

ამ ლილინს ჩააქსოვს
ნატრული მშობელი მიწის
ლოცვას გულისას
სევდის, დარდის განსაქარვებლად;
და, თითქო ამით
ვალმოხდილი, წარსდგება ღმერთთან,
მის წმინდ სავანეს
სამუდამოდ დასავანებლად.

ეს იყოს თქვენი
    შეხანდობარი, ვალოდია,
შესმული, ვით წმინდა
    ზედაშე ქართლის ზვრებშია;
თუმც მკერდს გიმძიმებთ
    უცხოეთის ქვა და ლოდია,
მწამს, სული უკვდავი
    თქვენი ფრენს მშობელ მთებშია,-

რომ გადუფაროს,
    ვით მფარველ ანგელოზის კალთა,
ვის უგალობდით შორეთიდან,
    ვისთვის მლოცველი,
და გაჭირვების
    ჟამს გულანთებულ მამულიშვილთ
წინ მიუძღვოდეს,
    ვით ღვთის მშობლის გაწვდილი ხელი.

შორით შთენილო,
    მით იცოცხლებთ სამარადჟამოდ
ხელთუქმნელ ძეგლად
    აგებული პაწია ლექსით,
რომ აღარ დაშთეს
    ეული და მიუსაფარი
უცხო მხარეში
    დაშთენილი უცრემლო ლეში.

5. 9. 1986 წ.

## ანა კალანდაძეს

შალვა კალანდაძის ნათელმოსაგონებლად

ციცქნა ჩიტი ვარ მე შენთან, ანავ,
რაყიფობას კი მაინც გიბედავ;
მუზათა დაო, აზრთა ტიტანო,
ამ ლექსს გთავაზობ თაყვანის ნიშნად.

მსურს ვამცნო ყოველს შენი ნატიფი
რითმით გამთბარი სულისა ექო,
რომ მით გავანდო ცას, დედამიწას,
რა მადლიც დევნილ ებრაელს ერგო,—

როს ჟამთ სიავით ბუდით აყრილთა
თავი ანებეს სავანეს ძველთა
და, დაფანტულთა იბერთ მხრიდანაც,
დასცეს კარავი ივერიასთან.

ო, ეგებ იყო ზანავისწყალი
იორდანის მირონით ცხებული,
რომ ძველ ქალაქმა სათნოდ იკედლა
სიონის მთიდან თორის რჩეული?!

მისივე "აღთქმა" სცნო სჯულის წიგნად,
ფსალმუნ-დავითნი — ღვთის ქებათ ქებად,
რითაც დავით ამელესის ქნარი
გვექცა თვისობის უმთავრეს ენად...

# ღ ა მ ი ს ზ ღ ა პ ა რ ი

თამარა და ლინა არონაშვილებს
სახით, ყველა პატარას

დაქანცული ანცობით და
მთელი დღის ცქრიალით,
ხანამ მის თვალს თავს შეახებს
უხილავი ძილი,
შეხვივინებს გულისყურით
ღელის თვალის ჩინი
ცას პაწია სარკმელიდან
გოგო, ვარდებრ მრილი.

რა ვრცელია ის გუმბათი
ფირუზ-საფირონის!
ო, რა ხიზლავს თვალს ის თალი,
ბრილიანტ-ჭედილი!
ან მათ შორის მორონონე
ზირთვი, ის პირზადრი,
დარზაისლურ კდემით სავსე,
ღამის ღელოფალი.

რადაც იღუმალის ძალით
რად იზიდავს, ნეტავ?!

ეს ლაჟვარდი, ღამეული,
რა ზღაპრებს უყვება?
თითქოს ესმის ზეციური,
ჰანგი საამური,
ძილისპირულს რომ უგალობს,
დედის ხმას შერწყმული.

ლინას ნელ-ნელ, ნება-ნება,
ელულება თვალი...
ვარდისფერ სიზმრებში ცურავს
ქვეყნის ნაჭვრისთვალი;
განისვენებს მშვიდის ძილით,
ვით უმანკო კრავი,
დედის მზე და მამის მთვარე,
პაწაწინა ქალი....

ხანამ ლაღად დალივლივებს
ვარდისფერ ღრუბლებში,
და უგალობს მას ნაზის ხმით
სერაფიმთა გუნდი,
ღამეულ გიშრის მანდილი,
ფართედ გადაშლილი,
ფითრდება და იცრიცება
რიჟრაჟის ღიმილით.

ლინა ვერ გრძნობს და ვერც ხედავს
    იმ ყორნისფერ ლეჩაქს,
თუ ვით ებრძვის მუქს ვერცხლისფერს,
    ან რა შიშით ფეთქავს,
ვიდრე უტევს მას დიდ მნათობთ
    მტკიცე შვილეული,
რომ თოვლ-თეთრად გადაღებონ
    მრუმე ღამეული.

ბოლოს იპარება ღამე
    ნაბიჯებით ლბილით,
სანამ მთვარე,
    ვარსკვლავთ დასი
        და სერაფიმთ გუნდი
უგალობებენ ანგელოზს
    მძინარს ტკბილის ძილით,
და, ამ ლამაზ ღამის ზღაპარს
    სცვლის ღიმილი დილის.

აისზე, რა თვალს გააჭყეტს
    თაფლისთვალა ლინა,
ვეღარ ხედავს მოციმციმე
    ვარსკვლავთ ცათა შინა!
აღარც ბადრი მთვარე უმზერს
    ღვთის საბრძანებლიდან!
და...სერაფიმთ გალობას სცვლის
    მზის სიმღერა წმინდა.

❦❦❦

გააოცა პაწაწინა
ამგვარ საოცრებამ,
განთიადზე რომ მიართვა
მას დედა-ბუნებამ!
მით აღავსო ის სურვილით
ცნობისმოყვარებამ,
რომ უმალვე ამოეცნო
ეს სახეცვლილება.

ფიქრობს ციცქნა:

როგორ ხდება? ღამე ქრება,
და ქრება წყვდიადიც;
დღე ნათელი ესალმება
რძისფერ განთიადის;
ფაციფუცობს ირგვლივ ყველა
ალიონის მადლით;
შარიშურობს დაფიონი
უცხო შარავანდით!

აგერ, მთის წვერო იფერთხავს
მუქ ნაწნავებს ნისლის;
ჰაეროვან ოკეანეს
ავსებს რძე თეთრ ვერცხლის;
ცაში ბროლის კოშკებია
დახუნძლული თოვლის;

აქა-იქ ცხვრის ფარებია
ფიფქა ციკან-ბატკნით...

უკვირს, უკვირს პაწაწინას,
რამ უცვალა ფერი
ველა-ბუნებას წუხანდელს,
იგავს ძილის პირის?!
რა ჩუმ-ჩუმად გაპარულან
ღამის მომღერალნი,
რომ ქუდა ღრუბლებს დაეპყრო
ზეცის მოედანი!

და ფიქრობს,
ფიქრობს პაწია...
მაბავს ჭკვა-გონებას;
მაგრამ უჭირს
ამ უცნაურ
მოვლენის გაგება...

პა, ზეიმობს მზე ელვარე,
ვენერა,
მერკური;
ზანს აძლევენ ლინჯად მარსი
და იუპიტერი;
სატურნიც,
სხვა მნათობთ გუნდნიც,
თვალით უხილავნი,
მაღლსა ხძლვნიან

წყვდიადის მძლევთ –
დღე დგას მშვენიერი!

ბოლოს, რაკი ვერ ამოხსნა
ამოცანა ძნელი,
დანას ჰკითხა: სადაა
ვარსკვლავთ მდელო ვრცელი?!

თუმც... დანაც ხომ პატარაა
და, აბა, ვით შესძლებს
ამ თავსატეხის ამოხსნას,
დას რას უპასუხებს?!

და, რადგანაც დედა არის
ბრძენი მეგობარი,
ისევ დედიკოს მიმართავს
ორი მზისადარი...

დედამ წყნარად გაიღიმა
და უთხრა მწყაზარ ხმით:
„მთელი ღამე გინანავეს
ღვთიურ საგალობლით;
დაიქანცნენ შრომა-გარჯით
დიდად დამაშვრალნი,

და, მაღ-ღონის მოხაკრებად,
    მათც მოდუღებ თვაღნი.

მათ მაგივრობას გაგიწევთ
    ღღისით მზე ცხრათვაღა;
გაგაღაღებთ ცეღქ სხივების
    ცეკვა "გან-და-განა";
არ მოგაწყენთ არც ერთ წამით
    ყველას მეგობარი;
მოგიქარგავთ ცხოვრების გზას
    ოქროსფერ ვარაყით.

დაეფრქვევა მაცოცხღებეღ
    სიღბოდ მთებს და ვეღებს;
დაამწიფებს ნაყოფს ხეზე
    და ქარვისფერ ყანებს;
შრომის სიმღერასაც დასჭექს
    ყველას გასახარად,
და მშვიდობის უსცრებს მოჰფენს
    ირგვღივ მთად და ბარად,-

რომ აციღონ კაცთ სამყოფეღს
    ყღარუნი სმაღ-სანჯღის;
ბღვარი დაუღონ ომებს და
    ნაკადს სისხღის,
                ცრემღის,
რომ აციღონ დარდი,
                ჯავრი,

ქვეყნად
    თქვენს ცოლ-სწორებს,
და ჩრდილი აღარ გაეკრას
    ელვარე ცის თაღებს.

დამყარდება მაშინ ცისქვეშ
    ყოფა საამური;
სისარულის ჰანგებს მოჰფენს
    ცვბილი სადამური;
გადეკვრება ცის კაბადონს
    მშვიდობის დაჟვარდი,
და საამო სურნელს მოგვფენს
    ვარდობისთვის ვარდი.

აიჭრება მაშინ ცაში
    ფრთათეთრ მცრელთა გუნდი
ზეთისხილის მწვანე რცოთი
    პაწია ნისკარცში;
ის ექნებათ კალმად, ყალმად,
    ნაწობი ნექცარში,
რომ
    მშვიდობა ქვეყნად!
სწერონ
    ყველა ზეცის თაღში.

თან იღუღუნებენ ლხენით
    ლაღ შრომის ფერხულში,

რომ მით ღვთის კეთილი ნება
განამტკიცონ ხალხში,
რადგან, რაც კი გააჩინა
ღმერთმა ცისქვეშეთში,
არ სურს მას მათი მოსპობა
ნაღმებს და ბომბებში.

მთლად ჩაწყდება სამუდამოდ
ავი ხმა თუ დარჩა;
აუწყებენ თანაც გამჩენს:
„მსოფლიო გადარჩა!
აღარ ელის კაცთა მოდგმას
წარღვნა ნეიტრონით;
იმართება სამშვიდობო
რბენის მარათონი!

ამ მშვიდობის ასპარეზის
ურიცხვ ალამთ შორის
იფრიალებს მნათი ფარი
თეთრ–ცისფერი დროშის;
და მაქაბელი, პირველი,
წაიღებს ჩირაღდანს,
და მიართმევს სამადლობლად
იაპვეს არმაღანს.

ამ ფესტივალის მხილავი,
გაიხარებს ღმერთი,

ეს ხომ მისი ნაწერა არის
ქვეყნად ერთად ერთი!
მით გადადღება მზე, მთვარე,
ვარსკვლავთა დასები;
გაბრწყინდება ცის ტატნობი
ხერაფიმთა ფრთებით —

და ხმაშეწყობილ გალობით
ქერუბიმთა გუნდთან
ადავლენენ ხოტბის ფსალმუნთ
არსთა შემოქმედთან,—
რომ უმღერონ ადმაფრენით
თქვენს კბილა პაწაწებს,
და უძღვნან ქება მნათი მზის
მშვილობის მფრქვევ სხივებს!..."

***

გაუბრწყინდათ სიხარულით
თვალი დანას, ლინას:
გავიგეთო საიდუმლო,
რაც უშვია ზენას;
მაღლს მივუძღვნით კეთილ ნებას
ქვეყნის შემოქმედის,
თან ჩვენს ხმასაც შევუერთებთ
ხმას სათნო ბავშვების;

ვთხოვთ, რომ ინეზოს ხიუხვე
დედამიწის ზურგზე;
ყველას ერგოს ხიუხვის რქის
წილი, როგორც ეს მზე;
რომ იფრქვეოდეს ხიონით
მშვილობის ჰანგები
ისე, როგორც შახარითის
ლოცვა ალიონზე,–

რომ გამეფდეს ციხქვეშეთში
ძმობა, ხიყვარული,
მით ფრთას შლიდეს კიდით კიდე
წრფელი ხიხარული!

და მოიღე ზეთი ზეთთაგან უთხლეო, წმიდა, წურვილი ხანათეზლად, რათა მარადის ენთე ზოდეს ხახანთლე.

გამოხვლათა 24 2

## ვარდი და ეკალი

ერთი სულის გადარჩენა მთე-
ლი ქვეყნიერების გადარჩენის ტოლ
ფასია!

თალმუდიდან

ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი,
გულს რისთვის იხვევ მტრობასა?
შური და გაუტანლობა
ხომ ღუპავს კაცთა მოდგმასა?

რაც კი რამ სანუკვარია,
ჰქმნის შემოქმედის გენია,
რომ შთააგონოს ადამსა,
სიცოცხლე მშვენიერია.

მშვენიერია ცარგვალი,
ანგელოზთ ფრთებით ნათელი;
ვერცხ-საფირონად ნაღები,
თვალ-გულის დამატკბობელი.

მომხიბვლელია ბუნება,
სალბუნი მტკივან გულისა;
მისი წიაღით ნაპკური —
მადლი მშფოთვარის სულისა.

ლართ აგიყლერებთ საფარი,
შიშველის მიწის მქარგველი;
მის სინატიფით ტყვექმნილი,
ურჩხულიც კი ხდება ქველი.

თვალუწვდენელი სამყარო,
ყოვლის სიკეთით ავსილი,
ადამისძეთა სახარად
არს ზენისგან ბოძებული.

სულ ყველა ერთად შერწყმული,
არს ედემი ქვეყნიური;
კეთილხმოვანთა საკრავთა
სავანე მარადიული;

შვების მომგვრელი ყოველთა:
კაეშნიანთა, ტანჯულთა;
მესაიდუმლე მიჯნურთა,
სალაღობო ლაღხინულთა.

მაშ, ბედნიერების აკვანს
რად ვაწვენთ დარდს ნაირ ჯურის?!
კარი გავუღოთ მოყვრობას,
ბოლო მოვუღოთ გენს შურის.

თუმც კი, რას ვამბობ?! უნახავს
ადამს ამ ქვეყნად ალაგი,
არ ხელმწიფებდეს იქ მტრობა,
შუღლი, ქიშპობა მარადი?!

და, ცისქვეშეთი თუ არის
ადამის გაშენებული,
მფარველ ანგელოზთ მადლია,
ღვთის კეთილ ვარსკვლავთ კრებულის.

რა გაუძლებდა სხვაგვარად
ომებს, კაცთ დაუნდობლობას,
მეტოქეობას ხალხებში
თუ ძმათა გაუტანლობას,–

რომ მოთმინება იობის
შემოჰკლებოდა სიხელით,
ვერ გაერჩია ავ-კარგი
კაცს, კაცთ მუხთლობით დაბოღმილს?!

ანდაც მრჩევლად არ ჰყოლოდა
დედა-ბუნება ღვთის მადლით,
რომ მის მშვიდ წიაღს ეძებნა
გამოსავალი წყვდიადით?!

ამაზედ გამიგონია,
გადმოცემული ძველთაგან,
თუ ვით სცვლის ადამის რისხვას
თუნდაც სურნელი ყვავილთა...

ამბობენ, თურმე ოდესღაც
ერთ ქვეყნად მეფე ცხოვრობდა;
მოწყალებით თუ სიქველით
ბადალი არ ეძებოდა.

ქმნა სამართლისა მართლისა
ჰქონდა მას წესად დარგული;
არ ბოგინობდა მის მხარეს
სული ობოლი ჩაგრული.

მართავდა მირონცხებული
სამეფოს, ვით ბრძენთ წესია,
სანამ შურ-გაუტანლობამ
ქვეშევრდომთ ხელი დარია.

დიდკაცთ, მის ტახტის მოშურნეთ,
თეთრი ხვდებოდათ თვალს შავად;
კეთილ ხელმწიფის ხელქმნილი,
კარგიც ესმოდათ მათ ავად.

ენათ აღრევამ და ღვარძლმა
არია მთელი ქვეყანა;
ვისაც სიკეთით ავსებდა,
ის უხდებოდა მტერადა...

ითმენდა დიდხანს ხელმწიფე,
ვით ბალღი თვინიერია,
მაგრამ ამ გულმოწყალებით
ხალხი მთლად გადაერია.

ნელი-ნელ ცილისწამებამ
ერთურთშიც ხელი დარიათ,
და ჯოჯოხეთად გადექცათ
ცხოვრება ძველს ედემშია.

ვერ ანელებდა მგზნებ კოცონს,
ავის ენებით ნთებულსა,
ხელმწიფის შთაგონება და
ურყევდა მას ცახცს ქებულსა...

ზღვარი აქვს ქვეყნად ყველაფერს
და, გინდაც იყოს ომი,
გამოულევს მოთმინებას
კაცს შხამი შუღლის და მტრობის.

ამგვარს ყოფაზე უთქვიათ:
ცხვარი, თუმცადა ცხვარია,
მაგრამ რაკი გაზრაზდება,
ათარზე უფრო ცხარია!

ხელმწიფევ, შენის მირონით
რაგინდაც უხვად ცხებული,
სისხლ-ხორცით მიწიერ არსთა
არის ჭეშმარიტი შვილი.

ღვარძლით ნაღვივებმა შუღლმა,
შარზათს რა შხამი ურია,
ხათნოს და სილინჯით ცნოზილს
დავთრები მთლად აურია.

კარისკაცთ თავგასულობამ,
მდაბიოთ უმადურობამ,
ალავსო ბოლოს წყრომით და
ცოდვა-ბრალად ათქმევინა

სიტყვა, მუქარით აღსავსე,
არ მოსაწონი ზენარის,
ვინც თავის ალღით განაგებს
ბედ-იღბალს მაღლის და მდაბლის.

ნადირობის ჟამს, რა სცადა
ძუძუმტემ მეფის მოსპობა,
ძმებრ შეზრდილ მუხთალს უეცრად
წამოეწია ღვთის გმობა —

იმ წამს, რა წამსაც ესროლა
დამბაჩა ღვთის მირონცხებულს,
მისვე ძემ აუკრა ხელი
მამას ცხენ-და ცხენ წაწეულს...

აი, რამ იხსნა სიცოცხლე
ხელმწიფის, იმ დღეს ავბედითს...
და იმ წამს დასცდა მას ბაგით
ქადილი, საწყენი ღმერთის:

"რაკიდა თქვენ ვერ იფერებთ
გულმოწყალებას, სიუხვეს,
აღმოგფხვრით, ვით სარეველებს,
რომ ბაღი ჩემი ბაღობდეს!

განურჩეველად გარდაგხრავთ
დიდკაცს პატარა კაცამდე;
დავრგავ ხეს ახალს, სიკეთის,
ვერაგი შიგ ვერ ვარგობდეს!.."

ამ ქალილით დაბოლმილი,
მეფე გაიჭრა ველადა;
სახავდა გეგმებს ათასგვარს
უკეთურთ აღსაკვეთადა.

შიგ-შიგ მის ქალილს გაჰკრავდა
ფიქრი მწარის სინანულით,
რა უბრად გაჰხედდა ტატნობს
ქველი თვალებით, ნამულით.

უწყოდა, მართებთ გამგებელთ
მიწიერ საბრძანებლისა
ზენართან ბჭობით გამოხსნა
ავბედით ნასკვ კვანძებისა.

ასე, უსიტყვოდ უბნობდა
მეფე თვის უჩინ პატრონთან,
და მოკრძალებით ჩიოდა
ცისა და მიწის ბატონთან:

"უფალო, დიდხანს მივუშვი
თოკი შენს ბოძებულ სამწყსოს;
ვერ დავანახე მათ ხარბ თვალს
კარგი, მიგეს მახეც ბოლოს...

ნუთუ დავუშვი შეცდომა
თავმდაბალ მეფის, საულის,
რომ ვერ მოვთოკე ბუნება
სიკეთით კაცის, ავგულის?!.."

ალბათ, არაერთხელ გსმენიათ გამოთქმა "მეფური თუ ხელმწიფური გულზვიადობა". როგორც ჩანს, ესეც ბიბლიიდან მომდინარეობს, და ისიც განგების ნებით.

შაულ ანუ საულ ამელეხი გახლდათ ისრაელის პირველი მეფე, მაგრამ ჩვენს მატიანეს დავითი შემორჩა ებრაელი ერის სამეფო დინასტიის ფუძემდებლად. მან დარაზმა თავის დროშის ირგვლივ ისრაელის დაქსაქსული ტომები და შორს გასწია თავის საბრძანებლის საზღვრები ამ სამიათასიოდე წლის წინ.

თალმუდის კომენტატორთა შორის აზრთა სხვადასხვაობა არსებობს იმის თაობაზე, თუ რის გამო ასცდა შაულს ისრაელის სამეფო დინასტიის ფუძემდებლის სახელი მიუხედავად იმისა, რომ ისიც მრავალი სამეუფო ღირსებით იყო დაკურთხებული. ამ ღირსებებს შორის უპირველესად უნდა ჩაითვალოს მისი სათნოება, მოკრძალება და თავმდაბლობა. როგორც მიდრაში გვამცნობს, სწორედ ამ თვისებათა წყალობით იქნა აღზევებული სამეფო ტახტზე ბინიამინის პატარა ტომისა და უმცირესი საგვარეულოს წარმომადგენელი, ტანად ბრგე და ახოვანი, ტოლებში ტოლდაუდები შაული.

ახსოვდა რა თავისი მდაბიური წარმოშობა, ის ერთგვარი პატივისცემით ეპყრობოდა მაღალს თუ მდაბალს და სრულიად უცხო იყო მისთვის მეფური ქედმაღლობა. ალბათ, იმ დროიდან მომდინარეობს გამოთქმა:"კეთილშობილება გავალდებულებს!" რაც შაულმა არ იცოდა, თუმცა ვიტყოდი, რომ ადამიანი ყოველთვის უნდა იდგეს თავმოყვარეობის სადარაჯოზე, რომ ის არავინ შეულახოს მას!

და აი, როცა შაული მიცპეს თავყრილობიდან ბრუნდებოდა, ვიღაც არამზადებმა მიაძახეს, როგორ შეუძლია ამ ყმაწვილს ჩვენი წინამძღოლობა და გადარჩენაო, და აბუ-

ჩად აგდება დაუწყეს მას. შაულმა აინუნში არ ჩააგდო შეურაცხმყოფელთა უხამხობა და... ამით დაუშვა უდიდეხი შეცდომა და შეცოდება ერისა და ღმერთის წინაშე.

როგორც თალმუდის კომენტატორები მიგვითითებენ, მეფე ზენარის განხახიერებას წარმოადგენს დედამიწაზე და უფლება არა აქვს ყური და თვალი აავლოს თავის წოდებისა და ხამეფო ღირხების შეურაცხყოფას /კიდუშინ, 32I/. ამის თაობაზე ვკითხულობთ შმუელის წიგნში:"ის, ვინც ღმობიერია ულმობელისადმი, ამთავრებს იმით, რომ ულმობელი იქნება გულმოწყალისადმი!"

ეს გახდა ხუთიდან ერთ ერთი მიზეზი იმისა,რომ ზენაარმა მას ცახციდან გადმოხმა გადაუწყვიტა და წინას წარმეტყველ შემუელს დაავალა მისი ღირხეული შემცვლელის გამოძებნა.

შემუელმა ბოლოს შეატყობინა შაულს ზენაარის გადაწყვეტილება და უთხრა:"კეთილი და პატიოსანი, რომ ხარ თავმდაბალი და მოკრძალებული, მაგრამ შენ ხარ ისრაელიცელ ცომთა მთავარი. ღმერთმა გცხო მეფობის მირონი.. მეფეს არა აქვს უფლება ხელი დააფაროს თავისი მეფური ღირხების შეურაცხმყოფთ!.."

და ღმერთმა უბრძანა შემუელს მეფობის მირონი ეცხო ფარულად მწყემხი დავითისათვის, რომელიც ჯერ შაულ ამელეხის მეხიკოხი გახდა; გოლიათის მოკვლის შემდეგ ეროვნულ გმირად აღიარეს და ეჭვით შეპყრობილმა მეფემ დევნა დაუწყო მას შურიანობის ნიადაგზე, მაგრამ

რაცა ღმერთსა არა სწადდეს,
არა საქმე არ იქნების!

ამბობს შოთა და ახეც მოხდა: ხანგრძლივი მეცოქეობისა და შეხლა-შემოხლის შემდეგ დავითმა შეხცვალა შაულამელეხი ხამეფო ცახტზე და იქცა თავისი ქვეყნის უძლიერეს ხელმწიფედ.

ცა მოუქურუხდა რისხვით...
თვალთ დაუბნელდა მას წამით,
რა წარმოუდგა ანაზდად
სურათი საფრთხის, მუხთალის.

ნადირობისას, რა ყურთან
გაუწივლა მცდარმა ტყვიამ,
შებრუნდა და... თვალი ჰკიდა
ძუძუმტედ მეზრდილ ბაქიას!..

აკვნით დაობლებულს, შვილებრ
გაუწია მფარველობა
მამა-ხელმწიფემ და მის სწორ
უზლო მეფური წყალობა.

ეგონა, რომ გაუწევდა
მის ერთას ჭეშმარიტს ძმობას
და, ღირსეულ მთავრის შვილი,
დაუფასებდა ქველობას.

მაგრამ შეცდა ანგარიშში
კეთილი მამა-ხელმწიფე,
და მის სათნო კვალს მავალი
სატახტოს მორიგი მეფეც.

უფლისწულის ძუძუმტედ ზრდილს
ზის კვერთხზე ეჭირა თვალი:
"მე დამმშვენდება ეგ ტოგა,
მშვენებით მე არ მყავს ცალი!"

ხთქვა და... დაიწყო ობობას
ხლართების ქსოვა მზაკვარმა,
რა დღეს მემკვიდრე უფლისწულს
ხვდა მამის ტახტზე დაჯდომა...

მერე, თქვენც უწყით, ცბიერმა
ქვეყანა ვით აურია,
და ძმად ზეზრდილი ხელმწიფე
ცოტაზე მკვდრებზს გაურია...

ხომ იცით, კაცი – კაცია...
ყველას სჭირს მცირე სიშმაგე,
რასაც ბრძენნი უწოდებენ
ხალხურ ენაზე "სიბრაზეს"...

მეფეც, სიშმაგით პყრობილი,
დააგელვებდა თვის მერანს;
ვერ წყნარდებოდა ვერა-გზით,
რომ ყურად ელო გულის ხმა,–

რომელიც ხვეწნა-მუდარით
ჩახჩიჩინებდა ქარ-და-ქარ:
"ნუ მოიძულებ სიწყნარეს
და ნუ აიოხრებ სახლ-კარს!..."

ქარიც, გულის ხმას შერწყმული,
თითქოდა ამას ვედრებდა:
"თაგვ და ბაღლინჯოს გულისთვის
ბრძენი სახლს ალს ვით მისცემდა?!

რა კაცს ქველს, ცხოვრებით გაბრძნილს,
გაუჭირდეს გზის გაგნება
ცხოვრების ლაბირინთებში,
მართებს ბრძნული დაფიქრება,-

რომ საქმე საჯოს გარჩევით,
არ აჩქარებით, შლეგურად...
მით პოულობდეს ღვთის ძალით
გამოსავალს გონივრულად!..."

თუმცღა... მძვინვარე, ცოფისყრით,
რას დაგიდევდათ ბრძნულ ბჭობას?!
და რისხვით ბურძგლებაყრილი,
მოხვდა უკაცურ ნაოხარს...

ხელმწიფემ ვერცკი შენიშნა
არე, ქცეული ეკლადა,
სანამ მჩხვლეტავი ნემსები
ხელს არ შეესხო ბელადა.

შეკრთა სიმწრით, გონს მოეგო,
და მზერა ირგვლივ მოავლო...
რა თვალი ჰკიდა ეკალ-ნარს,
ეს პარალელი გაავლო:

"შხამავს კაცთ სამყოფს ვერაგი,
ბუნებას - ეკალ-ნარია!..
ზოროც ვარსკვლავზე შობილი,
ორთავე მოხასპოზია!...

მაშ, განადგურდეს ყოველი,
რაც წუთისოფელს ამწარებს!
რად მინდა მე ის ხიჭ-ხუჭი,
რაც ბაღნარს არ გამიხარებს?!

მოვხრავ უმადურთ, ვერაგთა;
ამოვძირკვავ ეკალ-ბარდსაც,
რამეთუ უკეთურობით
მიჯოჯოხებენ ედემსა!"

მეფემ რა ხმალი იშიშვლა
ეკალ-ბარდის ასაკუწად,
ყალყზე შეუდგა ჭიხვინით
რაში, რაღაც ჭირვეულად...

თითქოდა, კაცი იგზნოო
იმ უძეხორციელს ველსა
ფეხთა წინ, რომ ძვრა ვერ უყო
მეფემ თვის ერთგულს ცხოველსა.

ასეთი გახლავთ ბუნება
ამ კეთილშობილ ოთხფეხის:
არ დააკარებს ის კაცს ფეხს,
თუნდაც ჟამს გიჟურ გეღვების!

რა უწყოდა ეს, დამზირა
ხელმწიფემ მდუმარე ველი...
არ ჭაჭანებდა არსაით
მხეცი თუ ძეხორციელი...

ამად გახელდა ხინიბის
ყინით ხასიათწამხდარი
და, ერთგულს, თავგამეტებით
გადაუჭირა მათრახი...

მაინც ვერ დასძრა ადგილით
რაში, რაშებში ქებული;
ვერცთუ ინიშნა ნიშანი,
განგებით მინიშნებული...

ჰოი, სიგიჟევ წამისავ,
კაცთა რისხვად წოდებულო!
რა ეშველება ხამყაროს,
თუ არ შენ, მადლით ქებულო!

მწყურვალს კლდით წყალს გადმოუხეთქ
უწყლოდ დაშაშრულ ტინებში;
ადამის ნებით განწირულს,
გადეფარვი განსაცდელში!

მით მაცთურ ეშმას აყოლილს
მრისხანედ ლაგამს ამოხდებ;
უმანკოს, ცხრაკლიტულს მწყვდეულს,
გრძნეულ კვერთხით ხუნდთ დაუმსხვრევ,–

რომ ქმნითა სწორ სამართლისა
აღზარდო შენნი ხელქმნილნი;
შემოაბრუნო გზასწორზე
უკუღმართ გზებით მავალნი.

ამრიგ, ბოროტების ტრფიალს
აჰყევლინებ შობის დღეს კრულს;
სათნოს, წამით განრისხებულს,
მეყვსეულ მოუბრუნებ გულს.

ასე გვასწავლი თალმუდის
სიბრძნეს, ბრძენთ ბაგით წარმოთქმულს,
რომ სამი ჭეშმარიტება
უდევს საძირკვლად სახლს, შენს დგმულს:

პირველი არის მშვიდობა,
ყველას ერთგვარ სანატრელი;
სიცოცხლის წყარო უშრეტი,
მტკიცე მომავლის მჭედელი.

მეორე — სამართალია,
ხის ხმელის მქნელი ნედლადა;
უსამართლობით ქედდახრილთ
წელში გამმართი ბედადა.

მესამე არს სილამაზე,
ლაზათი წუთისოფლისა;
გულის მომლბობი ურჩხულთა
თუ გონს მომყვანი ხელქმნილთა.

ვერც იბუნებებდა ლაღად
ბუნება, არსთა ზიარი,
რომ მოჰკლებოდა ამ სამს მადლს
სიცოცხლის თანაზიარი..."

თითქოდა, ყურად იღოო
ეს ქადაგება ღვთიანი,
რომ მოეფონა მეფის სულს
სითბო მალამოდ, მზიანი.

და, ამ ზეგრძნებით პყრობილი,
ტორავდა რაშით ფრთამალით
ხრიოკს, რომ ეგებ ეპოვა
იქ ჭირ–ვარამის წამალი.

მაგრამ... დაერთო ჭირს ჭირი
იმ უკაცურ ბუნებაში,
როს კვლავ ეკლების ნაკაწრით
დასდინდა სისხლი მას ღაწვით,–

რაწამს უეცრად მიადგა
ცხენი მათ სარეცელს მხედრით,
ვის მტრობა ნარ–ეკლისადმი
განელებოდა ფიქრებით.

და, რაკი ახლა მეორედ
იჩხვლიტა ეკლის ნემსები,
განრისხდა მეფე ხელახლა,
ყალყზე შეუდგა მას თმები,–

რა სთქვა:"ნუთუ ნარსც თავს გასდის,
რახან დავზოგე ბედშავი?!
ვაჩვენებ სეირს, არ დარჩეს
ხსენება აღსაძირკვავის!"

და, რა იშიშვლა მან ხმალი
ეკალ-ბარდის ახაჩეხად,
ვით ცითვლენილს, თვალი შჰკიდა
თვალწარმტაც ყვავილს მათ მხსნელად!

მჩხვლეტავ ნემსების სარეველს
თაჯად, ო, ვარდი შვენოდა;
მისი სურნელის მყნოსველი,
კაცი უღვინოდ თვრებოდა.

შეჩერდა მეფე ანაზდად,
ტყვექმნილი მის სილამაზით!..
"ო, ყოვლისშემძლევ! — აღმოხდა,—
სწყალობ ყოველს ციურ მადლით!

ეს ერთი ტურფა ყვავილი
რაოდენ მადლის მირონს სცხებს,
საძულველ ეკლის სარეველს
თითქმის სამოთხეს ამსგავსებს!

თუმც, ეგებ ეკლის წყალობით
შემორჩა ვარდი ამ ადგილს?!
ალბათ, ეს მცველი უშლიდა
ხელს ხარბ კაცთა გულისწადილს?!..

ანდაც... განგებ თუ მომიძღვნა
მან, ვით ღვთის კეთილი ნება,
რომ ამ ქარაგმით ვისწავლო
ჩემის სამეფოს შენება?!.."



მან სამცროდ გამომელებული ხმალი ქარქაშში ჩააგო,
და სახელმწიფოს სამართალ ახლა სხვა გეგმა ააგო...

მზის სხივზე მოთინათინე
ყვავილთ ნაზმა დედოფალმა
ნარნარ ფურცელთა ლივლივით
ხელმწიფე ისე მოხიბლა,

რომ სამტროდ გაშიშვლებული
ხმალი ქარქაშში ჩააგო
და სახელმწიფოს სამართად
ახლა სხვა გეგმა ააგო.

იდგა, შეტრფოდა ხელმწიფე
ვარდს ეკალ-ნარის სარეცელს;
უწყნარდებოდა ნერვები
ნატიფი სურნელის მყნოსველს...

უთხრა ბოლოს:"ვერ დაგტოვებ
საწყალ-ობლად ამ ეკლებში;
წამო, სათუთად წაგიღებ,
ჩაგრგავ ტოლ-ამხანაგებში,—

რომ თავს არ გრძნობდე ამ ხრიოკს
უთვისტომოდ და ეულად,
და მით არ გტკიოდეს გული,
ვით შობილს ბედით წყეულად!"

ხელმწიფემ ხმლის ვადით, ფრთხილად,
მისწი-მოსწია ბარდები,
რომ ქაჯთ ციხით გამოეხსნა
ნესტანთან დასადარები.

გადაწვდა დაკაწრულ ხელით
მერე ყვავილთა დელოფალს;
მოსწყვიტა ეკლის სამეზელს
და ღიმით გახედა ცარგვალს.

უფრო იმძლავრა მის ხელში
სურნელმა ვარდის ფურცელთგან,
რა ეფრქვეოდა გულქართლად
ჩქერი ზრწყინვალე სხივთაგან,-

შერწყმული ზეციურ სახეზს
გულდიდი მირონცხეზულის...
და ივსეზოდა გარემო
ნიავზე აღელვეზული...

ო, რა ხიამით ალავსო
მეფე ლამაზთ ალამდარმა,
მზის შუქზე აელვეზულმა
ნარს შეზრდილმა პაწარძალმა!

ზანგი შეასვა სურნელმა
მისმა, ყოვლ წკივილთ გამყუჩი;
აალილინა ნიავთან
სათნო სინიზიც, არ ურჩი...

დაწყნარდა თან-თან ხელმწიფე...
თითქო ჩათვლიმა ლამაზთან...
ვარდისფერ ღრუზელთ შეართო
ოცნეზა ლაღ მომავალთან...

ამ განცხრომაში გაყურსულს
მუსიკაც ესმა ფრთოსანთგან,
და გალობა სანეტარო
ქერუბიმთ და სერაფიმთგან:

"უმსგავსი საქმე ყოველი
მოკლეა, მით ოხერია...
ბოროტსა ხმლია კეთილმან,
არსება მისი გრძელია!

მით ღმერთი კარგს მოავლინებს
და ბოროტს აღვირს ამოსდებს;
ავსა წამ-ერთ შეამოკლებს,
კარგსა ხანგრძლად გააკვლადებს..."

ამას გალობდა მგოსანიც,
რუსთაველად წოდებული,
ვინც მარადჟამ საცხონებლად
გვიძღვნა საღ კანონთ კრებული...

და, ფსალმით ყურდაცქვეტილმა,
მზერა მოავლო გარემოს;
აჰხედა ქვეყნის შემოქმედს,
ვინც გრძნებით მართავს სამყაროს,—

რა ჰკადრა:"ძალს ნუ ვიქადი,
ნუცა მოვკვეხ, ვითა მორვალი!
არას მარგებს ძლიერება,
თუ არ შემწევს ღმრთისა ძალი!

ცოდვილ ვარ შენს წინ, უფალო,
ვით ჩემთან — ყრმა უმადური...
შენ გააჩინე ყოველი,
კეთილიც და უკეთური.

ზომის წილ ზომის საწყაოც
მით შენგნით განაწესია;
ცოდვა თუ მადლი კაცისა
შენს ადლით განსასჯელია!

მე რა ვარ? მტვერი შენს ფერხთა!..
ვით მფერობს მოხრა ქვეყნისა,
სად თანაბრად ბოგინობენ
ყოველნი სახენი შენს ქმნილთა.

შენ მოავლინე ამ ქვეყნად
ბოროტიცა და კეთილიც,
რომ მათ შედარებით ჭედდეს
ნათლის სხივს მეფედ მოზილი.

უბედობით იჭედება
ბედნიერება მომავლის;
ბოროტებით დაღდასმული,
მხოლოდ სიკეთის გზად ივლის...

მთლად ცისქვეშეთი რომ იქცეს
მხოლოდ სამოთხედ, ვით გულს სწადს,
აზრს დაუკარგავდა ყოფის
ახლის მაძიებელს ადამს.

ბრძოლა და მოძრაობაა
მარილი ამა ცხოვრების!
მიზანსწრაფული წინსვლაა
მპყრობი მაღლივ მწვერვალების!

თუმცა, მწყალობელო ქვეყნის,
რას იქს ხელმწიფე უხალხოდ?!
ხალხია აღმშენებელი
შენს ქმნილის მიწის უდაოდ.

ამით გვასწავლი, გამჩენო,
ჭეშმარიტ ფასს შენს ქმნილისას;
შემოქმედს ქვეყნად სიცოცხლის,
გძღვნი მადლს გულისას წრფელისას!

მით შენგნით, მწყემსო ყოველთა,
მოვლენილი ვარ ამ ქვეყნად,
რომ გიდღეგრძელო სამეფო
და ვიქნე ჩემს სამწყსოს მხსნელად;

რომ ვასწავლიდე უგუნურთ
ტრფიალს სათნოებისადმი;
შემწყნარებლობით ვნერგავდე
რწმენას შენს ათ ცნებისადმი;

არც მოვიძულო სიწყნარე,
თათბირი ნათელ გონების;
ვახარო ნერგი სიკეთის,
ვმარგლო სარეველა მტრობის,—

რადგან, ვით ვარდთან ეკალი
არს შენის ნებით შეზრდილი,
ბოროტებასთან — კეთილი,
თუ ძმათა შორის ჭიდილი,—

მით უფრო მმართებს, უფალო,
ჯერ შენს წინ, მერე ერისა,
ვიქნე გზის მასწავლებელი
და მქნელი სწორ-სამართლისა,—

რათა განუხრელად ვიდგე
სამსახურში ღვთის ტახტისა,
როგორც ეს ერთი ყვავილი
იქცა მხსნელად ნარ-ეკლისა!

ო, აღარ ავჩეხ შენს ჩენილს —
მჩხვლეტავ ეკალთ საკრებულოს,
რადგან მათ მისცეს სიცოცხლე
ამ დედოფალს შენს საუფლოს.

ეკალ-ბარდი უჩნდა მცველად
კოკორს, ჯერ კიდევ გაუშლელს,
რომ ასე გადაეფურჩქნა
ის მზის მადლს, ნათელს უშურველს.

ეს არის ნება, გამჩენო,
განჩინების შენის ბრძნულის:
ერთს მადლს შესწევდეს უნარი
ხსნის ცოდვილთ მოდგმის, წყეულის!

ეს არის ჩემი სამეფოც,
ვით ვარდ-ეკლის სამფლობელო:
ვინ უწყის, ჩემს ურჯუკ მრევლში
რამდენი სული მყავს სათნო?!

მის ნიმუშად ისიც კმარა,
რომ ძემ ჰგმო მამა-მშობელი,
და შეაჩვენა საჯაროდ
ღვთის, ერის, მეფის მგმობელი.

მწამს, ეკალი ეკლად რჩება,
საძულველი და სულკრული;
ხოლო ვარდს, მის ღერზე ნახარს,
ხელჰყოფს მხოლოდდა ავსული.

აი, ვარდს მოვწყვეტ მე ეკალს,
ჩემს ხრა-სასახლის სამშვენად;
ჩემს ცურფა ედემს გადავრგავ
ამ ავ დღის გასახსენებლად,-

რომელმაც მშვა მე ხელახლა
შენს ათ მცნებათა მსახურად,
და მაცილა ცოდვა-ბრალი
უკვდავ სულის წარსაწყმედად.

დე, იდღეგრძელოს შენს ლოცვად
სურნელოვანმა ბაღნარმა!
ვერ იხეიროს მის ირგვლივ
სულმა ბოროტმა, მზაკვარმა!

ჩემს ტახტის შემოხამტკიცად,
უფალო, ისაც იკმარებს,
ია-ვარდს ვკრეფდე ეკალში,
მით ვიშუშებდე იარებს.

კეთილის გრძნობით აღზრდილი,
თუ კაცი კაცად ივარგებს,
გამიძლიერებს სამეფოს,
მტერ ეკალს არ გამიხარებს.

მეც შვილებრ შევიტკბობ ყოველს,
ვით ამ ვარდს, მამშვენს ბუნების;
დავზრდი ლომ-ვეფხვ-შევარდნებად,
იქმნენ მსახურნი მშვიდობის,-

რომ, სადაც თავი წამოჰყოს
ორგულმა ჩემის სახლისა,
მზად იყვნენ მის მოსაცელად,
ვითარც მყრალის ბალახისა.

დღეს კი, ამ ყვავილის მადლით,
მიუტევებ ცოდვილ სამწყსოს
ამბოხს, შფოთს, გაუტანლობას,
ერს დავუწყნარებ მით აწმყოს.

რახან მუხთალს, ქვეყნის ამრევს,
ხალხმა თითონვე მიაგო
საკადრისი პასუხი და
შუბის წვერზე წამოაგო,-

ვფიქრობ, რომ შეიგნეს ცოდვილთ
ზრახვა მზაკვარ თავადისა,
ვინც კისრად დადგმას უქადდა
მათ ყმობის სვემწარ უღლისას,–

მით ისწავლიან ნათლის ფასს;
უერთგულებენ ძველთ ძველ ტახტს,
და დაუზრდიან მომავალს
თავისუფლების მცველ ლაშქარს!.."

---

რა დაამთავრა, მოახტა
თვის ხინიბს მეფე სვიანი;
გაქუსლა სასახლისაკენ
სიმღერით ომახიანით.

მკერდს უმშვენებდა მას ძოწი
ვარდის, სურნელით მფშვინავის,
და შარავანდით მოსავდა
მათ ღიმი თალის ღვთიურის.

მან იმ დღიდან წესად დასდო,
სამეფოს საძლიერებლად,
ერთგულთ მუდმივი სპა–ჯარი
და... ყოვლში ზ ო მ ი ე რ ე ბ ა!

9 5 I98I წ.

# დებორა – ისრაელის დედა

ლეკვი ლომისა სწორია,
ძუ იყოს, გინდა ხვადია!

შ ო თ ა

ეს ცხოვრებაა აღმართ-დაღმართი!
ამას ამტკიცებს ეს გადმოცემა,
რაც გვიდასტურებს, რომ ზეაღვლენა
სდევს უცილობლად ყოველ დაცემას!

ამად არ მართებს სასოწარკვეთა
ადამს აროდეს, თუნდ ავ ტაროსში;
დარი მზიანიც გამოუნათებს,
თუ გაუავდრდა სადმე ქაოსში.

რაგინდ რომ ხანგრძლივი იყოს ღამე,
გარდუვალად მოსდევს დღე ნათელი,
რითაც არ ქრება არა დრო-ჟამში
მწვანე – იმედის მნათი კანდელი.

რომელ თაობას არ ახსოვს ლარტყმა,
არაერთმორწმუნეთგან ხვედრილი?!
გინდ თვის მოძმეთა მიყენებული,
გულს დაჩენილი მძიმე ტკივილი?!

ამგვარად, მარადი არს ჭიდილი
ბოროტ და კეთილ საწყისთა შორის;
და, ბოლოს, ყოველ ჰამანს ელობვის
ზეაღპყრობილი ხელი ესთერის.

თუმც კი... ესთერი მოგონებაა
ისრაელიტელ ძველ დიდებასთან,
ვინც დედა-კრუხებრ გადახდო თავი
მოძმეთ სახსნელად ქანაანელთგან.

ის იყო, მართლაცდა, ოქროს ხანა
ოთხი ათეული წლის მანძილზე,
როცა მშვიდობა, კეთილდღეობა
მეფობდა ერის თვალსაწიერზე.

მძიმე წილხვედრი არგუნა ბედმა
იზრეელის ხეობის სამხრეთით
მოსახლე იუდეველებს ძველად,
მოვლენილი ცის და მიწის რისხვით.

მათზე ეჭირა თვალი მეზობელ
ქვეყნის მბრძანებელს,
მტაცებელ აფთარს...
ეპარებოდა ფრთხილად
თავის მსხვერპლს,
ვით კატა ფლიდი უგნურ თაგვუნას.

და, რაწამსაც იხელთა მომენტი,
დასძრა ლაშქარი სამხრეთისაკენ;
არა სტოვებდა გადაუკეტავს
ბილიკს, მიმავალს სამიზნესაკენ,

ასე სიხარამ, მხედართმთავარმა,
და ასორის მეფე იაზინმა
დაიკავეს ის ციხესიმაგრე,
მთებით ხეობას რომ დაჰყურებდა.

რა ხელთ იგდეს ყველა ხელსაყრელი
გზა და ბილიკი, ხევს გამავალი,
სრულად მოუჭრეს იუდეველებს
მშობელ ქვეყნიდან გამოსავალი.

მოემწყვდნენ თაგვებრ,
დახშულ საფანგში,
კარზე დადარაჯებულ მტარვალით...
ვინ მიაწვდიდა პურს არსობისას
გარშემორტყმულებს
სისხლისმსმელ ლაშქრით?!

რადგან პური, წყალი, ჰაერია
ამ ქვეყნად სამი წყარო სიცოცხლის,
შიმშილმორეულთ სხვა რა გზა ჰქონდათ,
თუ არა ბედის დამორჩილების?!

✤✤✤

ეს ბედი ხვდა წილად ტომთ ეფრემის,
ბენიამინის და ზებულონის;
ტომთ ისაქარის და ნაფთალემის,
მათთან ნახევარსაც მანასესი.

მონურ ოფლით რწყავდნენ ურჯუკთ მიწებს
და ხარკს უხდიდნენ მჩაგვრელ დამპყრობლებს;
ოც წელს ზიდავდნენ ამ მძიმე ჭაპანს,
შეურაცხმყოფელს და დამღონებელს.

ფარ-ხმალდაყრილთ და სასოწარკვეთილთ
ცხვრებივით ჰქონდათ ქედი წახრილი...
სადღა ეგონათ, ეღირსებოდნენ
მხრებიდან მოხსნას მონურის უღლის!

ალბათ, ამად თუ უთქვამთ ბრძენ ძველებს
ანდაზად, ჩაგრულთ იმედის მგვრელი:
"სადაც რომ ძლიერ დაღამდების,
იქ გათენდების,
რომ განაბნიოს წუხილი,
შავს ნათელი შვების!"

და... მართლაც დაჰკრა ჟამმა დიადმა
თავისუფლების, კაცურ კაცობის,
რა გადაჰყარა დათალხულ ზეცას
თალხი ხუნდ-ბორკილთა და მონობის.

ეს მაშინ, როს მოევლინათ ბედშავთ,
ვით ზენაარის მკლავი განწვდილი,
დებორა — ბრძენი ნათელმხილველი,
პოეზიის მზის მადლით მოსილი.

უფალმა მისთვის თუ დააკურთხა
გულთმხილველობა ამ ქალს, გრძნეული,
რომ ეს ძველ დროების საოცრება,
გახლდათ უდაოდ იაჰვეს ერთგული.

და თუ ღირს გახდა დედოფლის თაჯის,
მსაჯულთ მსაჯულის ტოგის, რჩეულის,
ეს იმის მადლით, რომ მოძმეთ ჩაგვრამ
აალებინა ხელთ ორლესული.

დებორას ვარსკვლავი აღმობრწყინდა
იმ დროს, როს ზეჩამოთვლილ ბედკრულებს
ჟამი დაუდგათ ტანჯვა-წამების:
ცხვრებრ მორჩილებდნენ
სასტიკ დამპყრობლებს.

ეფრემის მთაზე, დანაკისკუდის
ხის ქვეშ სახლობდა ნათელმხილველი;
იქ, რამა-ბეთ-ელის გამყოფ გზასთან,
ჰკინძავდა რითმებს ფიქრთა მპყრობელი.

მეხებრ გავარდა მისნის სახელი
სულ მოკლე ხანში ამერ-იმერით;
მისმა სიბრძნემ და გულთმხილველობამ
მრავალს აღუგზნო იმედით გული.

მიტომ მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე
არა წყდებოდა მომკითხავთ წყება;
ურიცხვ საკითხზე მისნურ პასუხით
გულს იჯერებდნენ,
მით გრძნობდნენ შვებას.

იქვე იღებდა მთელ ისრაელით
სათათბიროდ მოსულ მოციქულებს;
ერთგულ უშლიდა მომავლის კარტებს
და ბრძნულ რჩევებს აძლევდა თავკაცებს.

უზადო იყო ჭეშმარიტება
სიტყვის თუ საქმის, მისი რჩეულის,
რითაც იხვეჭდა ის უპირველესს:
ხალხის სიყვარულს,
ნდობას და პატივს.

სწყვეტდა ის ტომთ სადაო საკითხთაც,
საგვარეულოს, თუ ერთპიროვნულს...

და სწამდა ყველას: დებორას ბაგით
იღებდა თათბირს თვით ღმერთისეულს.

ამად უსმენდნენ რწმენით მის ქადაგს
და ენდობოდნენ, ვითარც წმინდა სულს...
ეს მოწიწება აღფრთოვანებდა
განდეგილივით მცხოვრებ მარტოსულს.

იცოდა, მიაჩნდათ ყველა ბგერა,
მის გრძნეულ ბაგით ნაღაღადები,
წინასწარმეტყველურ, უტეს კანონად,
თვით მამა-ღმერთისგან ნაბრძანები.

ასე თაობდა მთელ ქანაანში
დებორა მეფურ ავტორიტეტად;
და ამ ღვთაებრივ ნიჭის წყალობით
აღიარეს მძლეთ მძლე წინამძღოლად...

ბევრს აკისრებდა მას ეს პატივი,
მადლიერ ხალხის მონიჭებული...
და გადაწყვიტა, ჩაგრულთ სახსნელად,
საქმე ძალგულოვანთა, ქებული.

გრძნობდა მისანი, თვისტომთ სახსნელად
იყო თვით ღმრთისგან მოწოდებული;
გულოვნებას შთაუნერგდა ბედკრულთ
სიტყვით, ზენარის ჩაგონებულით.

მით ცისარტყელას კაცურ უფლების
გარდმოვუვლენო სასოწარკვეთილთ;
ძლევის ფარ-ხმალს ავასხმევინებო
მონობის უღლისგან ფარ-ხმალ-დაყრილთ.

თავისუფლების მოსაპოვებლად,
სთქვა, ავამხედრებ ბედის მორჩილებს;
დავალეწინებ ორ ათწლეულის
უუფლებობის ხუნდთ და ბორკილებს.

"ხომ ეს არს შენი ნებაც, უფალო?"
ჰვედრა, რა ლოცვით აღაპყრო თვალნი
ზენარისაკენ, რომელმაც უმალ
ცად გადმოჰკიდა შვიდფერი ალი!

"ჰა, ცისარტყელა! შვებით აღმოხდა,-
იმედის სიმბოლო წარღვნის დროის;
უწყვეტ ურთიერთ კავშირის ნიშნად
დათქმული მამა-ღმერთს და კაცს შორის!"

და:"კურთხეულ იყავ! - შეაგება
ქალმა გრძნეულმა უფალს მოწყალეს; -
არ მოაკლებდე ჩაგრულთა მშველელს
გაჭირვების ჟამს შენს მარჯვენას მძლეს!"

რაკი მიიღო ღმერთის ფირმანი
ჩაგრულთ სახსნელი ხმლის აღსამართად,
მყისვე ჩაუჯდა ის გრძნეულ რუქებს
გამარჯვების გეგმის დასახახად...

ꕥꕥꕥ

კადეში გახლდათ იაკობის ძის,
ნაფთალის ტომის დედაქალაქი;
იქა ცხოვრობდა კაცი ქებული,
სახელად ერქვა იმას ბარაკი.

განთქმული იყო ის სიმამაცით;
ელვა და ჭექა, სიტყვით თუ საქმით;
ვით სეტყვა, წამს მტრის
თავზე დამტყდომი
ელვისებრ ნალეს ორლესულ ხმალით.

კარგად უწყოდა ნათელმხილველმა
მისი ლაშქრული გამოცდილებაც;
და, რა დასახა სამხედრო გეგმა,
მიიღო ეს გადაწყვეტილება:

"ამხედრებულთა მხედართმთავრად
უცილობელად დავნიშნავ ბარაკს;
მისი გენია მთავარსარდლური
მოახდენს საქმეს,
მართლაც რომ არაკს.

ბოლოს მოუღებს მეფე იაბინს
და იმის განთქმულ სარდალს, სისარას;
თავისუფლების შუქის ნათელი
ხალხს მოუშუშებს მწარე იარას!"

სთქვა და, მოიხმო ბრძენმა დიაცმა
კალეშით კაცი, ლომებრ მამაცი;
გაუზიარა მას თავის ზრახვა
და გამოსთხოვა სარდლობის ფიცი.

"მთვარეული თუ არს ეს დიაცი?!
შესცოდა ამის გულში გავლებით...
ვით დავიჯერო, რომ დავბრუნდები
შინ უცილობელი გამარჯვებით?!

შიშით და ძრწოლით ძაბუნად ქმნილნი,
მონად ქცეულნი ისრაელთ ძენი,
ვითარ შესძლებენ,
გინდ ჩემს მხედრობით,
რომ გახდნენ თავგასული მტრის მძლევნი?!

გზა ხსნის ერთია: ხალხს გაიყოლებს
მხოლოდ იმგვარი მხნე ამირბარი,
ვინც მათ ვაჟკაცურ სულს გაუღვივებს
ღვთის შთაგონებულ სიტყვით თუ საქმით;

ვინც ჩააგონებს, ღმერთი არ სტოვებს
განსაცდელის ჟამს თვის რჩეულ სამწყსოს;
წინ წარუძღვება მათ უხილავი
მარჯვენა მისი და მტერს დაამხობს!

ჰოდა, ვის შესწევს მსგავსი უნარი,
გარდა წინასწარმეტყველ ქალისა;
იაჰვეს ერთგული მხევლის, მისნის,
ზენით ძალმოსილ ამორძალისა?!

ეს არის ერთად ერთი მთელ ხალხში,
ნდობით პატივდებული ყოვლისგან...
არ მეგულვება სხვა მისი დარი,
თუნდ თვით იაბინის მეთაურთგან.

დებორას სწორუპოვარ სარდლობით
აალებული ბრძოლის ხანძარი
გარდაიქცევა უწმინდეს ომად
და დაეცემა მტერს მით თავზარი.

ის ბობოქარი ცეცხლის ალები,
ნაგიზგიზები ჩაგრულთა რისხვით,
დანთქავს კაცურ უფლების ამყრელებს,
ზღვას შერთავს
მტარვალთ ნიაღვრებს სისხლის!.."

რა გაუელვა თავში ამ აზრმა,
და გეგმაც დინჯად ასწონ-დასწონა,
უმალ ეახლა წინასწარმეტყველს
და უმორჩილესად მოახსენა:

"უკეთუ მოხვიდე შენც წინამძღვრად,
წარვიდე მეცა შენს თანმხლებ სარდლად;
უკეთუ არა მოხვიდე შენა,
არა წარვიდე არც მე საბრძოლად!"

თუმც განარისხა დარბაისელი
ბარაკის კადნიერმა პასუხმა,
მაინც დაჰყვა ის ჯიუტის ნებას
და წინამძღოლობაზეც დათანხმდა,—

რამეთუ ედაგებოდა გული
კეთილს თვის მოძმეთა უბედობით;
და რა ხელჰყრიდა, დაეთმო გეგმა
ბარაკთან გაქირ ვირებრ ქიშპობით?!

მაგრამ აშკარა ურწმუნობისთვის
თავის ღვთაებრივ ნიჭ და უნარის
გადაუწყვიტა სასჯელი მკაცრი,
დამამცირები ამაყის მამრის.

მით, წინასწარმეტყვლურის მისნობით, ი
სთქვა:"სიცოცხლეს ქანაანელთ სარდლის
გამოუყვანს წირვას არ ბარაკი,
არამედ ხელი უღონო ქალის!"

ამა ქადილით მოახტა ქურანს,
ელვის სისწრაფით, ვით ნიავ-ქარი,
და ბრძანა, მტერზე ასამხედრებლად
დაერაზმათ მყის მონათ ლაშქარი...

რა დაჰკრეს საბრძოლო დაფ-ნაღარა,
და დაარისხეს ბრძოლის ზარები,
სერიდან სერზე მსწრაფლ აბრიალდა
საგანგაშო კოცონთა ალები.

მიხვდნენ: ამორძალი მოგვიხმობსო
მამულიშვილებს ასამხედრებლად;
აბჯარ-ფარ-ხმალის ტანთ ასასხმელად,
მონობის ბორკილთა დასამსხვრევად...

მაგრამდა... შეცდა ქველი მრჩეველი,
ბრძენი ბარაკი, თვის ანგარიშში,
რადგან მისან-ქალის მოწოდება
ყველას როდი დაუჯდა ჭკუაში.

მტარვალთა ძალით დალაჩრებულებს
მთლად წარკვეთოდათ სასო, იმედი;
რა ძალა შესწევსო მიწიერ ქალს,
მოგვიქციოსო გამწყრალი ბედი?!

და რა უწყოდნენ ილაჯგაწყვეტილთ:
მარად ბრუნავს წუთისოფლის ჩარხი;
ცვალებადია მით ბედი კაცის,
მაცთუნებლად დის ნაირგვარ არხით.

ამად სჯეროდა ქალს ნათელმხილველს
ამ წუთისოფლად ბედის ტრიალი,
და კაცთ ცხოვრების დაუდგრომელი
ცხოვრების ბორბლის ალმა ხრიალი,–

როცა გეგმავდა ის ხალხის ხსნის გზას
ახორელ დამპყრობთა კლანჭებიდან,
და ვარხკვლავკრულ მონათ გამოყვანას
დღის სინათლეზე იმ ბნელეთიდან...

* * *

ურწმუნო თომა აღმოჩნდა მრავლად
არაერთ ტომის შვილი ჩაგრული;
და, ამორძლის ლაშქრის დასარაზმად,
შეგროვდა სულ ათ ათასი სული.

არც საჭურველი ჰქონდა საკმარი
მცირერიცხოვან ამბოხთა ამქარს,
და თითქმის ნახევრად ხელშიშველნი
შეებნენ იაზინის გაწვრთნილ ჯარს.

ღმერთის მარჯვენა უძღვოდა მათ წინ,
ეფარებოდა მისივე ფარი,
ულეწ ჯაჭვის პერანგად აქცევდა
მათ ნაფლეთ სამოსს ეს ლაღი ჰანგი:

"დიდსა რას ვაქნევთ ლაშქარსა,
ცოტა გვინდა და კარგია;
ასი ათასსა აჯობებს,
თუ გამორჩევით მქნელია!

მაშ, მტერო, ძალს ნუ იქადი;
ნუცა მოჰკვეხ, ვითა მთვრალი;
ღმერთი გვფარავს, სწორად გაჰკვეთს,
შეშა ვის ვკრათ, გინდა ხრმალი!..."

ასე გზნებით თუ გალობდა,
შოთასდარად, ამორძალი,
რომ ჰაიჰარად თხზულ შაირთ
არ ულევდა ზეცის მადლი.

"უგანგებოდ ვერას გვიზმენ,
შე–ცა–გვეშნან ხმელთა სპანი!
მეზაირახტრელ მიგვიძღვის
იაჰვეს განწვლილი მკლავი!

მისი ნებით ცით გვეფარვის
შვიდ მნათობთა სვეტი ნათლის:
მზის, მთვარის, მერკურ, ვენერას,
მარს, სატურნ, იუპიტერის!

სომნი და სომნი ვარსკვლავთა
გვახლავს ბნელში მნათ ჩირაღდნად;
მარჯის უდაო საწინდრად,
ურჯუკ მტერთა მოსასრავად.

მე ვარ ღვთისგან მოვლენილი,
გზის მკვლევად და მთავარსარდლად;
შარას მართალს წაგიყვანოთ,
გამარჯვებათ მოსათვლავად!..."

ამ სულისჩამდგმელ სიმღერით
ამხნევებდა მცირე ლაშქარს
დებორა, როს მათ ხმის ექო
შორით სწვდებოდა სისარას...

ამ ომახიან და მხნე ლაშქრულით
მიადგა ისრაელიტელთ ჯარი,
და დაბანაკდა გაშლილ ფერდობზე
მრავალჭირნახულ მთისა თაბორის.

არ დაახანეს არც ქანაანელთ
გამოჩენა იზრეელის ხევში;
მათს აღკაზმულს ჯარს წინ მოუძღოდა
სისარა, გაშიშვლებულ ხმლით ხელში.

ჯარის მოწინავე შემტევ ძალად
მოჰქროდა კბილთამდე აღჭურვილი,
შეჯავშნულ, საომარი ეტლებით,
თავზარდამცემი ცხრა ასეული.

ეს ძველი დროის ელვა–ტანკები
მოჰქროდნენ მშვილდნასროლ ისრებივით;
გვერდზე გამობმულ ბასრ მახვილებით
მიჰკაფდნენ ქვეითთ თავთავებივით.

ბარაკს მაინც მხნედ მიჰყავდა ხალხი
ვიწრო ხეობით, მძლავრ იერიშით,
რა მათზე დაძრულ სისარას ლაშქარს
თავი მოჰქონდა მკაფავ ეტლებით.

ეგონა ზვიადს განაღდებული
ზარ–ზეიმი დიად გამარჯვების...
რას იფიქრებდა, ისრაელიტელთ
გაუღიმებდა ანაზდად ბედი.

ჰოდა... თუ ღმერთია მწყალობელი,
კაცს რას დააკლებს მტრის ნება კრული?!
და... ღვთით მოევლინა დებორას ჯარს
მხსნელად წვიმები კოკისპირული.

დელგმად და მეწყრად მოვარდნილ ზესხმამ
ზღვებრ აადიდა მომცრო კიშონი;
გადმოალახვინა კალაპოტი,
სამარე(?) 

სილა თუ წყალი, ზღვებრ მოვარდნილი,
ცხენთ ფეხთ უსხლეტდა, როგორც ყინული;
მით რკინის ეტლებს ლაფში ღრმად ფლავდნენ
მძლავრი რაშები, ფეხმოცელული.

აშკარა იყო, იაჰვე სწყალობდა
დაბეჩავებულთ წლობის მონობით,
რითაც სისარას არ აცდებოდა
სირცხვილ-სიკვდილი ბედის განდგომით.

დავთრები აებნათ ქანაანელთ...
მთლად აწრიალდნენ ბედის სიმუხთლით..
და ბარაკის ჯარი სარგებლობდა
მტრის ბანაკს ჩენილ არევ-დარევით.

ვეფხვებრ უტევდნენ თვის დამმონებელთ
და კალოხებრ მილეწდნენ მათ რიგებს;
დებორას ლაშქრულიც ქებს ამღევდა
მტერზე გულდაგულ მივარდნილ ლომებს.

მაღლით კი ზვიადად ამხნევებდა
თაბორი გაარწივებულ მონებს:
"მედგრად, იაჰვეს ორბ-შევარდენნო!"
დებორას ექოს აწვდიდა ქედებს...

ამგვარ შებმას თუ უმღერდა გზნებით
გალაქტიონი ბრძოლების შტორმში;
მით მოკრძალებით დავესესხები
რითმთა დიდოსტატს ორიოდ სტროფში:

"სისხლით შეღებეს ციხის ფერდში
და მისადგომი მღელვარე წყალის;
ასმა მრავალმა, მოსულმა ერთზე
დღე ვერ იხილა ბედნიერ ხვალის;

ამბის მიმტანიც კი ვერ გადარჩა,
გამარჯვება კი სიხარულს იხვევს:
"ვისაც მოუკლავს" მასზე მღეროდა,
მღეროდა "ლილეს",
მღეროდა "ლალეს",
მღერდა ჭაბუკი და მღერდა ბერი:
"ილიდე, ციხევ,
ო, ჩვენო ციხევ!"

მართლა... გადარჩა იქ ამბის მთხრობლად
ერთი: იაზონ მეფის სარდალი;
ალბათ, ეს მიტომ, რომ სისრულეში
მოეყვანა მისნის სამართალი.

რა დაინახა, რომ სასიკეთო
აღარ უჩანდა მათ საქმეს პირი,
გადახტა ეტლით და მიატოვა
სიხარამ ბრძოლის ველიც და ჯარიც.

საკუთარ ტყავის გადასარჩენად
მელასებრ გაიპარა კადეშში;
იქ ეგულვებოდა მას ქებერი,
კენეველთა თავკაცი იმ თემში.

თუმც შინ არ დახვდა მუხთალს ქებერი,
ხელი არა ჰკრა მას იაელმა —
მასპინძლის ცოლმა, — და შეიწვია
სამყოფ კარავში სტუმართმოყვრულად.

რა გაუმასპინძლდა, მოასვენა,
ბრძოლაში დაქანცული სისარა;
ზრუნვით მოილო თბილი ორსოვაც
და სისათუთით ტანს დააფარა.

გულში კი, თურმე, სხვა ელო დიაცს
ჩაგრულთ მჩაგვრელზე შურსაძიებლად,
და მოთმინებით ელოდებოდა
ფიცგამტეხ სარდლის დასვიბათებას.

რაწამს სასთუმალზე მისდო თავი,
სისარას ღრმა ძილით ჩაეძინა...
და იაელმაც მყის საფეთქელზე
წვეტიანი პალო დააბჯინა.

რა დაჰკრა პალოს ჩაქუჩი მძლავრად,
წამს შეულეწა მას თავის ქალა,
მით ზენით სამართლის ანგელოზთგან
მოესმა გულად ქალს:"ბარაქალა!

ალელუია!
    აქებდეთ ღმერთსა!
ვინც არ ივიწყებს
    თვის ტანჯულ ერსა,
და არ შეარჩენს
    ის ბოროტებას
მუხთალს და ვერაგს,
    მწარს აგებს ხვედრსა!
ალელუია!
    აქებდეთ ღმერთსა!..."

⁂

აგერ, მოიჭრა ახლა ბარაკიც
სისხლისმსმელ წურბელას გასაგმირად;
მაგრამ რაღა დროს! დაგვიანება
გულზე დააჩნდა გმირ სარდალს ჭირად...

ასე აღსრულდა სამართლის მქნელი
დებორას მისნური განაჩენი:
სისარა ემსხვერპლა არ ბარაკის,
არამედ ხელს დიაც იაელის.

მახვილს ემსხვერპლა ისრაელიტელთ
დაუნდობელი დამმონებელიც:
ასორის ხელმწიფე იაბინი,
გულზვიადი, მკაცრი დიდმპყრობელი.

ამგვარად აჰხსნა ქველმა ბრძენქალმა
თავის ხალხს უღელი და მონება,
რის შედეგადაც დაუმკვიდრა მათ
ყოვლთ სანუკვარი თავისუფლება.

დაუბრუნა მათ სიმხნე, სილაღე,
პირს ღიმილი, ვით მზის ელვარება;
მათ კეთილდღეობის შემხედვარე,
ზეცაც ბრწყინავდა,
ზღვაც ნეტარებდა.

და ამორძალიც, ღვთის ნიჭმოსილი,
წრფელ სიხარულით თინათინებდა;
რომ სვებედნიერთა სამადლობელს
ზენას გრძნეულ ფსალმებით უმღერდა...

ნეტავ, რა ენამ უნდა აღწეროს
ის უდიდესი აღფრთოვანება,
რასაც იწვევდა დაჩაგრულ ხალხში
სასწაულებრივი გამარჯვება.

სუფრის თამადად უჯდათ დებორა,
"ისრაელის დედად" წოდებული;
ილხენდა თემი მის ნათლის სვეტით
მის ბაგეთგან ბადაგად ფრქვეულით.

მონადყოფილთა შვების ზეიმით
სიონის მთაც ხალხისებრ ილხენდა,
და მათ საზეო ჰიმნების ჰანგებს
ნიავის ფრთებით შორით აწვდენდა.

ამ ფსალმებში აქსოვდა დებორა
დიადი გამარჯვების სიხარულს,
ქანაანელებთან უსწორ ბრძოლით
ზენარის შეწევნით მოპოვებულს.

ყველას შეასხა ქალმა გრძნეულმა
შესაფერისი ხოტბა-დიდება,
რაც დაგვიტოვა გარდასულ დღეთა
საამაყოდ მთენილ მოგონებად.

გზნებით უმღერა თვის განაჩენის
სისრულეში მომყვან მარჯვე დიაცს,
ვინც სდო პატივი იმის მისნობას —
საქმე დაასწრო მრავალნაცად კაცს...

სამადლოზედ ჰიმნთ ჩაურთო ამბად,
სისარას გვამი როგორ გორავდა,
იაელის ფეხქვეშ, მიწა-მტვერში,
სანამ დედა, ვით გმირს, შინ ელოდა.

ასეთი იყო ის დღე დიადი
ბნელით სინათლეზე გამოსვლისა;
დამბეჩავებელ უუფლებობის
გმირულ შემართებით დამხობისა...

ოთხ ათწლეულს გასტანა მას შემდეგ
ისრაელიტელთ კეთილდღეობამ;
ცხოვრობდნენ მშვიდობიან ცხოვრებით,
რაც არგუნათ ამორძლის მცდელობამ.

მადლის წილ მადლი! განაჩენია
ღირსეულ თემში წეს და კანონად!
და მადლიერებით გადაწყვიტა
ერმა მამა–ღმერთის საამებლად:

გაერთიანებულ ტომთ ბელადად
სცნეს დებორა, და მსაჯულთ მსაჯულადც;
ის გახლდათ მეფეც და დედოფალიც
ხუნდებაყრილთა გზამკვლევ ვარსკვლავად.

ასე მეფობდა მორჭმით ბრძენქალი,
ნათელმოსილი ზეცის მირონით...
და იჯდა ორმოც წელს შემოსილი
უძლევ ხელმწიფის ძოწ და პორფირით...

1982 წ.

# რ ა ნ ი   ვ ი ყ ა ვ ი თ
## ა ნ უ
## სინათლე არაერთმორწმუნეთ

"... და დაგაბრუნებთ გადარჩენილთ ისრაე-
ლისას... სინათლედც მიგცემ აგრეთვე მე შენ
არაერთმორწმუნეთ, რამეთუ ვინძლო გახდე შენ
მხსნელი ჩემი თვით დედამიწის დასასრულამდე".

ი ს ა ი ა

არ ადვილია,
გიპასუხოთ მე ამ კითხვაზე:
რანი ვიყავით,
ახლა რა ვართ აღთქმულ მიწაზე?
რით ვსულდგმულობდით
ხიზნობაში, რა ღვთიურ ძალით,
რომ არ აგვეღო
ხელი მამა-პაპურ რწმენაზე?

ენა ქართული
განსხვავდება ყველა ენისგან;

ერი ქართველი
განირჩევა ყველა ერისგან;
ქართველ ებრაელთ
გვეძახიან მით გამორჩევით,
და ვართ ერთ–ერთი
იაკობის თორმეტ მუხლისგან.

რომ ოტებულნი
ურიანი ძველ ქალაქ ურით
მიმოიფანტნენ
დედამიწის ყველა კუნჭულში,
ჩვენ ესპანეთით
გადვიარეთ კავკასიონი
და ჩავაღწიეთ საქართველოს –
წილკერძს თვით ღმერთის.

მით წარმოშობით
ვართ პაწა შტო აბრამის გვარის,
ნაბუქოდონოსორის
რისხვას განრიდებულის;
უხსოვარ დროში კარს მიმდგარი
მცხეთას – ტახტს ქართლის,
როგორც მოხარკე,
ზედახხმული ზანავს არაგვის.

მაცოცხლებელი,
ვითარც უკვდავების იაზმა,

გარდახვეწილებს
    გვქონდა მხოლოდ თორა ნუგეშად,
რომლითაც რჯული
    გვეცხებოდა გულზე ბალზამად,
და ორნივ ხწორად გვახლდნენ
    ერთგულ, კეთილ მეგზურად.

სხვა მხრივ კი, ენით,
    ქცევით, ყოფით თუ ზნე-ჩვევებით,
სრულად ვიგუეთ
    ქართლის მეფის მამულ-დედული;
თუმც ვლოცულობდით
    ძველებურად, ლაშონ-კოდეშზე,
ჩვენ სახაუბრო
    ენად გვქონდა მხოლოდ ქართული.

ჰო, არ გაგვაჩნდა
    საკუთარი, გარჩევით, ენა:
იდიშ, ლადინო –
    მსგავსი გერმანულ-ესპანურის...
მაინც გვახსოვდა,
    "ვისი გორის" ვიყავით ჩვენა;
ეს არს გმირობა
    უჩვეულო, ებრაელური!

ხიზან ებრაელთ გვყოფდნენ
    ოდით ორად ორ თემად:
ქრისტიანულის
    თუ ქვეყნიდან აღმოსავლურის;
თუმც გვიწოდებდნენ
    სეფარადებს, არ აშქენაზებს,
ჩვენ არაფერი
    არა გვცხია მუსულმანურის.

სეფარადებს თუ გვეძახიან,
    იმის ბრალია,
რომ ესპანეთი
    ებრაულად სეფარადია...
ამით ვძღვნით ჩვენ ხარკს
    იმ ძველ წარსულს,
        ერს თუ ქვეყანას,
ვის მიწა–წყალზე
    და ცათა ქვეშ ჩვენ გვიცხოვრია.

ასე ვცხოვრობდით,
    შეხიზნულნი შოთას ზეცის ქვეშ...
წმინდად ვიცავდით
    მამა–პაპურ ადათს და წესებს;
აზრად არ გვქონდა
    რჯულის გმობა, რჯულის განდგომა,


אנכי יהוה

ქართლის უამრავ
    ხალხთა შორის პირწმინდ გათქვეფა.

გარდახვეწილნი
    ორი ათას შვიდასი წლისა,
არ ვივიწყებდით
    წინაპართ ნაოხარ ნაბინარს...
ერთგულ ვზიდავდით
    მძიმე ჭაპანს ბედკრულ ხიზნისას;
ხევდით შევტრფოდით
    შუქურ-ვარსკვლავს სიონის მთისას.

ვიდექით მარად ხალ" კლდისებრ
    ჩვენს ძველს რწმენაზე;
არ დაგვიგმია
    ღვთის ნაბოძი სჯულის ფიცარი:
ერის წინამძღოლ
    მოშეს მხრებით ჩამოზიდული
სინაის მთიდან —
    თორა, წმინდად დასაფიცარი.

ძველ, ტრადიციულ
    ადათ-წესთა შენარჩუნებით,
უფლის საამო
    სამსახურში ვიდექით მარად;
ფსალმუნთ გალობა რუდუნებით,
    თუ წირვა-ლოცვა,

გვიქადაგებდა ჩვენ სიკეთის
   თესვას მთა-ბარად.

მოთმინება თუ ჭირთა თმენა –
   ეს სათნოებაც,
უპირველესი
   ყველა კაცურ ღირსებას შორის,
კანონად გვქონდა დადებული,
   როგორც შეშვენის,
რჯულის მოყვარულ
   ჩამომავალს მამა-აბრამის.

რჯულის მგმობელნი?!
   ნეტავ, ვინ სთქვა?!
         ვინ მოიგონა?!
რისთვის ვსესხულობთ
   სხვა თემთაგან
      უცხოს ჩვენს სულის?!
ვინ გვაძალებდა,
   რომ გვეჭამა ჩვენ ხორცი ღორის?!
ვინ გვიკრძალავდა ჩვენ
   სამსახურს სჯულის აბრამის?!

ასიმილატორ-ღვთისმგმობელნიც
   საქართველოში?!
ვინ მოგვაწერა
   მონაჭორი მსგავსი ზღაპარი?!


שמור את יום השבת

გამიგონია,
ერთი მერცხლის მოსვლა უდროოდ
არ მოასწავებს,
რომ დამთავრდა უკვე ზამთარი!

გინდ შეესიოს ანტარქტიკას
ამ ფრთოსანთ ჯარი,
მათი ჭიკჭიკი ვერ გაადღობს
სქელ ყინულთ ფენას!
და ახეც ქართველ ეზრაელში
ვერ აღმოფხვრიან
დედის ტკბილ რძესთან
შეთვისებულ თალმუდის რწმენას!

ეს კი ფაქტია:
ფანატიზმი ჩვენ არ გვჩვეოდა;
უკიდურესი
არც-რა გვწამდა ჩვენ მისაღებად;
ზომიერება,
ბრძენთ ნაქები გონიერულობა!
ჩვენ ეს დევიზი
რჯულშიც გვქონდა მტკიცე კანონად.

მით გვქონდა წესად
დადებული უცხო მხარეში
ღვთის სამსახური
ჩვენ ფარგლებში ზომიერების;
აღათ-წესების მტკიცედ დაცვა,
სანთლის ანთება,

მამათ–დედოფლის
    თუ კაი დღის მემოზრძანეზის...

აი, ამ რწმენამ,
    ადათ–წესთა უზადოდ დაცვამ,
მეგვინარჩუნა
    რჯული უმკაცრეს პირობებში:
ებრაულ–ენა–დავიწყებულთ,
    ქართულზე მეცყველთ,
ეროვნულ ენად
    იხევ გვწამდა ლამონ კოდეში.

ამად თუ ახდა
    იხაია წინასწარმეცყვლის
ეს უფლის პირით
    მოცემული ჩვენთვის პირობა:

"მოგკრებთ მხოფლიოს
    ოთხივ კუთხით,
            გარდახვეწილებს,
და დაგაბრუნებთ
    თქვენ ხიონში უცილობელად!"

და არა მარცო
    იხრაელში კვლავ დაბრუნების
პირობა მოგვცა
    დარჩენილ ნაშთს უზემთაესმა,
არამედ ამავ
    ბრძენი ნათელმხილველის ბაგით

დიდი მისიაც
    დაგვაკისრა ქვეყნის გამჩენმა.

რა წავიკითხე,
    გამიკვირდა ეს შორგანჭვრეტა,
ზენარის ნაცვლად
    ისაიასგან წარმოთქმული:

"სინათლედ მიგცემ
    არაერთმორწმუნეთ,
რომ, ვინძლო,
    ჩემს მხსნელად იდგეთ
დედამიწის
    დასასრულამდე!"

და ასეც ახლა
    ამ გულთმისან წინასწარმეტყველის
ზე არსის მიერ
    მოცემული ორთავ პირობა,
რაც აღგვითქვა და
    აღგვისრულა სასწაულებრივ,
რითც საუკუნოდ
    გაგვიხადა თვის ერთგულ მცველად.

ალბათ,ეს არის
    ნებაც ღვთისა, რომ ებრაელი
ხიზნობისაგან
    თავს აფარებს ისევ ხიზნობას:

კვლავ იფანტება
    თვალუწვდენელ დედამიწაზე,
რომ დედა-მშობელს
    უდგეს შორითც მცველ-ანგელოზად?!

თუმც... არა მარტო დედა-მშობელს,
    სხვადასხვა ერთაც
ნათელს აფრქვევდეს
    მათის რწმენის შემოსამტკიცად,
რომ მოშეს რჯულის
    განუხრელის აღიარებით,
საკმევს უკმევდეს
    წმინდა ტაძარს ურყევ საძირკვლად.

ხოლო თუ მეტყვით:
    "ზოგი რჯულს თმობს
                უცხო მხარეში?!"
რას იზამთ...
    ეგაც დრო და ჟამის მონატანია...
საყვედური კი
    ამისათვის ეკუთვნის იმას,
ვინც რომ ისინი
    სამშობლოდან უკუაქცია!

✠✠✠

თუკი ხიზნობის
    ორი ათასი წლის მანძილზე
ის არ შეუდრკა
    პოგრომსა თუ ინკვიზიციას,
და ისრაელის
    სახელმწიფოდ აღორძინებას
კვლავ შეეგება
    მამა-პაპის წმინდის ფიცითა:

"თუ დაგივიწყო,
    იერუსალიმ,
დავიწყებული
    იქნეს მარჯვენა ჩემი
და ენა ჩემი
    მიახმეს სასას!"

არა მგონია,
    ამ ერისშვილს გულით ეწადა
ბედის ძიება,
    უცხო მხარეს კვლავ გადაკარგვა!

მხოლოდ შინისკენ
    მოილტვოდა მოწყურებული,
ვით მთის ირემი,
    ანკარა წყლის დასაწაფებლად,
და მშენებარე
    სახელმწიფოს ფუძის სამტკიცად

მშრომელის ხელის
    ერთგულებით გამოსაღებად.

ეს უდაოდ მწამს,
    რომ მათი მსგავსი ღამურები
ქართველ ებრაელთ
    თემში მხოლოდ ერთეულნია:
არ მიენდობა
    ჩიტობის მსურველ
            მსგავს თაგვუნებს
ძეხორციელი,
    კაცი გულით მეცნიერია!

ხომ ეს გვასწავლა ჩვენ
    აკაკიმ, მგოსანთ მგოსანმა,
როს ქადაგებდა
    დღენიადაგ რჯულის სამტკიცად:

"შევა სხვის სახლში
    თვისის მტერი და გარეწარი,
თუ არ ფლიდურად,
    მოღალატე, მონა მზაკვარი?!"

გვასწავლა ესაც:
    ვისც არ უყვარს მშობელი დედა,
ის მის მაგიერ
    ვერადროს ვერვის შეიყვარებს;

ვისაც სძულს თავის
სახლი,
კარი,
ერი და მოდგმა,
მას არ გაუდეგს
არაკაცი სამოყვროდ კარებს!

***

რაც რამ კარგია,
წასაგაძი მაგალითია,
კაცთ მოდგმის
სადღეგრძელებლად და საბედნიეროდ!...
მით ქართველთათვის
გარდვიქეცით წასაგაძ თემად
ღვთისმგმოზი წყობის
თუ რეჟიმის საპირისპიროდ,—

რომელიც
ბღუდავს ღვთის სამსახურს,
ჰკრძალავს
ჩვენს ენას;
ცაძართ, მონასცრებს,
სალოცავებს
სდის კლუბ-დარბაზად...
აი, ვით ფხვრიან
ეროვნულ სულს,
ერის მეობას...

ახე უღმრთობა
    ინერგება კანონთ კანონად!

მაგრამდა ხელი
    ყოვლისშემძლე შემოქმედისა,
როგორც შუქურა
    ხომალდისთვის ქარაშოცებში,
უკიდურესი განწირვისჟამს
    უთითებს ადამს,
არ გაიხლართოს
    უწმინდურთა ბადის ხლართებში.

ეცყობა, თითი
    ყოვლად მხსნელი მამა-მთავრისა,
ხამაგალითოდ
    გაშვერილი ხიზნებისაკენ,
ალისფერ ალში
    გაარჩიეს მირიანის ძეთ,
რა გარდისახეს
    პირჯვარი და...
        ღვთისკენ მოიქცნენ!

და ხთქვეს:
    "რა ეშმამ გაგვიცყუა
        უწმინდურთ გზაზედ?!
რამ აგვაცდინა
    გზას მორწმუნე მამა-პაპათა?!

რამ დაგვავიწყა წმიდათ წმიდა
    ღვთისმეტყველება,
და საღვთო სახლი გადგვიქცია
    წარმართთ საყდარად?!

თუ ებრაელი,
    უმიწაწყლო და უსამშობლო,
წამს არ ივიწყებს იეღოვას,
    გამჩენს თავისას;
ემსახურება ადათ-წესებს,
    მოშეს სალოცავს;
არ უშინდება
    ის განაჩენს არა წყობისას,–

ჩვენ, ჩვენს კერაზე,
    ჩვენს მშობლიურ ჭერქვეშ, მოძმენო,
რამ დაგვავიწყა
    წმინდა ცნება ქრისტეს სჯულისა?!
გამოვიხურეთ
    კარი მონურის მორჩილებით
ტაძართ, მონასტრის,
    თვით უძველესის სიონისაც...

სდუმს ანჩისხატი...
    სდუმს ქაშვეთი...
        სვეტიცხოველი...

კაცი არ შედის
    მათში თაფლის სანთლის ამნთები...
ნეტავ, რამ დაგვცა
    შიშის ზარი, რომ დაფეთებით,
უცხო კერპს ვუკმევთ
    საკმევს მირიანისა ძენი?!

განა ეს ჰფერობს
    შთამომავალს მეფე დავითის?!
განა ეს შვენის
    ჩამომავალს დიდის თამარის?!
ხელი ავიღეთ
    მამა-პაპურ წირვა-ლოცვაზე,
გამოვიკეტეთ
    კარი უზრად ყველა ტაძარის!

ყმურ მორჩილებით,
    მდუმარებით, რჯულის განდგომით,
ყველა საღვთო სახლს
    გადავაქცევთ კლუბ-დარბაზებად;
მით მირონცხებულთ
    ჩამომავალთ თაობებს შორის
აღვზრდით ურწმუნო თომებად და
    მოგვ-წარმართებად!

რელიგია კაცს ავსებს
    მხოლოდ წმინდა გრძნობებით;

ბოროცებას და
  ავკაცობას ის აგმობინებს;
ის ჰმოსავს ღვთისქმნილს
  ზეციურის შარავანდედით...
ათ წმინდა ცნებით
  შვილებს გაგვიკეთილშობილებს!

ამად, არ გვარგებს
  ჩვენ უღმრთობა ბარბაროსული!
არ გვარგებს მოვსრათ
  სე რჯულისა, ნინოს დარგული,
ნასაზრდოები სიყვარულით,
  გადაფურჩქნული,
საუკუნობით ჩვენს წიაღში
  ფესვებგადგმული!

ჩვენი ვალია,
  რომ წავზაძოთ მორწმუნე სიზნებს,
და გადმოვიღოთ მათგან
  ყველა, რაც რამ კარგია....
გვარიშვილთ ეს სომ
  უფრო გაგვაკეთილშობილებს?!
ცაძარ–მონასცრებს
  ჩვენს მომავალს მით გადვუმცკიცებთ!"

სთქვეს და... აღსრულდა
გულის ნატვრა ზენაარისა!
შეხსნეს ჭიშკარნი
ანჩისხატ–
ქაშვეთ–
სიონისა!...
ზე აღავლინეს
სადიდებლად ყოვლის შემძლისა,
მსგავსად ხიზანთა,
მათ ლოცვანი ქრისტეს სჯულისა!

და... აჟღრიალდნენ
სიხარულით ზარ–ზანზალაკნი,
თებერვლისაგან
გარინდულნი და ხმაჩამწყდარნი...
სარწმუნოებრივ
განახლებით გულაღგზნებული,
ზღვად აწყდება მათ
დიდ–პატარა, გახარებული!

ჟღრიალებს ლხენით ზარიც
მცხეთას, სვეტიცხოვლისა,
არ ეპუება ის
მძვინვარე გრიგალ–ქარიშხლებს!
დაე, ეხეთქონ
მრისხანებით თუნდაც სალ კლდეებს!

ვეღარ დააფრთხობს
    დიდ მოურავის ჩამომავლებს!

ვიღა დაგიდევს დაშინებას,
    დევნას, მუქარას,
იქვე, მახლობლად
    ჩასაფრებულ თანამოძმისას,
რომელმაც, ვაგლახ,
    ოცდაათ ვერცხლზე გადასცვალა
ცნება და რწმენა
    აბრამის ხის ნაყარ ყლორტისა!

* * *

გამოხდა ჟამი...
    საქართველოს ტაძართ,
                მონასტრებს,
აღარ აკლდებათ გულმხურვალე
    მლოცველთა ჯარი;
წარბს არ იხრიან,
    თუმც ჯერ კვლავ ჰქრის
                მსუსხავი ქარი,
ცდილობს, როგორმე
    ღვთის სამსახურს
                დაუდოს ზღვარი.

მაგრამ,
    ხმა ღვთისა — ხმა ერისა!
უთქვამთ ბრძენ ძველებს...
    ზღვარს რა დაუდებს
რწმენის გზნებით
    აღგზნებულ გულებს?!
ან რა გამოლევს
    ღვთის ნაბოძებ ქართულ მიწაზე
პაატებს, თუნდ
    დედოფალ ქეთევან-წამებულებს!...

ვკითხოთ გინდ დავითს...
    ის ბრძენკაციც დაგვიდასტურებს,
ეს ჭირი ქართლზე
    არ ახალი, ძველთა ძველია;
საუკუნეთა გრიგალთ,
    ქარცეცხლში გამოვლილებს,
ქართლს ავბედობა
    მრავლის მრავლად გადუტანიათ.

არდროს უდრკოდნენ
    შაჰინშაჰებს, ჯალალედინებს;
არაბ, მონღოლ, სკვით,
    ოსმალოთა ურდოთ თარეშებს;
არ თათრდებოდნენ,
    რჯულს არ სთმობდნენ
        სპარსთ ჰარემებში
ქართლის ასულნი,

თუმც ჰგოდებდნენ
    უცხოთ მხარეში...

* * *

კიდევ ის იყო...
    ის თარეში ალაჰის ალმის,
მუხრს რომ ავლებდა,
    ანელებდა ქართველთა კერებს,
რომ ბოლოს, ქვეყნის
    სახიკეთოდ ავსილის გულით,
ბრძენმა ერეკლემ
    ხელი მისცა ერთმორწმუნე რუსებს.

ერთურთგაგება,
    დახმარება ჟამს გაჭირვების;
ენის სიწმინდის,
    მტკიცედ დაცვა სარწმუნოების;
თანაბართ შორის
    თანაბრობა, ვითარც შეშვენის
კაცურ კაცობას
    და ღირსებას უძველეს ერის...

აი, რა იყო
    საფუძველი "ორთა კავშირის!"

ამას დაენდო მეფეკაცი
   სიტყვის და საქმის:
ძმობა! ერთობა!
   ეს პირობა "ერთგულ მეგობრის"
გამორიცხავდა ფიქრს
   მზაკვრობის, მუხანათობის!...

გაგიგონიათ?! მგელს
   ვინ მისცემს ბატკანს ანაბრად?!
ჭკუათმყოფელი, სვავს
   ვინ ანდობს კრავს შესანახად?!
მაგრამ ორ ჭირს შორს,
   უცილობლად გაგიგონიათ,
იმას აირჩევ,
   რაც მათ შორის უმცირესია!...

და, რადგან იცით,
   მგელი არ მოიშლის მგლობასა;
სვავიც უძღები
   ღმერთს ბუნებით გაუჩენია,
ამად არ დათმობს
   კაი ყმაიც ვაჟკაცობასა!...
გადასარჩენად
   ამის მეტი რა დარჩენია?!...

* * *

ახლა ხომ გესმით,
    თუ ვით შეცდა მწარედ ბრძენკაცი,
ქვეყნის ტკივილით
    გულდაისრულ-გულდამძიმული...
და ვგრძნობ, რომ ახლაც
    დრტვინავს,
            ბორგავს იმისი სული,
ერის განსაცდლით
    დასერილი მზრუნველი გული...

ბორგავს და დრტვინავს
    ამავ სახმილით ქეთევანიც,
ქრისტეს რჯულისთვის
    წამებული დიდ-დედოფალი;
არდა დაგიდევთ
    განვლილ დღეთა ტანჯვა-ვაებას,
ჰღაღავს იმის სულს
    ამდღევანდელი ცეცხლის ალი...

ო, ვით არ იგზნონ
    წამებულთა მწარ-სატკივარი,
როს იბილწება
    სვეტიცხოვლის წმინდა ტაძარი?!
საკუთარ სისხლ-ხორცს
    უსევს რჯულ-ენის შესამუსრად
სიტყვით ერთობა-თანაბრობის
    მნები მთავარი...

გმინავს ერი: "ღმერთო,
სად არს სწორ-სამართალი,
რომ შენს სახლიდან
იდევნება მლოცველთა ჯარი?!
ნუთუ არ გესმის,
ზეცას სწვდება კიდით კიდემდე
წმინდის ცნებისთვის
თავგანწირულთ კვნესა და ზარი!..."

აი, ვით იგრძნეს
გულდავსილთა ქვეყნის ცვივილი,
რა ცას შეერწყა
ცოდვა-ბრალი ულვთოთა ქმნილი;
და, კარგად უწყით,
ის სიმწარე უარესია,
რომლესაც დარცყმა
მოძმის ხელით განაკვესია!

ეგებ მით იგზნონ
ნათელმხილველმა წმინდანებმა,
მორწმუნეთ ვარმით
ერთხელ, ერთგულ დარაზმულებმა,
რომ მოუვლინონ
განსაცდელს, ვით სვეცი ცხოველი,
ზეცის თალთაგან
ზენაარის ხელი მშველელი,-

სხე, ვით ბრძანებს
ყველა დროის დიდი მგოსანი,
ცის მოვლენილი
და მიწიერ ერის აღზრდილი,
ვის ედაგვოდა
ხალხის ბედით თუ უბედობით
გული სალ-მტკიცე,
სიყვარულის ნექტრით აღვსილი:

"მე ნუ მიმადლი,
შვილო, შენს დახსნას,
ღმერთია ყველას
მშველელი, მხსნელი...
ღვთით არ განწირულს
ყველგან წინ უძღვის
მისი მარჯვენა
შემწყნარებელი!..."

ილია

სადაც რომ ძლიერ
დაღამდება, იქ გათენდება,
და წყვდიად ღამეს
გაჰკვეთს ელვა სინათლის მფენი;
უკუნს, სიბნელეს
შეერწყმება რიჟრაჟი მთენი;

რძისფერ, ვერცხლისფერ
   იელვებს ცაც ხიცოცხლის მჩენი!

ახე ნება ღვთის
   სიკეთის და ბედნიერების;
რქა სიუხვისა
   მშვიდობისა და სიხარულის,
ყველა ენაზე
   მის სახოცბოდ ღართა სამართად
უფლის უხვ კალთად
   გადებერცყოს ყველას თანაბრად.

მინდა, რომ მწამდეს:
   გარდიგრგვინავს გრიგალი, ქარი;
გაქათქათდება თოვლებრ
   ქვეყნიერების თალი;
მანდილს მოისხვევს ლაჟვარდოვანს
   თავს მთა და ბარი;
ნაყოფს დაისხამს ერთობისას
   ბაღ-ბაღნარ-ზვარი.

ცისფერ-ლაჟვარდი,
   თოვლ-თეთრი სომ გამაა ფერთა:
ნების კეთილის,
   სიწმინდისა, ქვეყნად მშვიდობის;
მომნიჭებელნი
   ამქვეყნიურ აღმაფრენათა;
ოდით ნანაცრის კაცთა მოდგმის:
   სულის სიმშვიდის!

მჭამს, დაადგება
   მაშინ სიონს სვეტი ნათლისა;
მშვიდობის,
   ფრთათეთრ ანგელოზთა მონებებული,
რომ შენდებოდეს
   სვებედნიერ ერისშვილთ ხელით
აღთქმულ მიწაზე
   ყოვლად წმინდა ზეთ ამიკდაში!

სვეტი ნათლისა
   დაადგება თანაზარწილად
სიონსც სიზნოზის
   მოფრიალე ლაღი სამფერით;
აათინათებს
   მაღლი მისი სვეტიცხოველსაც –
ამ წინდს ებრაელთ
   და ქართველთა თვისტომობისას,–

რათა ელიოზ ებრაელის
   ნეტარხსენებულ
დის წმინდა ძვლებზე
   ანაგები ტაძრის კედლებში
შეუფერხებლივ
   ყლერდნენ წმინდა საგალობლები,
ღვთის სადიდებლად
   აღვლენილნი ზეცის თაღებში,–

რომ მით დამტკიცდეს:
ქართველნი და ხიზანნი მათნი
იოსებ ქრისტეს
კვართითაც იყვნენ დაწინდულნი;
და წმინდა ნინოს
თმით შეკრული ლერწი ჯვარისა
იყო ჩათლილი
აბრაამის დამყნილ ვაზისა.

ეგება, მაშინდა მოელოს
ბოლო შუღლს, მტრობას,
ებრაელთა და ქრისტიანთა
სხვადასხვა ტომში;
და, თუ ინებებს
იშმაყელიც, ძე აგარისა,
აღსრულდეს ქვეყნად
ისაიას წინასწართქმულიც:

"გწამდეთ, დადგების
ჟამი ერთა შორის მშვიდობის!
ნამგალ–სახნისად
გადადნების შუბი და ხმალი!
აღარ ისწავლონ
ომი ხალხთა თვის სულისდგმაში!
მით ერთად ძოვდნენ,
მეგობრულად, მგელი და კრავი!"

—

***

მით კიაფობენ კაბალონზე
შიგ-შიგ ეს ფერნიც:
ფერი ზეცისა,
ზურმუხტ-მწვანე,
თოვლ-თეთრ, წითელი;
მწვანე – იმედის,
წითელი კი – ფერი სიცოცხლის,
ვით ნაწვიმარზე
აელვება შვიდფერ ცისარტყელის!

ამღერებულა ეს ფერთ გამა
ლაჟვარდს, რძის ფერზე,
შეყვარებული
ოდითგანვე ტკბილ სიცოცხლეზე...
ერთად გალობენ
შეწყობილად თეთრ და ცისფერი
ნარნარ ფერებთან
მშვიდობის, სულის სიწყნარებზე,–

ნიშნად, რომ არ სწადს
გულმოწყალე გამჩენს ადამის,
გამჩენს ცისა და დედამიწის
მოსრა კაცთ მოდგმის:
მარჯვენა მისი,
წარმმართველი, შემწყნარებელი,

წინ წარუძღვება
ხალხს, თვის ჩენილს,
მხსნელად სიცოცხლის!

და არც ინებებს ზენაარი
იმ კუთხეთ მოსრას,
რომელნ დასახა თვის წილ-კერძად,
თუმც შორის შორად;
არ მისცემს მათ ქორთ
და სვავ-აფთართ გადასახსანსლად,
ძვალნი ფხაწვრილნი
დაადგებათ ყელთ გასათანგად...

ეს არის არსი კანონმდებელ
მოშეს ხუთწიგნის,
წინამძღვრის ხელით
უფლის მიერ გამოგზავნილის,
ვინც სასინჯ ქვად
ამ ქადაგების დასახა ერი,
თვისი რჩეული,
მარადი ვაცი განცდევების.

და, რადგან მრავლად
არიან ცისქვეშ მცირე ერნიც,
მარად საფრთხეში,
ებრაელთ მსგავსად ენით, რწმენით,
იბერიიდან
თუ შეუხიზნა ივერიას

ზენამ სინათლედ
    უწინდელნი ქანაანელნი...

* * *

მადლი მადლის წილ!
    გარდვიხადეთ ვალი მცირედად,
ხიზნობის წლებში
    მასპინძელთგან დავალებული,
რითაც აღსრულდა ქადაგება,
    თალმუდით თქმული:
წყალზე წარგზავნე პური შენი,
    ის წინ დაგხვდება!

ამად აჟღერდნენ კვლავ
    ებრაელ ხიზანთ წაბაძვით
ქართულ ტაძრებში
    შეუპოვრად ვერცხლის ზარები:
მოუწოდებენ ერისშვილებს
    ღვთის სამსახურად,
თუმც ისევ ჰქრიან
    დამზაფრავი შიშის ქარები...

ეს მცირე წვლილი თუ მიიღო
    მსახურთ მსახურმა,
როგორც მირონი
    წმინდათ წმინდა ზიარებისა,

თუმც ალალბედად მირთმეული
    ვერცხლის ლანგარზე,
მადლი ხელქმნილი
    ყამს დაბნევის ებრაელისგან,–

რომ მათ მხურვალე
    წირვა–ლოცვამ უფლის სახელზე;
ზარ–ზეიმმა და
    ალმაფრენამ სიხარულისას;
თუ თავგანწირვამ
    საბედისწრო განსაცდელისას,
ოდეს დიდ ლოცვას
    უპირებდნენ ლუქის დადებას,–

არცთუ დიდ ხნის წინ:
    ებრაელ ექიმთა საქმისას,
ავად მოსაგონ
    ათას ცხრაას ორმოცდაცამეტს...
რა გადაწყვიტეს
    ჩვენი ერთობ გაციმბირება
რუსთ სამთავროს თუ
    ქართლოს მეფის საბრძანებლიდან,–

პირველნაბიჯი
    განაჩენის აღსასრულებლად
იყო დალუქვა,
    გამოკეტვა სალოცავისა...
რაკი ჩამოხსნეს ბროლის ჭაღი
    და გააქანეს,

დაიწყეს დაცლა შიგთავსისგან
    წმინდის ტაძრისა,-

უმალვე იგზნო ხალხმა
    რაღაც ავის მომსწავი...
იგრძნო, ზერავდა
    საიდანღაც მზროზი ავქარი...
მზიან ამინდში
    მოექუფრათ ზეცის ლაჟვარდი;
დარი კაშკაშა
    მოქურუხდა, ვითარც ავდარი...

დაფეთებულთა,
    ვით ქორისგან დედა-კრუხებმა,
მოუხმეს წვრილ-შვილთ,
    არ მიუშვეს მათ ახლოს მამრნი;
კიდით კიდემდე
    მისწვდა თბილისს მათი კრიახი:
"შვილნო აბრამის!
    არ დასცოვოთ წამს ლოცვის კარნი!"

მყის იფრთქიალეს ქალთა,
    ბალღთა, როგორც ფრთოსნებმა;
ცხარ-ცრემლ-მფრქვეველნი
    შეესივნენ წმინდა სალოცავს;
ფეხს არ იცვლიდნენ
    დღე თუ ღამე, სანამდე მამრთა
შესძრეს მოსკოვი
    და ეწივნენ სანუკვარ მიზანს!

დაიხსნეს ლოცვა!
    გარდიგრგვინა ავმა გრიგალმა;
კვლავ დაიბრუნეს
    წაღებული ბროლის ლამპარი!
ქალთა და ბალღთა თავგანწირვამ
    იმ განსაცდელის ჟამს
გადაარჩინა ნაღდ შებილწვას
    წმინდა ტაძარი!

იმ დღეს დამტკიცდა, ისე,
    ვითარც ქართველაძენი,
არ ვართ ლაჩარნი,
    უწიგნურნი, გონებით ბნელნი,
და შემართება ვაჟკაცური,
    ჟამს გაჭირვების,
ქართველ ებრაელსაც სისხლში აქვს
    გმირი მაქაბის!

ამას ვუმაღლით თემის თავკაცთ,
    ჭეშმარიტ რაზმებს,
ვინც არ აკლებდა
    თორის ნათელს სამწყსოს თავისას;
არ ავიწყებდა
    სიონიდან გადახიზნულებს
იერუსალიმს,
    მბრწყინავ ტაძარს
        სოლომონ ბრძნისას!

და კიდევ, გვყავდნენ
ერისთვის თავგადადებული
მაბათ ელიაშვილისთანა
ქველი შვილები:
სამშობლოსათვის არ ზოგავდენ,
როგორც დიმიტრი,
თვით სიცოცხლესაც,
ერისთვის გაწამებულები.

ეს სიყვარული თორის,
რწმენის, სამშობლო ქვეყნის,
სანთლებრ გვიძღვოდა,
გვიძღვის ახლაც ნარ-ეკლის გზაზე;
თუ პატრიოტად ახსენებენ
სხვა თემთ ქალ-ვაჟებს,
გურჯ ებრაელსაც აქვს უფლება
ამგვარ ხოტბაზე!

***

ალბათ, მით იქნა დაგეგმილი
განგების ნებით,
გავმხდარვიყავით მაგალითი
მრავალ ტომთათვის,
რომ რჯული, რწმენა,
წირვა-ლოცვა წმინდა ტაძრებში
მემკვიდრეობად
აღედგინათ შთამომავლისთვის.

აი, რით გვეზღო
  სიკეთის წილ სიკეთით სავსე
საწყაო მერვე
  სასწაულთა სასწაულისა,
რომ იავარქმნილ
  წინაპართა წმინდა მიწაზე
ისევ გაშენდა
  ვაზი ხელით ებრაელისა!

ისევ გაგვეხსნა
  ჩვენ სიონის ტაძართ ტაძარი,
თუმც ჯერ ისევ ჰქრის
  ავმოსურნე, მსუსხავი ქარი...
მაგრამ განგების
  ნებას წინ რა გადაუდგება?!
ზურმუხტ ბაღნარად
  იქარგება უდაბნო მკვდარი!

და... სასწაულთა სასწაულიც
  მეცხრე ჩვენ გვერგო:
ქართლის ხიზანს ხვდა
  თაოსნობის ბაირახტარი;
თვრამეტ ოჯახის
  შერკინებამ ქაჯთა ციხესთან
შეხსნა ათწლობით
  დაჯავშნული რკინის ჭიშკარი.

გამოსცდნენ ჭიშკარს და...
    აზვირთდა ზვირთი წყალუხვი
მთელ საბჭოეთით,
    ერთმორწმუნე თანამოძმეთა,
და ერეც ისრაელს
    შრომის ფერხულში ჩაება
ოთხას ათასიანი
    არმია ნაირ თემთა!

წარსულის ხსოვნა
    ორგანულად უნდა ერწყმოდეს
აწმყოს, რომ ძველის
    საფუძველზე მტკიცედ დაშენდეს
მშვიდი, ნათელი
    მომავლის საყრდენ-საძირკველი,
რომ ისტორია
    ტრაგიკული არ განმეორდეს.

ამგვარი ზრუნვით
    შთაგონებული ერისშვილი
ის ლეონარდო და-ვინჩია,
    დიდ-მოქანდაკე,
ვინც ალმას-საჭრისით
    ძერწავს და აშალაშინებს
დედა-სამშობლოს ნაღმმოფენილ
    გზებს და ბილიკებს!

ამისთვის გვმართებს
ჰარმონია! ძმობა! ერთობა!
ენა საერთო,
დაბრკოლებათა დასაძლევად...
თუ დათალხული
იყო ზეცა ოთხმოცდაორის,
აღარ დადინდეს ცრემლი
მწველი ხალხს ისრაელის!

აღარ მოირწყას ისრაელის
ტანჯულ შვილთ სისხლით
არც გალილეა,
არც ხერმონი და არც ქარმელი;
აღარ დადინდეს არა დედ-მამას,
ცოლს, ახლობელს,
მწუხარებისგან დანთხეული
ცრემლი გულმწყვლელი...

ის იყოს მსხვერპლი
მიტანილი უკანასკნელი
ხალხთა ერთობის,
მტკიცე მშვიდობის
სამსხვერპლოზე,
რომ აღარასდროს
არ გაისმას ხმალთა ჟღარუნი
კაცთ საზიანოდ არსად,
და არც ტანჯულ მიწაზე,—

რომ მომავალში
    ძმურად შევხვათ ერთობის ნიშნად,
ყველა გვარ-ტომმა
    აზარფეშა, ყანწი თუ თასი;
გულწრფელ ვუხურვოთ
    მზე კაშკაშა, ცა მოხარკული,
სრულად მხოტლიოხ,
    რომ მით დავლოთ
        ჩვენს ნალვაწს ფასი!

I982 წ.

"მოდი შევქმნათ ადამიანები ჩვენს ხახებად
და ჩვენს მხგავხებად!"
დაბადება I : 26

## შემოვუნახოთ შვილებსა

## პოემისათვის "რანი ვიყავით ანუ

## სინათლე არაერთმორწმუნეთ"

წინამდებარე პოემა "რანი ვიყავით ანუ სინათლე
არაერთმორწმუნეთ" მინიატურული სახით აცნობს მკითხვ-
ელს ქართველ ებრაელთა ხიზნობის დროინდელი ცხოვრების
ორიოდე ყურადსაღებ საკითხს დღიდან პირველი ბეთ ამიკ
დაშის აოხრებისა ბაბილონის – დღეს ერაყის – მეფე ნა
ბუქოდონოსორის მიერ 597 წელს ძველი წელთაღრიცხვით.
ეს იყო ხანა, როდესაც ებრაელმა ერმა დაკარგა სამშობ
ლო კერა და დაადგა ხანგრძლივი გარდახვეწილობის ნარ-
ეკლიან გზას. ამ მძიმე გზა-ბილიკების მტკივნეულ კეც
ვისას მხოლოდ თორა იყო ერის განუყრელი თანამგზავრი,
რომელიც არ აძლევდა მას საბოლოო დაცემის უფლებას;არ
აკლებდა იმედიან სიტყვას და, ამრიგად, დარსა თუ ავ-
დარში მუქურვარსკვლავად მიუძღვოდა თავის ბედკრულ სა
მწყსოს, რათა წამით არ დაევიწყებინა მათთვის ზენაა-
რის მიერ მიცემული აღთქმა შინ დაბრუნების თაობაზე.
ამიტომ არის, რომ ესოდენ მაღალ შეფასებას აძლევს თო
რას გერმანელი ებრაელი, თუმცაღა ასიმილირებული პოე-
ტი ჰაინრიხ ჰაინე; მაგრამ, აქვე უნდა დავსძინო, რომ
საკაცობრიო იდეალებით შთაგონებული ეს ბუმბერაზი მგო
სანი მაინც თაყვანისმცემელი რჩება უკანასკნელ ამოსუ
ნთქვამდე ამ დიადი საგანძურისა, რამაც მხსნელ-გადა-
მრჩენლის როლი შეასრულა ებრაელი ერის ცხოვრებაში.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, გასაოცარი სულაც არ
არის, რომ თალმუდში ღრმად განსწავლული ერისშვილი ამ
გვარ მაღალ შეფასებას აძლევს ამ მესიას ანუ მაშიახს,
თუ შეიძლება ეს ვუწოდოთ ებრაელი ერის სულიერ წინამ-
ძღოლს, ათას რვაას ოცდაათ წელს:"ეს წიგნი მათი სამ-
შობლოა, მთელი მათი ქონებ-ცხოვრება, მათი მბრძანებე
ლი, მათი ბედი და უბედურება. ისინი მხოლოდ მით ცოცხ
ლობენ; მასში ანხორციელებენ ყველა თავის მოქალაქეობ
რივ უფლებებს; მათ ვერ გამორეკავთ იქიდან; აქ უდიე-
რად ვერ მოეპყრობით მათ: აქ ისინი დიდებულნი და ძლი
ერნი არიან!"

ეს გახლდათ ჭეშმარიტება: ვერა ფათერაკმა ვერ გა
მორეკა ერი ამ ძლევამოსილი ციხე-სიმაგრიდან. და აი,

ახდა წინასწარმეტყველება ამ ღვთის საყვირისა ორია-
თასი წლის შემდეგ! მამა-პაპათა კერას უბრუნდება მა
რად მოხეტიალე ებრაელი, თუმცაღა კიდევ დიდხანს გახ
ცანს მის დაბრუნების ეს მტკივნეული პროცესი. არცთუ
გასაკვირია ეს, ვინაიდან ეს არის ერის მეორედ დაბა
დება, როდესაც გაგარეულებული ხიზანი ხელახლა ეუფლე
ბა რა ხნის გარდავიწყებულ მშობლიურ ენას; ხოლო რაც
მთავარია, მან ხელახლა უნდა ისწავლოს თვისობა, თა-
ნაცხოვრება იმ ასორი ქვეყნიდან ჩამოსულ ერთმორწმუ-
ნეებთან, რომელთაც ხიზნობის ქვეყნებში მხოლოდ თორა
და მოშეს რჯული ეხურებოდა ერთიან ქოლგად. ახე არხე
ბობდა ერი გალუთში, სანამ დაჰკრავდა აღთქმული პირო
ბის აღსრულების ჟამი ერეც ისრაელსა და იერუშალაიმ-
ში დასაბრუნებლად...

ეს უმაგალითო შემთხვევა კაცობრიობის ისტორიაში
თვალსაჩინო დასტურია იმ ფაქტისა, რომ თორა არ წარ-
მოადგენს მითებისა და ლეგენდების კრებულს: ეს არის
დასტურიც იმისა, რომ ძველი ებრაელი ნათელმჭვრეტელ-
ნი ჭეშმარიტად იყვნენ დაკურთხებულნი ზეგარდმო ნიჭ-
უნარით, რისი წყალობითაც ასტრონომიული სიზუსტით გა
ნჭვრიტეს არა მარტო ოდესღაც ძლევამოსილი იუდეველთა
სახელმწიფოს გაცამტვერება, არამედ მისი აღორძინებაც
აქედან, მტკიცე რწმენა იმისა, რომ არსებობს ზებუნე
ბრივი ძალა, რომელიც თავისი უხილავი ხელით მტკიცედ
განაგებს მიწიერ მოკვდავთა ცხოვრებას.

ნეტარება იმ ადამიანს, ვისაც სწამს ეს და ამას
თან ერთად სწამს ისიც, რომ ქვეყნად გარდუვალია საზ
ღაური როგორც სიკეთისა, ასევე ბოროტებისა. ამ მოსა
ზრებით, განუსაზღვრელია რელიგიის გამაკეთილშობილე-
ბელი გავლენა მიწიერ მოკვდავთა ცხოვრებაზე, ვინაი-
დან ჭეშმარიტ მორწმუნეს არც აგრერიგ გაუადვილდება
უკეთურობის გზაზე დადგომა.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, მცდარია ის თვალსაზ
რისი, რომელიც დევნას უცხადებს სარწმუნოებას იმ მი-
ზეზით, ვითომდა ის ხალხის მასების ოპიუმია მათი და-
ბეჩავებისა და ექსპლოატაციისათვის. უფრო სწორად რომ
ვთქვათ, ეს თვალსაზრისი ემსახურება გაცილებით სერიო
ზულ ამოცანას: ურწმუნო ადამიანი ხომ თვალის დაუხამ-
ხამებლად ჩაიდენს ყოველგვარ მზაკვრობას და... აფთა-
რივით დაუნდობელი იქნება თვით მშობელი დედისადმი!თუ
მცა კი ესეც უნდა დავსძინო აქვე: ზომიერება უნდა იქ
ნეს დაცული ყველაფერში. ეს გახლავთ ის ოქროს კვეთი,
რომელიც ნაქადაგებია თვით წიგნთა წიგნით!

მკითხავთ, რა მათქმევინებს ამას და მეც გპასუ-
ხობთ: დღევანდელ ისრაელის ვითარებაში ურთიერთობანი

"დათიიმ" და "ხარედიმ"-ად წოდებულ ორთოდოქს ებრაელთა და მათ დანარჩენ ერთმორწმუნეთა შორის იმდენადაა დაძაბული, რომ ეს გარემოება აშკარად მიუთითებს გარდუვალ საფრთხეზე, ვინაიდან უკიდურესი ფანატიზმი, სამწუხაროდ, არაერთ ჩვენგანს აღუძრავს ეჭვს ებრაელობის იმ სულიერ საგანძურზე, რამაც უზრუნველჰყო იავარქმნილი ერისა და ქვეყნის ზეაღვლენა!

იმედია, ამ აზრის გამოთქმა არ ჩამეთვლება ურწმუნოებაში. ვარ მორწმუნე ებრაელი. აღვიზარდე ტრადიციულ ებრაულ ოჯახსა და გარემოში, სადაც რჯული და რწმენა შეგნებულობის ფარგლებში ემსახურებოდა ჩვენი ეროვნული ფესვების განმტკიცებას, კაცთმოყვარების მაღალ იდეალებს და სწრაფვას სიონისაკენ, ყოველივე ამ სიკეთეს ვუმადლით ფემის წინამძღოლ რაბინთა ჭეშმარიტ განსწავლულობას ღვთისმეტყველების საფუძვლებში, მათ მაღალშეგნებულობასა და თავდადებას ებრაელი ერისა, ერეც ისრაელისა და იერუშალაიმისადმი, თუ აღარას ვიტყვით იმაზე, რომ თითონ განსვენებული მამაჩემი და ბიძები მშობლების მხრივ იყვნენ ახალციხის მცირე იეშივის მომზადებულნი, რის გამოც თითონ ჩვენი ოჯახი იყო ქცეული მათი თავყრილობისა და პაექრობის კერად თალმუდ-თორის საკითხებში. ყოველივე ამას შეუძლებელია ღრმა ბეჭედი არ დაესვა ჩემი მეობისა და მსოფლმხედველობების ჩამოყალიბებაზე.

როგორც საყოველთაოდ არის ცნობილი, ქართველ ებრაელებს "სეფარადებს" გვეძახიან, განსხვავებით აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიაზე მოსახლე ერთმორწმუნეებისაგან, რომელნიც "აშქენაზების" სახელით არიან ცნობილი და მათ სასაუბრო ენას წარმოადგენს "იდიში" – გერმანულზე დაფუძნებული ენა. რამდენადაც განსვენებული მამაჩემისაგან მომისმენია არაერთხელ, როგორც საქართველოს, ასევე ევროპის ებრაელები ერთ და იმავე შტოს განეკუთვნებიან. ამაში საეჭვო არაფერია, თუ მსჯელობისას გეოგრაფიულ რუქას გავაყოლებთ თვალს. რაკი ჩვენი წინაპრები ბედის უმოწყალო ტრიალმა აჰყარა თავის მიწა-წყლიდან, მთელ დედამიწის ზურგზე კი დაიწყო იმათი მიმოფანტვა, მაგრამ უპირველესი ნავთსაყუდარი იქნებოდა აფრიკის უზარმაზარი კუნძული თავისი სიახლოვის გამო. ეს კუნძული გიბრალტარის სრუტით არის გამოყოფილი

პირენეის ნახევარკუნძულიდან და, ცხადია, ძნელი არ იქ-
ნებოდა ებრაელობის აღმოჩენა ამ ტერიტორიაზე მდებარე
ქვეყნებში. და ვინაიდან ესპანეთ-პორტუგალია იყო ძირი-
თადი მიზიდულობის ცენტრები დაფანტული ებრაელობისათვის,
სეფარადების სახელით გახდნენ ცნობილი მუსულმანური ქვე
ყნებიდან გამოსული ერთმორწმუნე თემებიც და ასე დაისვა
ტოლობის ნიშანი ქართველ ებრაელსა და აფრიკის ებრაელთა
შორის. მაგრამ თუ ღრმად შევისწავლით სეფარად ებრაელთა
ამ ორი მტოს ადათ-წესებს და ცხოვრებისეულ ჩვევებს, ად
ვილი შესამჩნევია ის დიდი სხვაობა, როგორიც არის ცასა
და დედამიწას შორის, რის გამოც ისინი "ცუდ აშქენაზე-
ბად" გვნათლავენ ჩვენ. ამის მიზეზი ის არის, რომ ჩვე-
ნი თემები სრულიად განსხვავებულ გარემოში ცხოვრობდნენ.
მაშინ, როდესაც ქართველი ებრაელობა ეზიარა იუდეურ-ქრი
სტიანული კულტურის მემკვიდრეობას, აღმოსავლეთის თემე-
ბი მაჰმადიანურ კულტურასთან დგანან ახლოს. ეს გაკვრით
მხოლოდ, რადგან აქ ვერ ჩავუღრმავდებით მკვლევარ-მეცნი
ერთა სფეროს.

დავუბრუნდეთ ისევ ჩვენი წარმომავლობის საკითხს:ეტ
ყობა, პირენეის ნახევარკუნძულზე მოსახლე ბევრმა ხიზან
ებრაელმა მიატოვა თავის საბუდარი შუა საუკუნეებში. მი
ზეზი გახდა ის, რომ სწორედ იქ ჩაეყარა საფუძველი კათო
ლიკური ეკლესიის იმ სასამართლო-პოლიციურ დაწესებულე-
ბას, რომელიც "ინკვიზიციის" სახელით შევიდა ისტორიაში.
ეს ორგანიზაცია უკიდურესი სისასტიკით უსწორდებოდა ყვე
ლას, ვინც არ ემთხვეოდა მის საკურთხეველს. ასეთ ერეტი
კოსებად ინათლებოდნენ, უპირველეს ყოვლისა, არაერთმორწ
მუნე ებრაელები და, როგორც მარადიული განტევების ვაც-
ნი, იქაც ისინი იქცნენ მწვალებელთა სამიზნე ობიექტად,
თუმცაღა არც ბევრ ქრისტიანს ასცდა მათი მახთი.

მოყოლებული მეცამეტე საუკუნიდან, ინკვიზიციის მან
თი და მახვილი მძვინვარებდა დიდი რამბამისა და მის თა
ნამედროვე ტიტან ებრაელ მოაზროვნეთა წარმომშობ მხარე-
ში მეცხრამეტე საუკუნის ჩათვლით. რაღა თქმა უნდა, რომ
ეს გარემოება ხელახლა გამოიწვევდა ხიზან ებრაელთა აყ-
რას უკვე გამთბარი საბუდარიდან და ახალი, მშვიდი ნავ-
საყუდარის ძებნას...

ასე მიმოიფანტნენ ხელახლა ესპანეთით ლტოლვილი ებ-
რაელები მთელი ევროპის ტერიტორიაზე. ეს პროცესი დააჩ-
ქარა ესპანეთის დედოფალ იზაბელას მკაცრმა განკარგულე-
ბამ I492 წელს. ამ ბრძანების მიხედვით, ესპანეთიდან
იდევნებოდა ყველა ებრაელი, ვინც არ დათმობდა სარწმუნო
ებას, ხოლო იქ ცხოვრების უფლება ეძლეოდა მას,ვინც გა-
ბატონებულ რელიგიაზე მოიქცეოდა...

ძალა აღმართსა ხნავსო, უთქვამთ ბრძენთ, და ჭეშმა
რიტად. ალბათ, ბევრს გაუჭირდა დაფუძნებული ბუდის მოშ

და, რომ დაემორჩილნენ კანონსა და მწარე ხვედრს. მაგ-
რამ აღსანიშნავია ისიც, რომ შესახედავად ზოგი კი მოე
ქცა უცხო რჯულზე, ხოლო გულის გულში მაინც მამა-პაპა-
თა სარწმუნოების ერთგული დარჩა. ისინი ფარულად ასრუ-
ლებდნენ თავიანთ ადათ-წესებს, თუმცაღა სიცოცხლის წა-
გების რისკით. ამის გამო ეწოდათ მათ "მარანები" ანუ
ფარული ებრაელები.

ებრაელი რიღას ებრაელია, რომ ყველა ერთი კაცივით
დამორჩილებოდა კანონს. ბევრმა მიატოვა ის წალკოტისე-
ბური მხარე, რომელიც უკვე მეორე სამშობლოდ იწამეს,და
ხელახლა გაიფანტნენ. ესპანეთიდან გამოსული ებრაელო-
ბის ერთმა პატარა შტომ, გადალახა რა კავკასიონის და-
თოვლილი ქედი, ჩააღწია იბერთა მონათესავე ივერთა მხა
რეს. ახე აირჩიეს მათ დასასახლებლად საქართველო, რო-
მელსაც ახე უმღერის ცნობილი ებრაელი პოეტი სამუელ მო
ძღვრიშვილი თავის ერთ ლექსში, როცა მას უდარებს ღმერ
თის მიერ ბოძებულ ედემს:"მაშ, რად არისო ქართლიც ედე
მის მსგავსი?!"... გამომდინარე აქედან, სადაც არ უნ-
და დასახლებულიყო ებრაელი, შესაძლებლობის ფარგლებში,
ყოველთვის ეძებდა ისეთ კუთხეს, რომელიც მას სანატრელ
სიონს მოაგონებდა...

როგორც ქართველ მკვლევარ-მეცნიერთა შრომებიდან
ირკვევა, ქართველ ებრაელობას ორიათას შვიდასწლოვანი
სამირკველი უდგია ქართლოს მეფის საბრძანებელში.ასეთ
ზუსტ მონაცემს ვპოულობთ პროფესორ ზურაბ კიკნაძის მი
ერ რუდუნებით დამუშავებულ მასალაში ამ სფეროში. გარ
და ამისა, ჩვენი წარმომავლობის საკითხზე მსჯელობის
დროს გვერდს ვერ ავუვლით მსოფლიოში სახელგანთქმული
მეცნიერის, ნიკო მარის გამოკვლევებს. მისი ვარაუდით,
თავდაპირველად ებრაელები დასახლდნენ მცხეთის შემოგა
რენში, სადაც ისინი ცნობილი გახდნენ სახელით "ჰურია
ნი ქართველნი", რაც ქალდეველთა ურიდან მოსულს, ანუ
ურელს ნიშნავს. ამის თაობაზე ასეთ ცნობას გვაწვდის
"ქართლის ცხოვრება":"მაშინ ნაბუქოდონოსორმან წარმოს
ტყუევნა /ააოხრა/ იერუსალიმი, და მუნით ოტებულნი ურ
იანი მოვიდეს ქართლსა, და მოითხოვეს მცხეთელთა მამა
სახლისისაგან ქვეყანა ხარკითა. მისცა და დასხა არაგ
ვსა ზედა, წყაროსა, რომელსა ჰქვიან ზანავი".

მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ებრაელები მე-

ცად შორს ცხოვრობდნენ წინაპართა ქვეყნიდან, ისინი მაინც მჭიდრო კავშირში იმყოფებოდნენ არა მარტო პალესტინასთან, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხე-კუნჭულში მიმოფანტულ თანამოძმეებთან. ეს ძნელი ამოცანა ხორციელდებოდა იმის წყალობით, რომ საქართველო ძველთაგანვე წარმოადგენდა უდიდეს სავაჭრო გზაჯვარედინს თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო. აქედან გასაგებია, თუ რას უმადლოდა ეს კუთხე თავის უჩვეულო აღმავლობას ცხოვრების ყველა სფეროში, თუმცა უცხოელთაგან "სიხარულის ქალაქად" წოდებული თბილისი სწორედ განვითარების ამ მაღალი დონით იზიდავდა ნაირგვარ დამპყრობთა ურდოებს ახლო თუ შორეული აღმოსავლეთიდან.

ამგვარი აღებ-მიცემობის გამო "ჰურიანი ქართველნი ხშირი სტუმრები გახლდნენ როგორც უცხო ქვეყნებისა, ასევე იქ მოსახლე ერთმორწმუნეებისა. ცხადია, არც ესენი სტოვებდნენ მათ მოუკითხავად. გარდა აღებ-მიცემობით დაინტერესებული პირებისა, იშვიათად როდი ჩამოდიოდნენ საქართველოში ისტორიული სამშობლოდან სპეციალურად წარმოგზავნილნი, ეგრეთ წოდებული "შალიახები", რომელთაც მნიშვნელოვანი ცნობები ჩამოჰქონდათ თანამოძმეებისათვის ერისა და ქვეყნის ცხოვრებაზე. ამის წყალობით იყო, რომ სიონი მარად ცოცხლობდა მათ მეხსიერებაში არა როგორც ნაქვეყნარი, არამედ როგორც ცოცხალი სვეტი ხვალისა!

რაც შეეხება პირადად ქართველ ებრაელთა განწყობილებას, ისინი არათუ მარტოოდენ სულიერად — თორითა და ადათ-წესებით იყვნენ მჭიდრო კავშირში მამა-პაპის და მრწევ აკვანთან, არამედ უშუალოდ იღებდნენ წილს შინ დარჩენილთა ცხოვრებაში: უხვად აგროვებდნენ შესაწირავებს მთელი ქართლის თემში მშობელი ხალხის დასახმარებლად და იერუშალაიმის ნაოხარი ტაძრის აღსადგენად.

ამნაირი საქმიანი ურთიერთობისა და სულიერი სიახლოვის მეშვეობით მათ გულში არასოდეს ჭკნებოდა იმ დიდი ეროვნული ხის ფესვები, რომელიც ჟამთა სიავემ განტოცა აღთქმული მიწიდან მთელი დედამიწის ზურგზე. მაგრამ ასეთ სავალალო მდგომარეობაშიაც კი, თუნდ მარტოოდენ სახელით, ერეც ისრაელისდა იერუშალაიმის ცვარნამი უკვდავების წყაროს წყლისებრ ეღინებოდა შორეულ ნიადაგებში ღრმად განრთხმულ ძირებს. ამგვარი ღვთაებრივი სიყვარულით საუკუნეთა განმავლობაში ღვიოდა გზნება და ინტერესი ლანდად აღევნებული მამულის ბედ-იღბლისადმი და მით წამით არ ნელდებოდა დაუოკებელი სწრაფვა მისადმი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დროთა განმავლობაში როგორც ყველგან, ასევე საქართველოში მცხოვრები ებრაელებისათვის "ლაშონ აკოდეში" ანუ წმინდა ენა მარტოოდენ სალოცავ ენად დარჩა. ცნობილია ისიც, რომ ევროპის კონტინენტზე დასახლებულმა ებრაელობამ თავის ეროვნული მეობის შესანარჩუნებლად შექმნა იდიში და ლადინო, ალბათ, იმ მწვალებლობისა და დევნის გამო, რასაც განიცდიდნენ არაერთმორწმუნე არაკეთილმოსურნეთაგან. მათგან განსხვავებით, ქართველ ებრაელობას არ შეუქმნია ქართულის საპირისპირო ენობრივი ერთეული ეროვნული მეობისათვის ხაზის გასასმელად. ამდენად, მათ მხოლოდ მამა-პაპათა ადათ-წესები და თორა შეინარჩუნეს განმასხვავებელ ვიწრო ზღვრად. მხოლოდ ამ ნიშნით განირჩეოდა ებრაელი ქართველისაგან. ამგვარ ვითარებაში, თუ ენის გარეშე შეინარჩუნეს მათ თავიანთი ეროვნული სული ერეც ისრაელიდან შორს, ეს გახლავთ მადლი თემის ღვაწლმოსილი სულიერი მოძღვრებისა და ღვთისმოსავი მასპინძლების სამაგალითო რჯულთშემწყნარებლობისა.

ალბათ, ბევრს აინტერესებს ის, თუ რა წარმოადგენ და ქართველობის რჯულთშემწყნარებლობის საფუძველს. ამ კითხვაზე არაორაზროვან პასუხს გვაძლევს ის ქართულენოვანი საღვთო წიგნი, რომელსაც თავფურცელზე აწერია:

## ძ ვ ე ლ ი   ა ღ თ ქ მ ა

### წარმოადგენს ებრაული თორის პირს

მართალია, დღეს ღვთისმეტყველება არ ისწავლება საერო სკოლებში და ვერცთუ სასულიერო სასწავლებლებს დაიკვეხავს რომელიმე საბჭოთა რესპუბლიკა, მაგრამ მართლმორწმუნე ქართველისათვის ბიბლია რჩება დაუშრეტელ სულიერ წყაროდ, მის სამაგიდო წიგნად. მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ ბიბლია როდი წარმოადგენს სარწმუნოებით განსხვავებული ორი ერის ერთობის ხიდს. ამის თაობაზე არანაკლებ საინტერესო და ყურადსაღებ მასალას გვაწვდის ქართლის მატიანე. მასში ყველაზე მნიშვნელოვანია ის ცნობა, რომელიც თვალსაჩინოდ მიგვითითებს ქართველობის და ებრაელობის სულიერი თვისობის საფუძველთა საფუძველზე. ამ ცნობის მიხედვით ირკვევა, რომ ქართველები და ებრაელები იესო ქრისტეს კვართით, ანუ პერანგითაც იყვნენ შეკრულნი წმინდა კავშირით.

ზემოაღნიშნულ ცნობას მივყავართ იმ ხანამდე, როცა საქართველოს მიაღწია წმინდანმა ქალმა, ნინო კაბადოკიელმა. ეს მოხდა ჩვენი წელთაღრიცხვის მეოთხე საუკუნეში. წმინდა ნინო ჯავახეთის მთების გადავლით პირდაპირ

აღგება მცხეთას, საქართველოს ძველ სატახტო ქალაქს, რათა განმანათლებლობის სული შთაბეროს იბერთა უძველეს წარმართ ტომებს. ამასთან დაკავშირებით, ინტერესს როდი იქნება მოკლებული, ერთი გადმოცემა მოვიყვანოთ ქართლის მატიანედან, რომელიც პირდაპირ ხიდსა სდებს სჯულით განსხვავებულ ხიზნებსა და მასპინძელთ შორის.

როგორც უკვე ვთქვით, ებრაელები განუწყვეტლივ მოგზაურობდნენ წინაპართა მხარეში. და აი, მემატიანე გვიყვება, "თუ ვითარ წარვიდა მცხეთელი ელიოზ ებრაელი იერუსალიმს". იქ ის ქრისტეს ჯვარცმას შესწრებია, და "მას წილხვდა კვართი იგი უფლისაი და წარმოიღო ის მცხეთას". ქალაქად მოსულს, ელიოზს წინ მიგებებია და მისი, სიდონია; გამოურთმევია ძმისთვის პერანგი, ჩაუკრავს გულში და, წარმოუთქვამს თუ არა ეს სიტყვები "ქრისტეს სიკვდილისათვის, და ძმისათვის, რომელ ეზიარა სისხლსა უფლისასა", განუტევებია სული.

საშინლად შეშფოთებულა ამის შემსწრე მეფე ადრეკიცა და ხალხიც. მეფეს არ უნებებია კვართის გამორთმევა მიცვალებულის ხელიდან და მისიანად მიუბარებიათ მიწისათვის ელიოზ ებრაელის და. მას შემდეგ კარგა ხანი გამომხდარა და მცხეთელი ელიოზ ებრაელის სასწაულებრივად გარდაცვლილი დის სამარხზე უღამაზესი ლიბანის ნაძვი ამოსულა. სხვათა შორის, ლიბანის ნაძვით გააშენებინა შლომო ამელეხმა პირველი ბეთ ამიკდაში ტვიროსის მეფე ქირმანის დიდოსტატ ხუროთმოძღვრებს.

ეს ამბავი მომხდარა დიდი ხნით ადრე, ვიდრე წმინდა ნინო ჩაბრძანდებოდა საქართველოში. ამ წმინდანმა ქალმა ხანგრძლივი შთამაგონებელი მუშაობისა და სასწაულმოქმედებათა მეოხებით მოახერხა ქართველ წარმართთა მოქცევა ქრისტიანობაზე და საკუთარი ხელითვე მონათლა ხალხი. მაშინ მისცა მან ქართველობას ჯვარი, რომელიც მათ მოსანათლად გამოხთალა ვაზის ლერწისაგან და საკუთარი თმითვე შეკრა...

სწორედ ამ ამბავთან არის გადაჯაჭვული ის გადმოცემა, რომელიც გვიდასტურებს ამ ორი უძველესი ერის, ებრაელობისა და ქართველობის, სულიერი თვისობის საფუძველს, რომელსაც ელიოზ ებრაელის დის ყამთგანსასვენში გაუდგამს ფესვები და საძირკვლად დადგმია ქართველი ხალხის უწმინდეს ტაძარს – სვეტიცხოველს. აი, ეს ლეგენდა:

რახან მეფე მირიანმა ირწმუნა ერთად ერთი ჭეშმარიტი ღმერთი, წმინდა ნინოსთვის უკითხავს, სად ავაგოთო ტაძარი უფლისა, და მათ სწორედ ის ალაგი შეურჩევიათ, სადაც ლიბანის ნაძვი ხარობდა. მშენებელთ მოუ-

კვეთიათ ის ხე, გაუმზადებიათ სვეტად, ხოლო მის ძირზე ტაძრის სამირკველი ჩაუყრიათ. მაგრამ მომხდარა უჩვეულო ამბავი: ვერც ხელით და ვერცთუ მანქანებით მოუხერხებიათ იმ სვეტის დაძვრა ადგილიდან!

ამის გამო საშინლად შეწუხებულა მეფე მირიანი და მისი ხალხი. რაკი არ იცოდნენ, რა გზას უნდა დადგომოდნენ, ლოცვად შემდგარან წმინდა ნინო და სულიერნი დანი მისნი. გამთენიისას, როცა მთელი ღამის სიფხიზლით დაქანცულ ქალებს თვალი მირულვიათ, ხელებაღპყრობილ ნინოს ერთი ნათლით მოსილი ჭაბუკი მიახლოვებია და სამი სიტყვა უთქვამს მისთვის. უმალ პირქვე დამხობილა წმინდანი ქალი, ჭაბუკს კი ხელი წამოუვლია ციხებურჯივით მდგომი სვეტისათვის და ცისკენ წაუღია. ამის მხილავი ერთ ერთი სულიერი და მისულა ნინოსთან და უკითხავს, რა მოხდაო. ნინოს თავი დაუხრევინებია მისთვის და ასე მდგარან ერთხანს სულთქვამშეკრული ქალები. თავი რომ აუწევიათ, უხილიათ, რომ ცეცხლის სახედ ჩამოდიოდა ზეციდან ის სვეტი. იგი დადგმულა სწორედ იმ ადგილზე, რომლიდანაც იყო მოჭრილი — ელიოზ ებრაელის ნეტარხსენებული დის, სიდონიას ყამთგანსასვენზე...

ამ საოცრების მხილველნი გამხდარან გარიჟრაჟისას წამომდგარი მეფე მირიანი და მისი ხალხი. და განა ეს არ იყო საკმარისი საბუთი ღვთაებრივი ნება-სურვილისა და ხელის გამოვლენისა?! რაღა თქმა უნდა, რომ ხალხმა ღვთისმოსაობით ირწმუნა უხილავი ზეარსის ხილული ნიშანი, რაც არაორაზროვანი ფირმანი გახლდათ იმისა, რომ იმ ალაგზე უნდა დადგმულიყო პირველი ქრისტიანული წმიდა ტაძარი — მცხეთელი ელიოზ ებრაელის დის სამარეზე.

ასეთია გადმოცემა პირველი ქრისტიანული ღვთის სახლის აშენების თაობაზე, რომელიც "სვეტიცხოვლის" სახელწოდებით გახდა ცნობილი და დღესაც იმ გარდასულ, სასწაულებრივ დღეთა მოსაგონებელ სიამაყედ დგას საქართველოს ძველი სატახტო ქალაქის სამშვენისად. ამრიგად, ეს ტაძარი პირდაპირი ერთობის ხიდს სდებს თავის არსით სარწმუნოებით განსხვავებულ ორ ხალხს — ებრაელობასა და ქართველობას შორის.

ეჭვი არ მეპარება, რომ შორეული წარსულის ამ ერთი მნიშვნელოვანი ფურცლის გახსენება ქართულ მატიანედან სრულიად სხვა, უფრო გამაფაქიზებელი და გამაკეთილშობილებელი გრძნობით აალილინებს ქართველისა თუ ებრაელის გულში ყველასათვის საყვარელი პოეტის, იოსებ ნონეშვილის სიმღერადქცეულ ლექსს "რთველი არის თუ შენი ქორწილი?!", რომელშიაც ავტორი ასეთი ღრმად შთამაგონებელი სისათუთით უგალობს ქართულ ვაზს — წმინდა ნინოს მიერ ნაკურთხ ფესვსა და ებრაელი ერის სიცოცხლის სიმბოლოს:

ვაზო,
მცხეთაში ჯვარად
შეკრულო,
ლერწო,
ქალწულის თმებით
გამთბარო,
შენით ჩუქურთმა არის
შემკული
წრომს
თუ გუდარეხს,
გარეჯს,
სამთავროს...



## ა ქ ო რ ე ბ?!.. ქ ო რ ი ა!

რაო, გგონიათ მე მოვიგონე ეს არცთუ საამოდ მოსასმენი სიბრძნე: მუცელს აქორებ – ქორია, აღორებ და – ღორიაო?! თქვენც არ მომიკვდეთ, რომ არა! მხოლოდ მაღალმა ღმერთმა უწყის, ვინ არის მისი ნათლია. ერთიღა არის მხოლოდ უდავო: ეს გახლავთ ცხოვრებისეული სიბრძნე, რომელსაც წყალი არ გაუვა. შეკითხებით, როგორაო? როგორ და სრულიად უბრალოდ! აი, ისე, როგორც.. ორჯერ ორი ოთხია და არა ხუთი. განა ამ ჭეშმარიტებასაც პითაგორას თეორემასავით სჭირდება მტკიცება? თუმცაღა ცხოვრებაში ხომ ყველანაირი ჭკუისკოლოფია! ჰოდა, ამიტომაც არ გამოვრიცხავ, რომ ვიღაც ასირებულმა დაიჟინოს: ორჯერ ორი ხუთიაო! კეთილი. თუ ასეთი სოლომონ ბრძენიც გამოჩნდება სადმე, მისთვის გადმილოცნია სადისერტაციო თემად გენიოს ფერმას თეორემა, რომელიც დღემდე გადაუწყვეტავი რჩება, და ნობელის პრემიაც თავის ყულაბაში იგულოს. რაც შეგვეხება უბრალო მიწიერთ, ჩვენთვის აბსოლუტური ჭეშმარიტებაა, რომ ორჯერ ორი ოთხია, და არა ხუთი, სწორედ ისე, როგორც შაქარი ჭეშმარიტად ტკბილია და სარგო, თუ მას ისეთი ჭარხლისა და ლერწმისაგან დავამზადებთ, რომელთაც არც ჩერნობილის რეაქტორის აფეთქების შედეგად გაფრქვეული ატომები შეუწოვიათ და არც სხვა საცდელი ბომბებისა.

ამგვარი საქსიომო მაგალითები ხომ მრავლის მრავლადაა ცხოვრებაში?! რა ბევრი თავის ტეხა ამას უნდაო, მომასხლით და მართალიც ბრძანდებით: წიწაკა მწარეა, თუ მხედველობაში გვაქვს მამა-პაპური, ქართული პირშუშხა და არა ქონდრისკაცა გამბა ანდა ძმანი მისნი სხვანიდა სხვანი ბულგარეთიდან. მათი სიტკბოს მიზეზი,ცხადია,მოგეხსენებათ: ბულგარელები ხომ შაქრივით ტკბილი იყვნენ თავიანთი ებრაელი ხიზნებისადმი! აი, ამ კეთილგანწყობილებისათვის უწყალობა ყოვლისშემძლემ წიწაკის ამ სახეს სიტკბო ფეშქაშად!

აღარას მოგახსენებთ იმის თაობაზე, რომ ლიმონისათვის ღმერთს სიმჟავე მიუნიჭებია, თოვლისათვის – სითეთრე.. ეჰ, ტვინის ასეთი ვარჯიში შორს წაგვიყვანს და, ბევრი რომ აღარ გავაჭრელო, თუ გაინტერესებთ,ეს თავშე

საქცევი თქვენთვის გადმომილოცნია მოცალეობის ჟამისათვის ამფსონურ წრეში, მე კი ჩემს ქოთანს მოვურევ.

"მოწყალეო ვიღებ შენს ნობათს"-ო, მესმის საიდანღაც რაღაც იდუმალი ხმა და, მეც გახარებული მსმენელის გულისყურით, უფრო გაბედულად ვაგრძელებ ბაასს.

ჰოდა, ეგება ამ საუკუნეში მაინც დაგარწმუნოთ, ჩემო ურწმუნო თომებო, რომ აქსიომაა ოდინდელი დებულება: მუცელს აქორებ — ქორია, ალორებ და — ლორია! თუ ვინმეს მაინც არ სჯერა, სულ ეგ იყოს ჩემი დარდი და ჯავრი, ხოლო ეჭვების გასაფანტავად კიდევ ერთხელ დავძენ: ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მავან-მავანი დღენიადაგ როგორ იჩხავლებდა: მშია, მშია — კატა მქვია, გავძღები და — როსტომ მქვიაო?! მაგრამ თავი და თავი საკითხავი აი, რა არის: შესაძლებელია თუ არა უძღები ხვავის გაძღომა?! არც ეს არის ცუდი სადისერტაციო თემა, თქვენც არ მოუკვდეთ ჩემს თავსა!..

"ჰაი, ჰაი, რომ ჭეშმარიტებაა"-ო, მეთანხმებით ყველა თავის ბრძნული კანტურით, ვინაიდან უქონლობის თუ არა, მოუცლელობის გამო მაინც გექნებათ გამოცდილი, რარიგ ძნელია ცარიელი კუჭის ბუყბუყის ატანა და ვაი მას, ვისაც ძღომა არ ეკიდება, გინდაც მოზვერი ხარ-კამეჩი მიირთვას საუზმედ თავის რამე-რუმეებით!

"ჭეშმარიტს ბრძანებ"-ო, მპასუხობს იდუმალი ხმა, და მეც ვაგრძელებ: ალბათ, ამიტომ თუ გამოუგონებიათ მოანდაზეებს: "კუჭი ძმაზე ახლოაო!"

"მაგ საპირეს სარჩული უფრო სხვაგვარი აქვს"-ო, მკარნახობს ჩემი უჩინ-მაჩინა თანამოსაუბრე და იქვე ვპასუხობ: "ვიცი, რაც გაქვს მხედველობაში. რაკი მოძრაობაში მოვლენ ყბებად წოდებული მოტორ-დანადგარები, ისეთი რაკეტისებური ტემპით იწყებენ მუშაობას, რომ ელვის სისწრაფით ნთქავენ ყველაფერს, რაც კი კბილთ მოხვდებათ.

სწორედ მაგიტომ ბრძანებენ: მადა ჭამაში მოდისო, მპასუხობს ხმა, — ისე როგორც ზოგიერთი, ჯერ გაინაზება, არ მინდა, არ მინდაო და მერე კი, ხომ იცი, არმინდამ არმინდაობაში ცხრა ხინკალი შეჭამაო!

მეც მანდა ვარ, — ვპასუხობ თანამოსაუბრის ენამოსწრებულობით გახარებული, — მაგრამ ეგაც ერთგვარი თავაზიანობაა, და მეტად საქებურიც, რადგან არიან ისეთებიც, ასი ხინკალი რომ გედოს მათლაფაზე და ასივე მას გადაულო, მაინც კიდევ გეჯიჯღინებათ: მშია, მშია, კიდევ ერთი, კიდევ ერთი ხინკალიო!

ვიცი, რაც გინდა სთქვა მაგ ქარაგმით: შენი ბიძაშვილი მაზუთაშვილები გყავნან მხედველობაში. ისიც კარგად ვიცი, რომ ხინკალი მათ ენაზე სახელმწიფოს ნიშნავს. რამდენიც არ უნდა ჰქონდეთ, შენს პაწია წიწი-

ლა ისრაელას მეჭყერიან ისე, როგორც კაცა თაგვსა, და
მაგათ "მშია! მშიას!" ჩხავილს ბოლო არ უჩანს.
ავაშენოს ღმერთმა მაგ საზრიანობისთვის! – ვლო-
ცავ გულქართლად ჩემს მობაასეს და ვაგრძელებ,– მაგნა
ირი ფილოსოფიიდან გამომდინარე, ოღონდ მაზუთაშვილები
სთანა ხინკალი არ მოგვთხოვონ და, ვინ მამა–ოხერი და
ზოგავს სახმელ–საჭმელს მუცელღმერთა თუ ღორმუცელა კუ
ჭის ამოსაყორად ამ ყველანაირი ღოვლათ–ბარაქით დაკურ
თხეზული ქვეყნიდან და დავლოცავთ კიდეც: ბე–თე–ა–ვონ!
ჩვენებურად, ძველებურად რომ ვთქვათ: გაამოს და შეგა
რგოს!
მეფური ჯომარდობაა, ჩემმა მზემ,– მპასუხობს ხმა,
მაგრამ არცთუ ძალიან მისაღები .
თუ მეფურია, მიუღებელი რაღანაირადაა? ვკითხავ შე
ფიქრიანებული.
მეტის მეტი – თავში რეცხი! მეტი ჭამა კუჭს აწყენ-
სო, არ გაუგონია შენს ყურებსა?! წინწამცოზს ხმა.
პოო! ეგ კი ვიცი, ბატონო ჩემო, მაგრამ ასეთი კა
ცი ხომ თავისი კუჭის ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებას იკმა
ყოფილებს მხოლოდ და ხინკალ–სახელმწიფოს სულაც არ მე-
დავება?!
ზომიერების დაცვაა საჭირო ყველაფერში, ჩემო ძმაო
და მეგობარო, ზომიერების დაცვა! – ფილოსოფოსობს ხმა,
თუ არ გინდა, რომ ადამიანის კუჭი ღორის ფაშვად აქციო.
ამას ლაღადებს არა მარტო თალმუდი, არამედ საერო მედი
ცინაც. წინააღმდეგ შემთხვევაში, სწორედ ის დაემართე-
ბა ადამიანს, რაც არაზამეებს დამართა სახელმწიფოზა-
ნას თამაშმა, მამა!
მესმის შენი, მეგობარო, ვპასუხობ ხმას,– მაგისთა-
ნა ლექცია მაზუთაშვილებს უნდა წაუკითხო: ჭამა ძლომა-
მდე და ხმა – თრობამდეო! ბრძენ ძველთა ნათქვამს განა
ახლანდელი მკურნალებიც ასე არ ეხმაურებიან: ვინაიდან
ბევრი ჭამა მავნებელია, ცოტ–ცოტა და ხშირ–ხშირად ჭა-
მეთო. ამიტომ შემოუღიათ სამჯერ–ოთხჯერ დასუფრება დღე
ში ძველთაგან: საუზმე, სადილი, სამხარი და ვახშამი.
სწორედ ასე შეასრულებ პროგრამას მინიმუმი მაზუთაშვილე
ბმა: ოცდაორ დროშას უკვე აფრიალებენ, მაგრამ მაინც
არ ყოფნით. ახლა წინწლიკანა ისრაელას პოზიციებიდან სა
მყაროს უპირებენ ერთ დროშად აფრიალებას საბოლოო ჯამ-
ში!
ეგ არც ეგების და არც იქნების! – გადაჭრით აცხა-
დებს იდუმალი ხმა,– ამგვარი გაწევა სიგრძე–სიგანე–სი
მაღლეში სპილოს ძვლის უკურნებელ სენს მეპყრის ჩვენს
მტერსა და ავად მახსენებელს. მაშინ რაღა თავში იხლი-
ან ცისქვეშეთის თუნდაც ყოველ გოჯ მიწას?!

მაგ სენისთვის თუ მოგეძევა რაიმე უებარი წამალი?
როგორ არა, ბატონო ჩემო,— მოწყალედ მპასუხობს ხმა, დასუფრება კი ნამჯერ-ოთხჯერ იყო დადებული წესად დღე-
ში, მაგრამ კუჭზე დაკვირვებამ ამ დასკვნამდე მიიყვა-
ნა თავის თავის მოყვარული ადამი: საუზმე მთლიანად მი
ირთვი; სადილ-სამხარი მეგობარს გაუზიარე, ხოლო ვახშა
მი მტერსა და ავისმოსურნეს მიუგდეო!

მესმის, მეგობარო, მესმის,— ვპასუხობ ხმას,— ეს
ყოველივე ხომ ამ მოკლე ფილოსოფიამდე დადის: ჭამა ზო
მითაო და — მოხედებითაო?! თუნდაც ეს ავიღოთ: დიდმა
ჭამამ კაცი მოჰკლა, პატარამ — მოარჩინაო!.. ხომ გეს
მით, ბიძაშვილო არაბაძეებო და მაზუთაშვილებო, ჩვენს
კეთილმოსურნეთა შთაგონება და, საინტერესოა, თქვენ რა
ღას ბრძანებთ ამ გულსათნო ფილოსოფიაზე?!
ფუ, რა ვულგარული რატრატიაო, მეტყვით ტუჩამრეზი
ლად, და მართალიც ბრძანდებით. ჰოდა, უხამსი ლაქლაქა
მე რომ არ დამარქვათ, აღარ გაგიგრძელებთ ამ მასლაათს
ჭამა-სმის დიდად ვარგისობა-უვარგისობაზედ, ვინაიდან,
სხვა თუ არაფერი, დიეტური კვების ნორმები მაინც ასწა
ვლა ადამს ამ საუკუნემ ცოტა-ბევრად, ისევ თავის სასა
რგებლად და სადღეგრძელებლად, ისიც ამნაირი ნაირნაირი
მანქანებით სრიალის მოდურ ეპოქაში, როცა ფეხით გადაა
დგილების მარგი ქმედების კოეფიციენტი აბსოლუტური ნუ-
ლის ტოლი თუ არა, ოციოდე პროცენტი მაინც იქნება. ასე,
ჩემო ბატონო, მანქანომანიის სენით დასნებოვნებული ორ
ფეხა — მიზეზ-მიზეზო, გაგიგონიათ და,— ეს სამსახურებ
რივი დატვირთვითაო, ეს მოდის გამოო, ან მე სხვაზე ნა
კლები რით ვარ, როცა ყველას ტაჩკის არშინით აფასებე-
ნო... და ოდნავ ვერ ახერხებს მღვივი მადისათვის ლაგა
მის თუ აღვირის ამოდებას. ჰოდა, კიც დააჭენებს თავის
რკინის ბედაურს სალოღედ განწვრთნილი ცხენოსანივით. მაშ,
რაღად გიკვირთ, რომ ბიძაშვილ მაზუთაშვილებსაც გაუჩნ-
დათ დამატებითი თავშესაქცევი — სახელმწიფობანას თამა-
ში, მაშა! ეს ხუმრობა საქმე არ გეგონოთ, განსაკუთრე-
ბით მაშინ, როცა მათი ბაჭიებივით სწრაფი გამრავლება
თვით დიდ-დიდ ლომებს, ვეფხვებსა და დათვებსაც კი თავ-
გზას ურევს და შიშით დაზაფრულნი ყველა კუთხე-კუნჭულ-
ში მხოლოდ ამას ბუტბუტებენ: შეხეთ, ნაწვიმარზე სოკოე
ბივით ბარტყობენ და უკვე მილიარდს გადააჭარბესო!
სწორედ მათ ყურადსაღებად ბრძანეს, ალბათ, ძველად:
სვავი ჯერ კისერზედ მოიზომავს და ძვალს ისე გადაყლა-
პავსო,—შენიშნავს ხმა,— ეს მაზუთაშვილებსაც ბრწყინვა
ლედ მოეხსენებათ და თავს ფარსაგს არ აუტეხენ.
რაღაც არა მგონია, რომ ყველა მათგანი ასეთი ბრძე
ნია,— ვპასუხობ მე,— აბა, გახედე გონების თვალით, გა
ნა ყოველ მათ თავკაცს იცნობ კარგად ხელის ჩამორთმევი
თა და პირზე კოცნით?

ეგ რიღასთვის გჭირდება? მეკითხება შეცბუნებული ხმა.

როგორ თუ რისთვის! ადი ახლავე ეიფელის ან პიზის კოშკზე და გადაავლე თვალი: ოცდაორ ისლამურ აფრიალებულ ბაირაღს ხომ ხედავ?

მაგას რა დიდი არითმეტიკა სჭირდება, ვხედავ ,მეთანხმება ხმა, ისე, ფუქსავატურად.

ისიც როგორ ცერიცორიებზე? ვეკითხები შურისაგან გაალმასებულ-განიწმაცებული.

გიშრისფერი სითხით გაყღენთილ მიწა-წყალზე , პასუხობს იგი დაუდევრად.

ჰოდა, კიდევ ეგ გიშრისფერი სითხეა ამ საუკუნის მამოძრავებელი ძალა. დახედე, უწყვეტ შადრევნად ამოჩუხჩუხებს ის არაბაძეთა ჯაბურღილებიდან და მბრძანებელ დემონად მიედინება მსოფლიოს ყველა კუთხე-კუნჭულში. ეგეც მეორე პური ჩვენის არსობისა! ახლა ხომ გესმის მისი ძალა?

ჰო, მაგ ბინძური სითხის მეოხებით აქციეს მაგ მაღლიშვილებმა გეო საკუთარ ოჯახად , ამბობს ხმა სინანულით.

ვინ გეო?

ვინ კი არა, რა, – მიყვირის გაგულისებული ხმა, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ვითომდა ხალხთა თანასწორუფლებიანი ოჯახი!

მერე და ვინ თქვა ეგ მიქარვა, რომ გეო ერთა თანასწორუფლებიანი ოჯახიაო?! განა არ გაუგონია ე მაგ შენს ყურებს, რა თქვა დავით ბენ გურიონმა მაგ სახლზე?

რაღაც არა მსმენია თითს კაკვავს ხმა, – რა?

რა და, უმ ზე შუმო! ვპასუხობ იშნისგებით მას.

და მერე ეგ რას ნიშნავს ჩვენებურ ენაზე?

რას და, შუმ ორი მნიშვნელობით იხმარება წინასწარმეტყველთა ენაზე: ერთია "ნიორი", ხოლო მეორე კი არაფერი!

კი მაგრამ, ბენ გურიონი რომელიღას გულისხმობდა ამ ორში? დაინტერესდა ხმა.

ერთსაც და მეორესაც, თუკი ვიცი დავით მესამის ენაკვიმატობის ამბავი , ვაცხადებ ზეიმით.

ეგ როგორ? მეძიება ხმა.

როგორ და, შენ ხარ ჩემი ბატონი, გეოს არც ნიორის "კეთილსურნელება" აკლია და არც არარაობის მირონი .

ჭეშმარიტად! ამიტომ ამბობს თალმუდი: არარაისაგან წარმოსდგების არარაიცაო! ამით ამართლებს კიდევ ამ სიბრძნესაც, გულისა პირმან აღმოთქვაო!

არარაისაგან წარმოსდგების არარაიცა მაინცა და

მაინც დიდად არ შეესატყვისება ჩვენი საუბრის თემას, ჩემო სოლომონ ბრძენო! ცივ წყალს ვავლებ ხმის ხორხოცსა და ზეიმს.

როგორ თუ ვერა? მიყვირის ის ჭირვეულივით.

აბა, შენ თითონ განსაჯე,- ვეუბნები მას დამრიგებლურად,- განა არარაისაგან გაიჩინეს ჩვენმა ბიძაშვილებმა ოცდაორი სახელმწიფო, რომ ახლა ოცდამესამე აქვთ დაგეგმილი პროგრამა მაქსიმუმით?

მსოფლიო უკვე ასჯერ და ათასჯერაა დანაწილებულ-გადანაწილებული. განსაკუთრებით ეს აუზი ხმელთაშუა ზღვისა. მამა ღმერთი ორიათასი წლის მანძილზე ელოდა თავისი აღთქმის სისრულეში მოყვანას და პატარა ადგილის დამკვიდრებას მზის ქვეშ თავისი რჩეული ხალხისათვის. როგორც იქნა, მოხერხდა ეგ საქმე, თუმცაღა ეს რა მოხერხებაა, რომ ორი ყოჩი ძლივს თავსდება ერთზე წო ქვაბუნაში.

რომელი ორი ყოჩი და რა ქვაბუნა? არ მესმის მე.

განა ორი ყოჩი არ დააბოტებს პალესტინის ქვაბუნაში? მიხსნის ხმა.

რომელი ორი ყოჩი?"

რომელი და, ერთი ისრაელისა, მეორე არაბაძეებისა,- მიტევს ის გაგულისებით,- ჭურში ხომ არ ზიხარ!

ისრაელსა და იორდანიას გულისხმობ?

ჰო. ყოველ დღე ჯეი არ და ბობი იუნგებივით რომ არ მეტაკებოდნენ ერთმანეთს რქებით, ცხონებულმა აბდულამ, ჰუსეინის მამამ, დროულად გადანათლა საბრძანებელი თავისი და აღმოსავლეთ პალესტინას "იორდანია" დაარქვა. ჩვენც ჩვენებურად, ძველებურად "ისრაელი" ვუწოდეთ ჩვენს წინაპართა ნაფუძარს ამ სამოცი წლის წინ,- იობის მოთმინებით მიხსნის ხმა და დასძენს,- აქედან გამოდის, რომ პალესტინელებს უკვე აქვთ თავიანთი სახელმწიფო. ჰოდა, საიდანღა ვართ მათი სახელმწიფოს წინააღმდეგნი?

ნუ გიკვირს, ჩემო კარგო,- ვამშვიდებ ხმას,- ცა და ქვეყანა მაინც იმას გაიძახის, რომ პალესტინელთა სახელმწიფოს შექმნის წინააღმდეგნი არიან ისრაელელები!

ფიცი მწამს და ბოლო კი მაკვირვებს ჩემმა მზემ! ამ წუთში არა ვთქვით, რომ ამ ერთ ციცქნა მიწა-წყალზე უკვე არსებობს ორი პალესტინური სახელმწიფო — ისრაელი და იორდანია, რაღა მაინც და მაინც ისრაელისაგან უნდათ იუდეას ჩამოთლა ცხვრის დუმასავით. ადგენ და იორდანიას ჩამოაჭრან, ანდა უფრო უკეთესი იქნება, ჰუსეინას ჩაუსახლონ არაფატი თავის ხალხით. ეს უფრო უპრიანია — პალესტინელთა ფედერაცია!

ვხედავ, შენ გავიწყდება "მშია! მშია!"-ს პოლიტიკა,-ვახსენებ ხმას,- ყველას იერუსალიმის თაფლის-

კვერზე უჭირავს თვალი და შენ კი ისევ სამართლიანობი
ხა და ღვთისნიერების სასწორზე იყურები .

ღმერთო დიდებულო, მთელი კოლონიური იმპერია შექმ
ნეს და მაინც ვერ ძღება მაგათი კუჭი!

ეგ კი მაგარი თქვი, აი, ჩემმა მზემ,– ვხარხარებ
გულიანად,– ნუთუ არ გაგიგონია, რომ არაერთი უცხოელი
პოლიტიკოსი უკიჟინებს ისრაელს, კოლონიური სახელმწი–
ფო ხარო?!

როგორ? ოცდაორი არაბული სახელმწიფოს ფონზე ისრა
ელი მიაჩნიათ კოლონიურ იმპერიად? ეგ ხომ ქათმის სი–
ბეცეა და სხვა არაფერი! ბობოქრობს ხმა.

აგრეა, ძმობილო, აგრე, გაიხსენე თუნდაც აკაკის:
დიდ კაცსა პაწარა კაცთან როდის გასვლია მართალიო!

ჰაი, ჰაი, რომ აგრეა,–კვერს მიკრავს ხმა,– ავი–
ღოთ თუნდაც ფოკლენდისა თუ მალვინოსის კუნძულები.ეგე
ნი ხომ არგენტინელთა მამა–პაპური კუთვნილება იყო ათ
ადან ზაზადან?! იყო. და მერე ხომ ბრიტანელებმა მიი–
ტაცეს ასორმოცდაათი წლის წინ? მიიტაცეს. ახლა კი..

ახლა კი, მიუხედავად იმისა რომ ბიძია სემსაც უსა
მართლობად მიაჩნია არგენტინელთა ამბოხი, კვლავ პატ–
რონს უბრუნდება თავისი საკუთრება, ისე როგორც ისრაე
ლაშვილებს დაუბრუნდათ დიდი დავიდ ამელეხის სამფლობე
ლო! ვაცხადებ მე ტრიუმფით.

ეგეც ღმერთის კანონ–სამართალია! ამბობს ხმა.

ჭეშმარიტად! თუნდაც აეროვიზიონი ავიღოთ. რამდე–
ნიმე წლის წინ ბრიტანელები გვეცილებოდნენ მეორე ად–
გილში და თავდაპირველად გვარიანადაც გაგვისწრეს. მე
ტოქეობაში ხულ დაივიწყეს სამართალი და უსირცხვილოდ
მოგვიგდეს ერთი ქულა ჩვენს უკან დასაწევად...

მახსოვს,–მეცილება ხმა,– და სწორედ მაგ უსამართ–
ლობისათვის იყო, რომ ისრაელის შემოქმედმა წამიერად
წაჰკრა მძლავრი წკიპურტი უსამართლოს და, მგონი, მეშ–
ვიდე თუ მერვე ადგილზე გადაისროლა იგი თავის უჩინარი
ხელითა ძლიერითა და მკლავითა განწვდილითა..

რითაც მეორე ადგილი ისრაელს დარჩა!– სიტყვას ახ–
ლა მე ვართმევ ხმას,– ეხაა ეცბა ელოჰიმ! თითი ღმერთი
ხა!

ბარე სიტყვამ მოიტანა და, ეს რაღა დასავიწყია:
განა გერმანელებმა იგივე ოინი არ გაგვიკეთეს მაგაზე
ხამი წლით ადრე: თითქმის თანაბრად მივდიოდით და,შუ–
რით გაბოროტებულებმა, ხულ მთლად არარაობად აქციეს აი,
თუ გახსოვს, "ალილუია".

მერე და რა მოიგეს?– ვპასუხობ მე,– ყველა რომ დარ
წმუნებული იყო, მათი "ჩინგიზ ხანი" დაისაკუთრებსო პირ
ველ ადგილს,– ცოდვა გამჟღავნებული სჯობია და, მეც აგ–
რე მეგონა!– თვალსა და ხელშუა წამოსწია წინ "ჰალელუ–
ია", ხოლო "ჩინგიზ ხანი" კი სადღაც არასახარბიელო ად–
გილზე გადაისროლა!

ასეა, მეგობარო, ასე. და კიდევ ამიტომ ბრძანა
მოთამ ცხოვრებისეულ მოვლენებზე დაკვირვებით "განგე
ბასა ვერვინ შეცვლის", "განგებით ქმნილსა რისხვასა
ვერავინ დარიდებია"–ო და მრავალი მისთანა.

ღმერთმაც ინებოს, რომ წამიერად გააჩინოს საკად
რისი კანონ-სამართალი ყოველთვის, რომ მით დაამსგავ
სოს ამქვეყნიური ქარვასლა ნორმალურ კაცთსამყოფელს,
თორემ ჯუნგლების კანონით კაცობრიობა დგება მეორედ
მოსვლის საფრთხის წინაშე, –ვპასუხობ ჩაფიქრებული.

ეგაც გარდუვალია,–შენიშნავს ხმა ბრძნულად,–აი,
მომდევნო წლის ამბავი აიღე. პირველი მწარე გაკვეთი
ლით გამოწვეული თითზე კბენა თუ გამოადგათ გერმანე-
ლებს, რომ მომდევნო წელს მოწყალება მოიღეს და თორ-
მეტივე ქულა უშურველად უბოძეს ისრაელს .

ბარი ბარში! მანდაც ხომ წამიერი იყო უზენაესის
პასუხი: ჩვენც სამართლიანად მივაგეთ თორმეტივე ქუ-
ლა მშვიდობის მართლაცდა ლამაზი საგალობლისათვის.

ჰო, მარტო ეგ იყო გამოსაჩენი მთელი ნაყარ-ნუყა
რის ფონზე და სამართლიანადაც დაიმსახურეს მათ პირ-
ველი ადგილი, ხოლო მეორე ისრაელაშვილებს ხვდათ წი-
ლად "ჰორა"-სათვის. ეგეც ეცბა ელოჰიმ! – მრავალმნი
შვნელოვნად შენიშნავს ხმა.

კურთხეულ იყოს შენი სახელი, გამჩენო,რომ ყოველ
ნაბიჯზე ავლენ შენი უხილავი ხელის ძალასა და ძლიე-
რებას გონებადაბინდულ ადამის ძეთა გონზე მოსაყვა-
ნად, რამეთუ სირაქლემებივით ფლავენ თავებს ქვიშაში
და არ სურთ თვალის სწორად გასწორება მზისათვის!

'რისი თქმა გსურს მაგით?' მეკითხება ხმა.

რისა და, ზოგ-ზოგს მზეც თავის ერთპიროვნულ სა-
კუთრებად მიაჩნია და მთელი სამყაროც. წამით არ უნ-
დათ ანგარიშის გაწევა ზეციური ძალის ნება-სურვილი-
სათვის; თითონ მიაჩნიათ თავი ქვეყნის მბრძანებლად!

ასეა ათა-ბაბადან! ბრძანებს ხმა.

ასეა, მაგრამ ყოვლისშემძლე მაინც აჩენს სამარ-
თალს: უფლის ნება იყო ჩვენი დაბრუნება მამა-პაპათა
მიწა-წყალზე, თუმცაღა მტერი მტრობან არა თმობდა სა
უკუნობით. ამით მოხდა, რომ არ აღვიგავეთ მიწისაგან
და არ გავითქვიფეთ მსოფლიო ხალხებში. მაგრამ განა-
ლა ხედავს ჩვენი დუშმანი ღვთის ხელს? არა და არა!
ის მაინც ბრდღვინავს პირდაღებული აფთარივით, მიუხე
დავად იმისა რომ ოცდაორ სახელმწიფოში პარპაშობს და
დღენიადაგ გაჰყვირიან:"პალესტინელთა სახელმწიფოოო!
პალესტინელთა სახელმწიფოოო!" თითქოდა ერთ პაწა ის-
რაელშია მოქცეული ის ოცდაორი სამეფო!

ეგაა მაგათი ყურანით ნაკარნახევი კანონ-სამარ-
თალი,– ამბობს ხმა,– ომია მაგათი მამა-ღმერთი, რის

გამოც, თუკი ხელსაყრელი ჟამი მოიხელთეს, არც ერთმანეთს დაინდობენ გადასახასანსლად!

სწორედ ისე, როგორც თალმუდი ბრძანებს: ლიფსიცა თევზებს მსხვილები ყლაპავენო,— ვასწრებ ხმას.

ზუსტად. აგერ შეხედე სპარსელებსა და ბაბილონელებს. ორთავეს ალაჰი ჰყავს საფიცრად და მისი დროშით ემუქრებიან ჩვენს პატარა დავით უძლეველს — ღმერთმაც ინებოს ჩვენი უძლეველობა, ამინ!

ამინ და ამინ! კუერთებ მას ხმას.

მაგრამ ხომ ხედავ, როგორ ავლებენ მუსრს ერთმანეთს. გული მეწვის, როცა ჯერ კიდევ პირწიწვეულა ცალიკ-წალიკ ბიჭებს შევცქერი ლურჯ ეკრანზე, ორივე სახელმწიფოს ზვარაკად რომ მიაქვს სისხლიან საკურთხეველზე თუ სამსხვერპლოზე ერთმანეთის გადაყლაპვის მოლოდინში!

შენზე ნაკლებ როდი მწკივა მეც გული, მიუხედავად იმისა რომ ჭირივით ვძულვართ მაგ ღლინძაღლებს, სინანულით შევნიშნავ მე.

ყველა ადამიანი თავის სახებად შექმნა მამა-ზეციერმა, უბრალო ხალხს, რიგით ადამიანებს, არ უნდათ ომი, ამიტომ უთქვამთ ოდითგან, ომი მეფეთა თავშესაქცევიაო. მაგრამ ვინ კითხავს უბრალო პეტრეს, პავლესა თუ ივანეს ბალი ორი შაურიაო?! ამის გამო, საითკენაც თავს უკრავენ ქვეყნის მბრძანებელნი, იქით გარბიან ისინიც.

თავს ზემოთ რა ძალაა?! წარმოვთქვამ დაფიქრებით და იქვე დავსძენ,— შემინდე, უფალო, ოღონდ ისრაელისაგან ხელი მორს დაიჭირონ და, ერთმანეთში რაც სურთ ის გააკეთონ! ეგ ჩემი საქმე სულაც არ არის, რამეთუ ადამიანი ადამიანისთვის მგელიაო, ბრძანებენ ბრძენი რომაელები..

ჰო, ყველამ თავ-თავის ქვაბსა და ქოთანს მოურიოს,— კვერს მიკრავს ხმაც,— ეგეც ზეცის განაჩენია, რათა ხელი ჩამოათხოვონ ორიათასი წლის ხეტიალის შემდეგ შინ დაბრუნებულ ხალხს.

ახლა, ჩემო მეგობარო, ამას გათქმევინებს საკუთარი თავის სიყვარული, თუკი ცხოვრება ბრძოლაა, როგორც ამბობენ, და ყველას თავის თავი ურჩევნია სხვასაო,— ვასკვნი მეც.

მაგრამ ის ნუ დაგავიწყდება, რომ ორი ლომის წაკიდება სულაც არ გამორიცხავს მსოფლიოს წარღვნის საშიშროებას.

რა გინდა მითხრა მაგით? ვეკითხები ხმას.

რა და, ოცდაორი ლომ-ვეფხვიდან ორის მოქცევა საერთაშორისო თამაშგარეთ სულაც არ ნიშნავს იმას, რომ არაბამძეები ადვილად აიღებენ ხელს "ჯიჰადზე", ჩვენი ენით წმინდა ომზე, რომლითაც მოუწოდებენ ერთმანეთს ვითომდა იერუსალაიმის გასათავისუფლებლად, სინამდვილეში კი — მსოფლიოზე გასაბატონებლად.

და მერე რაღას წაუხრია თავი მთელ მსოფლიოს ცხვარივით და გულდინჯად შეჰყურებს, როდის დაადებს ბაყბაყ დევი თავის ხახას ჩვენს გადასაყლაპად ისე, როგორც ლევიათანმა უყო ყლაპი ნოეს თავის კიდობნიანად?!

მერე რა,— ბრძანებს ხმა,— რაც არ გერგება, არ შეგერგება! ბატონმა ლევიათანმაც მშვიდობიანად ამოაქშინა კიდობანი თავის ჯალაბიანად, რომ წარღვნისშემდგომად კვლავ გაეშენებინა და დაემშვენებინა ამქვეყნიური წალკოტი ღვთის სახებად შექმნილ ადამიანს, მამა!

მაშინ სულ სხვა მდგომარეობა იყო,— არ ვეთანხმები ხმას იმაში, რომ ვინმემ ყლაპი უყოს ამქვეყნიურ ედემს. ალლაჰის ოცდაორი მბრძანებელი თავიანთი შავი ოქროს მეოხებით თითონ ბატონ დათვიაშვილსაც კი არგებენ თავიანთ ქალამნებს. ეს ხომ ხუმრობა საქმე არაა. ნუთუ აზრზე ვერ მოდიან დიდთავა პოლიტიკოსები, რომ ოცდაორი სახელმწიფო თითქმის ჩინგიზ ხანისთანა კოლონიური იმპერიაა, რომელიც რახანია იმით ირთობს თავს, რომ ნავთობშადრევანთა ჩუხჩუხის ჰანგებზე მთელ მსოფლიოს ახტუნავებს თავის ჭკუაზედ?! ისრაელისადმი მუქარას ხო ნულა იცყვი.

გიჟი მიუშვი ნებასა, თვით შეეყრება სნებასა! მანუგეშებს ხმა,— დათვი რომ მოგერიოს, ბაბა დაუძახეო, უთქვიათ ბრძენთ. ჯერ-ჯერობით მსოფლიოს თავკაცებიც ამგვარი ტკბილი სიტყვით ცდილობენ გველის ხვრელით ამოყვანას, მაგრამ თუ მეტის მეტად გაუვიდათ თავს,თავიანთ თავს დააბრალონ, რაც გადახდებათ.

ჰო, რაც მოგივა, დავითაო, ისევ შენი თავითაო,— ვამბობ ფიქრიანად,— მაგრამ მუამარ კადაფის თუ წაუკითხავს მსგავსი რამ თავის მოსწრებაში?! ამიტომ იყურება დღენიადაგ მკლავზე, და არცთუ მოკლე მკლავზე!

ერიჰაა, შვილოსა, შენთვის მართლა გვარიანად დაურევია ხელი შიშს და, პირდაპირ გეტყვი, შენს მაგივრად მე მრცხვენია, რომ დიდი დავით ამეღეხის ნაშიერი ხარ! ერთი ეს მითხარი, შენს გაზრდასა, ცაჰალში თუ გიმსახურია?

მასხრად მიგდებ თუ? გუშინ არ დავბრუნდი ხარეზერვო სამსახურიდან,— ვპასუხობ ხმას წყენით.

ჰოდა, შე მამაცხონებულო, რაღა ძმარი ჩამოგდის მაგ სახეპირზე. მსოფლიოში ჰქუხს ლეგენდარული ცაჰალის ძალისა და ძლიერების ამბავი. ასე რომ არ ყოფილიყო, განაღა სალამს შემოგვთავაზებდა განსვენებული ანვარ სადათი?

ჰაი, ჰაი, რომ არა,— ვპასუხობ გამხნევებული.

კეთილი და პატიოსანი! დანარჩენებიო, მკითხავ?! დანარჩენები ყასიდად იცობენ ყურთითს და თვალებზე კი ბამბას იფარებენ, არიქა, არ გავიგონოთ და არ დავინახოთ ამ პაწარა წიწილის დევგმირული მიღწევებიო!

ეგ ღმერთზეც აიანია — ცხადია, ხომ იცი ახალციხური? — და კავზეც, რომ საუკუნეთა მანძილზე ლაჩრად მონათლული ებრაელი არც ჯაბანია და არც მხდალი.

ჰოდა, რაც შეეხება ებრაელის გამრჯე მარჯვენისა და სხივოსანი ნიჭის მადლს, ბევაკაშა, რაბოთაი, მობრძანდით და იხილეთ, რა ზღაპრად იქცა ორიათასი წლის მანძილზე გამოქარულ-გამოფიტული მიწა-წყალი! — მაცრა ბაზონბს ხმა.

ჰო, ეგ არის ებრაელი, თუკი მამა-ზეციერი ერთმანეთის გამყვანობასაც ასწავლის თავკაცობის მანიით შეპყრობილ მამლაყინწებს!

კიდევ ეგ მამლაყინწური პატივმოყვარეობა იყო, რომ ორგზის დაიქცა ბეთ ამიკდაში და აღარც განმეორდეს ის შავბნელი დღეები ამ ვარსკვლავკრული წარსულის მქონე ხალხის თვალსაწიერზე! — ილოცება ხმა, და მეც ღვთისმოსაურად დავსძენ:

ამინ და ამინ! დაგვიბრუნდეს ის კეთილდღეობის ხანა, ოთხი ათასი წლის წინ რომ დაიწყო აბრაამ ავინუს დროში. მერე შენც იცი, თუ რა აყვავების ზენიტს გავიდა დავით ამელეხის დროს ამ სამი ათასიოდე წლის წინ. ის იყო მართლაცდა ოქროს ხანა ერთიანი ისრაელისა დავით ამელეხის დროშის ქვეშ,— ვიგონებ სევდიანად.

რას იზამ? ამაზედ უთქვამთ: დრონი მეფობენ და არა მეფენიო! სწორედ ამას ჰქვია ბედის ტრიალი!

მაინც ვენაცვალე გამჩენის კანონ-სამართალს,— შევღაღადებ ზენას,— ისევ ვართ რუქაზე, უნდათ თუ არა!

და მერე როგორ,— ეამხნევებს ხმა,— ბევრ დიდ-დიდ სახელმწიფოს შემურდება ამ პაწარა წიწილის გიგანტური მიღწევები. ამას ჰქვია მართლაც სასწაულებრივი აღდგენა მკვდრეთით!

მეც მანდა ვარ! — კვერს ვუკრავ სიხარულით გაბადრული,— დღენიადაგ ეს მესმოდა ყველა გრუზინისაგან იქ, ბიჭო, შეხედე ღვთის ძალასა და ძლიერებას: რამდენი სახელმწიფო აღიგავა პირისაგან მიწისა ერითა და ენით და, მადლი უფალს, რომ მომსწრე გაგვხადა ამ სასწაულისა — ფენიქსებრ აღორძინა წინასწარმეტყველთა ოდეს იავარქმნილი ქვეყანა თავისი დამუნჯებული ენით; აგერ, თორისეული აღთქმის მიხედვით კრებს მიმოფანტულ სამწყსოს აღთქმულ ქვეყანაში მსოფლიოს ოთხივე კუთხიდან და იერუსალიმიც კვლავ თავის ხალხს დაუბრუნა მესამე ბეთ ამიკდაში ასაშენებლადაო.

მარადიული იქნეს ეს ტახტი ყოვლისშემძლისა! ილოცება ხმა და მეც ვეხმიანები:

ამინ! ალბათ, ამით აძლევს პასუხს ზენაარი აგარიანელებს, რომელნიც გამაღებული აკოწიწებენ თავიანთ ურდოებს ისრაელის სახელმწიფოსა და იერუსალიმის მისატაცებლად, თითქოდა ესენიც მათი მექა და მედინა იყოს!

ჰო, ახლა იერუსალიმი გაუხდათ მექა და მედინა თავიანთ დიდმპყრობელური "ჯიჰადის" მესანიღბავად.

ეგ კი ყველას ბრწყინვალედ მოეხსენება, მაგრამ– და ვინ დაგიდევს სწორ სამართალს?

ეცბა ელოჰიმ! – ზეიმით წარმოთქვამს ხმა,– ეცბა ელოჰიმ! ყოვლისშემძლის მაღლა შემართული თითია ყველას გამაფრთხილებელი ნიშანი, უგუნურთა გონს მოსაყვანად, რათა ატომ–ნეიტრონისა და წყალბადის ხლეჩადი ბომბების ეპოქაში მთლად არ განადგურდეს მისი ედემი! ხოლო თუ მაინც და მაინც ივლიან უკუღმართობის გზებზე და, თავიანთ თავს დააბრალონ, თუკი მათზე გამართლდა ოდინდელი სიბრძნე: ვირი სამოვარზე წავიდა და.. ყურებიც იქ დასტოვაო!

ღმერთმა დაგვიფაროს საქმის ასე გამწვავებისაგან, ძმაო ხმაო, თორემ მსოფლიოს ყურები და ჩლიქები გახდება სადარდებელი, მსოფლიოსი. ვერა ხედავ, ერთი ჩერნობილისგან დატრიალებულ უბედურებას? დედა–რუსეთი რაღა სახსენებელია, როცა მისმა შემოხაზულმა რადიუსმა თავის წრეში მოაქცია სკანდინავიის ქვეყნებიც, ევროპისაცა და ხმელთაშუა ზღვის ბასეინსაც კი უწია ჰაერში გაფანტული ატომებით?!

ჰო, ეგაც ეცბა ელოჰიმ, რომელიც გამაფრთხილებლად მოუწოდებს ზესახელმწიფოთა თუ მცირეთა მესვეურთ: "ფრთხილად, ადამიანებო! აჩრდილი დადის დედამიწაზე, აჩრდილი ღვთისქმნილი ადამისა და მის მიერ გაშენებული მიწიერი ედემის მუქარად!" აქ მეც სასოებით ვუერთებ ჩემს ხმას იდუმალ ხმას და წარმოვთქვამ მამაზეციერის ყურადსაღებად:

ღმერთი ხარ ქვეყნის გამჩენი და იყავ მისი დამრჩენი და გადამრჩენი ადამიანთა მიერ ხელქმნილი ბოროტებისაგან, ამინ!

ამინ და ამინ! ღვთისმოსაობით ლაღადებს ხმაც და მას ებანება მაღლივი მთებისა თუ მთელი დედა–ბუნების სათნო გულისხმახილიც...

I986 წ.

# ცხვარი ცხვარია, მაგრამ...

## ენტებეს ოპერაციას

ერთხელ ერთი ინგლისელი, ერთი ფრანგი, ერთი იტალიელი და ერთიც ისრაელელი კაციჭამიებს ჩაუვარდათ ხელში. როცა კაციჭამიებმა ტყვეები ტომის წინამძღოლს მიჰგვარეს, მან გულმოწყალედ უთხრა ბორკილგაყრილთ:

— აბა, სანამ შესახრამუნებლად შეგბრაწავდნენ, შეგიძლიათ გამოთქვათ თქვენი უკანასკნელი სურვილი და,და რწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ყოველივეს შეგისრულებთ.

— მე ვისურვებდი გემრიელ ვახშამს,— ინატრა ინგლისელმა.

— მე ლამაზ ქალთან ნებივრობას ვისურვებდი,— განაცხადა ქალების მუსუსმა ფრანგმა.

— ჩემი მოკრძალებული სათხოვარია, ზეითუნის ზეთით დამიზილოთ სხეული კარგად, რომ ნაკლებ ვიგრძნო ტკივილები დაბეგვისას,— შეევედრა მათ იტალიელი, რომელსაც დაინახა, თუ რას უპირებდნენ თავდაპირველად.

— მე კი მხოლოდ მაგარ პანღურს გთხოვთ,— თავმდაბლად წარმოთქვა ისრაელელმა.

— ნება თქვენი და შესრულება კი ჩვენი! — ხელმწიფური გულზვიადობით ბრძანა კაციჭამიების ბელადმა და ხელქვეითებს თითების გატკაცუნებით მისცა ნიშანი, სასწრაფოდ სისრულეში მოიყვანეთო შესაწირავად გამზადებულთა უკანასკნელი სურვილები.

რაღა თქმა უნდა, რომ თვალის დახამხამებაში გაუშალეს ხელმწიფის საკადრისი სუფრა ინგლისელს; უმშვე-

ნიერესი ქალწული მოჰგვარეს ფრანგს; საუკეთესო ხარისხის ზეთით შეუდგნენ იტალიელის სხეულის ზელას, რომ ხელმწიფური ხელგაშლილობით შეესრულებინათ ცივილიზებული სამყაროდან მოსულთა უკანასკნელი ნატვრა.

ასე და ამრიგად, სანამ ინგლისელი მადიანად შეექცეოდა უკანასკნელ ვახშამს, ხოლო ფრანგი თავდავიწყებულ განცხრომას ეძლეოდა ვნებიან წარმართ ლამაზთან, მშვენიერთა სქესის წარმომადგენლები უზილავდნენ სხეულს იტალიელს ზეითუნის ზეთითა და სურნელოვანი ნელსაცხებლებით.

ეს წმინდა სარიტუალო საქმე რომ მოათავეს, უზარმაზარმა ამორძალებმა პირველი ის მიჰგვარეს მთაკაც შეფმზარეულებს სამწვადედ გამოსაყვანად. ჰო, მართლა, სწორედ იმ დღეს კაციჭამიების ბელადს ერთი ევროპელი თავკაციც ჰყავდა თანამესუფრედ და, რაღა თქმა უნდა, ბრილიანტებით სავსე ლანგართან ერთად ეს ჩიჩიაც ევროპულ ყაიდაზე შემზადებული უნდა მიერთმია მისთვის ბაჯაღლო ოქროს სინებით...

ჰოდა, ვინ მამაოხერი ზოგავდა ღონესა და ხელოვნებას, რომ ხორცი ლაზათიანად ყოფილიყო დაბეგვილი. მაგრამ, მიუხედავად ზეითუნის ზეთით დაბალზამებული სხეულისა, ვარსკვლავკრულ იტალიელს მაინც ნაფლეთ-ნაფლეთად სძვრებოდა ხორცის ზოლები და მისი გულსაკლავი "ვაი-დედა" თითონ მამა-ღმერთს სწვდებოდა ზეცის თაღებში.

ამასობაში ჯერი მიდგა ისრაელაშვილზეც, რომ მოკრძალებული თხოვნის შესრულებით ეცათ მისთვის პატივი. ამ პატივისცემის შესრულება პირადად კაციჭამიების ბელადმა აიღო თავზე. მიჰგვარეს თუ არა დახახკული ისრაელელი, ვეება გოლიათმა ერთი კი შეატრიალ-შემოატრიალა მასთან შედარებით პატარა დავითი და უცებ ისეთი გვარიანი წიხლი სდრუზა მას უკნიდან, რომ თქვენი მოწონებული! ამას მოჰყვა მქუხარე ტაში და პირმოთნეთა მოწონების შეძახილები...

მაგრამ... ნაადრევი აღმოჩნდა კაციჭამიების სიხარუ ლის ყიჟინა. მიიღო თუ არა მახციმულირებელი წიხლი, ციბ რუციეით დაცრიალდა ერთი წამის წინ თვინიერი ცხვარივით მდგომი პაცარა დავითი და, გაღომკაცებულმა თავმოყვარეო ბის შელახვით, მოთახ მაირით რომ მოგახხენოთ:

კავი კაცხა შემოხცყორცნა,
ცხენ-კავიხა დადგა გორი!

ვილახ ახხოვდა ხაგუდდაგულოდ დაბეგვილი იცალიელი, მადიანად მოქეიფე ინგლიხელი, ანდაც ვნებიან ქალთან მონებივრე ფრანგი! დიდი თუ პაცარა წივილ-კივილით გა რბოდა თავქუდმოგლეჯილი ხაკუთარი ქურქის ხათრით....
ხიკვდილის კლანჭებიდან ახე მოულოდნელად გამოხხ- ნილმა ინგლიხელმა, ფრანგმა და დახიხხლიანებულმა იცა ლიელმა მადლობა შეხწირეხ ბენაარხ იხრაელელის მარიფა თიანობით ნაწყალობევი ხიცოცხლიხათვიხ და მერელა შე- ეკითხნენ მახ განცვიფრებით:
— კი მაგრამ, ამდენი შნო და მარიფათი თუ გქონდა, აქამდე რაღახ ელოდებოდი? რაცომ თავიდანვე არ გამოი- ჩინე შენი მკლავის ძალა, რომ თავიდან აგეცილებინა ჩვენთვის ამდენი გვემა და შინაგანი განცდები?
— ცხვარი ცხვარია, მაგრამ თუკი გაცხარდა, ცხა- რია! ჩვენ, იხრაელები, მანამდე არ შევეხებით ძეხორ- ციელხ ავად, ხანამ მოთმინების ფიალახ არ აგვივხებენ. და რახან ჩვენი უხაფრთხოებიხა და ხიცოცხლის ხელყო- ფახ დააპირებენ, გაჩენის დღეხ ვაწყევლინებთ ავიხმო- ხურნეხ,— უპახუხა მათ დინჯად კაციჭამიათა დამფრენმა იხრაელელმა ცარიამ...

# ნ ა კ ვ ა ლ ე ვ ი

გამომცემლობის თანამშრომელმა, ბატონმა არიელმა მომცა უცნობი ინგლისელი პოეტის ეს ლექსი და შემომთავაზა მისი თარგმნა ქართულ ენაზე. ვფიქრობ, ვერც ერთი ჭეშმარიტი ებრაელი ვერ წაიკითხავს მას გულგრილად.

ერთ ღამეს ნახა კაცმა სიზმარი.
მას დაესიზმრა, რომ მიდიოდა
ზღვის ნაპირ გასწვრივ უფალთან ერთად.
ზეცის კაბადონზე მიელავდნენ
სურათები იმის ცხოვრებიდან.
ყოველ სცენაში ამჩნევდა იგი
ორ წყვილ ტერფთ ანაბეჭდებს ქვიშაში:
ერთი ეკუთვნოდა თითონ მას,
მეორე – უფალს.

როდესაც მის თვალწინ გაიელვა
მისი ცხოვრების ბოლო სურათმა,
უკან გაჰხედა
მან ქვიშრობში ტერფთ ანაბეჭდებს
და შეამჩნია,
რომ მის ცხოვრების ბილიკ გასწვრივ
მრავალგზის მოჩანდა
მარტოდენ ერთი წყვილი ტერფი;
შენიშნა ისიც, რომ ეს ხდებოდა
მისი ცხოვრების
უმძიმეს და ულუხჭირეს ჟამს.

ამან მართლაც შეაშფოთა იგი
და ჰკითხა უფალს მის თაობაზე:
"ხომ სთქვი, უფალო,
რა აღგითქვი, ვივლი შენს კვალზე,
შენ გამიწევდი
მეგზურობას მთელს სავალ გზაზე?!
მაგრამ შევნიშნე,
ჩემს ცხოვრების ძნელბედობის ჟამს
ჩნდებოდა ოდენ
ერთ წყვილ ფერხთა ანაბეჭდები.
არ ვიცი, რად მტოვებდი ხოლმე
შენ სწორედ მაშინ,
როს ყველაზე მეტად მჭირდებოდი?"

უთხრა უფალმა:
"შვილო ჩემო, ძვირფასო ჩემო,
მიყვარხარ და მე
შენ არასდროს არ მიგატოვებ.
შენს უკიდურეს
ტანჯვისას და გასაჭირისას,
როცა ხედავდი
მხოლოდ ერთ წყვილ ფერხთ ანაბეჭდებს,
ეს მე ვიყავ, რომ
შენ გატარებდი...."

29 მარტი, 1987 წ.
ბათ იამი

## შერეული ნერგები

აღსდგა აბრამის და იაკობის
ნერგზე დამყნილი ერის მამული;
ოდეს დანთქმული, იავარქმნილი,
ახლა ბაღნარად აყვავებული.

დაიდგა ტახტი ერთმეუფეების,
მრავალ თაობის ნაოცნებარი;
იღვიძებს ერი, ერთდროს მიმქრალი,
ხალათას ძილით ცნობამიმხდარი.

იღვიძებს, გვაძლევს იმედს მომავლის,
რომ აღარასდროს დაძაბუნდება;
გულს გაიერთებს, დაწალიკებულს,
რასნის უნახავ თანამოძმესთან.

აღარ იტყვიან:"ეს ებრაელი
ჩამოსულია ცივ ციმბირიდან;
ის საქართველოს გამოზრდილია,
სხვა ჩამოსულა ამერიკიდან..."

დარჩება ამ მხარეთ სახელები
სამადლობელად იმ ქვეყნის შვილთა,
ვინც კი გულადად თვისობდა რჯულის
გამოისობით ბედის დევნილთა.

ნელ-ნელ გახდება ერი ერთგვარი,
გადაიშლება ცალ-ცალკე ღობე,
და ძველ-ტომობრივ სახელებიდან
აღარ დარჩება ხმა მეამბოხე.

ამად არ ვიტეხ გულს, თუმც გაბზარულს,
ველი ხვალის დღეს ერთსულოვნობის,
როს იტროალებს სული ერთობის
ახალ ნერგებში, შეუვალობის.

ფესვებგადგმული სალ ნიადაგში
ეს ნორჩი ნერგი ტანს ლაღად აყრის,
რა მოგვცემს ნაყოფს,
ვარგისს და გამძლეს,
თუკი მებაღედ გამოვდგებით;

გადავეფარვით მცველ ანგელოზად:
არ უღალატოს მას დედამიწამ;
ცამ არ დასეტყვოს, ქარმა არ დაზრას,
სუსხმა და ყინვამ გულცივობისამ.

სად გაუჭირდეს ხეს ცხოვრებისას,
და სად დაიწყონ მტოებმა ჭკნობა,
იქავ შევწამლოთ ჭიანჭამი,
არ დავაცალოთ მის ფესვებს ხმობა.

მე მიმაჩნია დამჭნარ მტოებად
უგულო შვილნი, მტერნი მოძმეთა;
ერთიანობის სულის გამტეხნი,
გამომთხრელნი ფუძე–საძირკველთა.

როგორ ერქმევა მას ძე ერისა,
ვინც ხელს შეუწყობს შუღლსა და მტრობას,
ან გულს გაუტეხს გრძნობაანთებულს,
რითაც ქვეყნის ტახტს შეურყევს დუღაბს?!

ყველას ვალია, აღვივოს ცეცხლი
მამულისათვის ერთგვარ გზნებისა:
უანგარობის, წრფელ მეგობრობის, –
ეს საწინდარნი გადარჩენისა!

## თეთრ-ცისფერი

ალბათ, ბევრს უკვირს, რად შეურჩიეს
ვარაყად ცისფერი დავითის ფარს,
შერწყმული უმანკო თოვლის თეთრთან,
მკვდრეთით აღმდგარ ქვეყანას რომ იცავს.

თეთრი გულისხმობს ოდით სანატრელს:
მშვიდობას, უსაფრთხო ნავთსაყუდარს;
ცისფერი – სიცოცხლეა, სულია,
რაც მარად შეტრფის მყუდრო საბუდარს.

ეს თეთრ-ცისფერი არს საწინდარი
ძველ-ახალ ერის ფეხზე დგომისა,
რომ ზეიმობდეს ქვეყნად სინათლე
ღვთიურ სამართლის განჩინებისა!

I8. I. 1978 წ.

ნაფთალი ჰერც იმბერი

## ი მ ე დ ი

ხანამ ღრმად გულში ჯერ კიდევ გვიძგერს
ებრაელური სული,
შინ, აღმოსავლით სიონისაკენ
მიპყრობილი გვაქვს თვალი.

არ დაგვიკარგავს ჯერაც იმედი,
იმედი ორ ათას წლის –
ვიყოთ ლაღი ერი ჩვენის ქვეყნის,
ქვეყნის სიონის, იერუსალიმის.

## ი მ ე დ ი        ჰ ა თ ი კ ვ ა

### ისრაელის სახელმწიფო ჰიმნი

ქოლ ოდ ბალევავ ფნიმა
ნეფეშ იეჰუდი ჰომია
ულფაათეი მიზრახ კადიმა
აინ ლეციონ ცოფია

ოდ ლო ავდა თიკვათენუ
ჰათიკვა მიშნოთ ალფაიმ
ლიჰიოთ ამ ხოფში ბეარცენუ
ერეც ციონ ვიერუშალაიმ.

כָּל עוֹד בַּלֵּבָב פְּנִימָה
נֶפֶשׁ יְהוּדִי הוֹמִיָּה,
וּלְפַאֲתֵי מִזְרָח קָדִימָה
עַיִן לְצִיּוֹן צוֹפִיָּה,
עוֹד לֹא אָבְדָה תִּקְוָתֵנוּ
הַתִּקְוָה מִשְּׁנוֹת אַלְפַּיִם,
לִהְיוֹת עַם חָפְשִׁי בְּאַרְצֵנוּ,
בְּאֶרֶץ צִיּוֹן וִירוּשָׁלַיִם.

## ს ა რ ჩ ე ვ ი

მეგობრობის მგოსანს – ნოშრევან გალაშვილი ...... 9
ავტორისაგან ........................................ 10
ინდიგო არ იცვლის ფერსა ........................ 12
ვაი მას, ვისაც სამშობლო არა აქვს! ............ 22
კონსტანტინე გამსახურდია...

## ს ი ო ნ ი ს  ს ხ ი ვ ი

ებრაული სამება ........................ 31
სიონის სხივი ........................ 44
ანაბიოზი ........................ 45
იად ვაშემი ........................ 47
ოცნების კოშკი ........................ 51
ზეციური ქორწინება ........................ 53
ნათლის შვილი ვარ ........................ 55
ღვთის საზომვარი ........................ 57
ხმა ღვთისა და ხმა ერისა ........................ 60
უდაბნოყოფილს ........................ 62
ნეგევის სილიადე ........................ 64
ფიქრები გოდების კედელთან ........................ 65
მეორედ დაბადება ........................ 69
როშ აშანა ........................ 72
საახალწლო ვახტანგური ........................ 75

## იერუშა – იერუშალაიმ

შენ გიმღერი, ჩემო დედაქალაქო! ........................ 77
დავითის ფარი ........................ 82
ერის გვირგვინი ........................ 83
არიელ ქალაქს ........................ 85
ნათელმჭვრეტელთა თავდები ........................ 87
ედემის ყვავილს ........................ 89
სასწაული ........................ 92
იერუშა – იერუშალაიმ ........................ 95
იერუსალიმ – მთიები ჩემი ........................ 99
თეთრი მტრედი ........................ 106
ბათ იამი ........................ 112

## დ ა რ ი – ა ვ დ ა რ ი

დიდება თქვენდა ........................ 115
დავანთებ სანთელს ........................ 116

ცრემლის კორძები .............................. 117
ორი ვარსკვლავი .............................. 118
მოსხეპილ ჭადრებს .............................. 119
რტო პალმისა .............................. 121
ატირებულან ანგელოზები .............................. 122
თავდადებულთა შესანდობარი .............................. 123
დარი — ავდარი .............................. 125
ჩერნობილი .............................. 127
მშვიდობა .............................. 129
მშვიდობის სადარაჯოზე .............................. 130

## მ ე გ ო ბ რ ო ბ ა

მეგობრობის უკვდავება .............................. 131
სამადლობელი .............................. 133
მამა-დავითს .............................. 135
თბილისო, ნაირ თემთა ქალაქო! .............................. 136
გამზრდელო ჩემო .............................. 138
სულიერ მოძღვართ .............................. 141
მეგობარს .............................. 143
ადამიანი — სახება ღვთისა .............................. 145
ერის მედროშე .............................. 148
დედას .............................. 150
მამას .............................. 153
თალმუდისტი .............................. 155
მოშე მეორე .............................. 157
ცისკარი .............................. 158
მშობლიურ ყვავილთ სურნელი .............................. 161
კვალი .............................. 163
შესანდობარი .............................. 164
ანა კალანდაძეს .............................. 166

## პ ო ე მ ე ბ ი

ღამის ზღაპარი .............................. 167
ვარდი და ეკალი .............................. 178
დებორა — ისრაელის დედა .............................. 205
რანი ვიყავით ანუ ხინათლე არაერთმორწმუნეთ ... 229
..............................
შემოვუნახოთ შვილებსა .............................. 270
აქორებ?!...ქორია! .............................. 280
ცხვარი ცხვარია, მაგრამ .............................. 292
ნაკვალევი .............................. 295
შერეული ნერგები .............................. 297
თეთრ-ცისფერი .............................. 300
პატიკვა — იმედი .............................. 301
სარჩევი .............................. 302

PUBLISHED UNDER THE SPONSORSHIP

OF THE ASSOCIATION OF THE GEORGIAN

JEWS IN ISRAEL

הוצא לאור בחסות

ברית יוצאי גרוזיה בישראל

© כל הזכויות שמורות בידי רוזה אבנרשווילי
הוצא לאור על ידי ש. סגל ושות', הדפסות בע"מ

Copyright © 1987 by Rosa Abnerashvily

All rights reserved

Printed in Israel, 1987

Published by SH. SEGAL & CO. LTD

რ ო ზ ა  ა ბ ნ ე რ ა შ ვ ი ლ ი

ს ი ო ნ ი ს  ს ხ ი ვ ი

გ ა მ ო ც ე მ უ ლ ი ა

საქართველოდან ამოსულთა კავშირის

მფარველობით

צייר

אלברט פפיסמדוב

רוזה אבנרשווילי

# אויף ציון

תל—אביב

1987